

სარჩელი თითქმის მზადაა

A2



აქცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან

A4



"თქვენი აფხაზეთი"

A5

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 1 ნოემბერი, 2006 წელი. №243 (1395)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი

40 52 22

თიბისი ბანკი TBC Bank

თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 1/11 | 2/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 17 |
| ბათუმი | 24 | 22 |
| სოხუმი | 24 | 20 |
| ქუთაისი | 25 | 23 |
| გორი | 17 | 17 |
| ონი | 15 | 15 |
| ზუგდიდი | 26 | 24 |
| ახმეტა | 20 | 17 |
| სამტრედია | 25 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7380 |
| ევრო | 2.2045 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.2998 |
| რუბლი | 0.0649 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| სპორტი | A 7 |

# ვაჟაბიჭები "პირველს" არ ეწევიან

## ქართული მხარე სეპარატისტებს პროვოკაციაში ადანაშაულებს

*ვერსია პირველი: ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების ინფორმაციით, ჯავაში ქართველ დივერსანტთა ჯგუფი გაანადგურეს. ვერსია მეორე: იმავე ცხინვალის არაღიარებული ხელისუფლების განცხადებით, დივერსიული ჯგუფის წევრები პანკისის ხეობიდან გადასული ჩეჩნები აღმოჩნდნენ. მიუხედავად ვერსიათა ცვალებადობისა, სეპარატისტების პათოსი უცვლელი იყო: ოსური მხარე ყველა შემთხვევაში ხელს ადებდა ქართულ სპეცსამსახურებს, როგორც ტერაქტის ორგანიზატორს. ოფიციალურმა თბილისმა სეპარატისტთა განცხადებები პროვოკაციად შეაფასა.*

გუშინ ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ქართველი დივერსანტების განადგურების შესახებ რუსული მედია ინფორმაციას "სამხრეთ ოსეთის" ინფორმაციისა და ბეჭდვითი კომიტეტის ხელმძღვანელის, ირინა გაგლოევას კომენტარზე დაყრდნობით ავრცელებდა.

დილის 6 საათზე ჯავის რაიონის სოფელ კვაისასთან ოსმა სამართალდამცავებმა ოთხი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი შეამჩნიეს, რომლებიც სამხედრო შეტაკების შედეგად დაიღუპნენ, - იუწყებოდა გაგლოევა.

დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დივერსიული ჯგუფის წევრები შეიარაღებულნი იყვნენ და თან ჰქონდათ დიდი რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერება. ისინი ტერაქტის მოწყობას აპირებდნენ.

ოსურმა მხარემ არ დააყოვნა და შეფასებებიც გააკეთა. **"დივერსიული ჯგუფის მიზანი იყო 12 ნოემბრის რეფერენდუმისა და საპრეზიდენტო არჩევნების წინ ტერაქტების განხორციელება,"** - ასეთი იყო გაგლოევას კომენტარი.

შუადღისას ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ დილით გავრცელებული საკუთარი ინფორმაცია უარყო და განაცხადა, რომ ჯავაში განადგურებული დივერსიული ჯგუფის წევრები არა ქართველები, არამედ პანკისის ხეობიდან გადასული ჩეჩნები აღმოჩნდნენ. ოსები ამტკიცებდნენ, რომ მოკლული დივერსანტები ჯავაში საქართველოს ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებდნენ. ამასვე იუწყებოდა დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი სააგენტო "ინტერფაქსთან" კომენტარისას. **"ეს ადასტურებს ცნობებს იმის თაობაზე, რომ საქართველოს სპეცსამსახურები აქტიურად იბირებენ ქისტებს და ჩეჩენ ბოევიკებს ცხინვალში ტერორისტული აქტების განსახორციელებლად,"** - იუწყებოდა გუშინ რუსული სააგენტო "ინტერფაქსი".

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსული კანონმდებლობის ახალი გასართობი

B

*ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში გაცხადებული დაპირების შესაბამისად, რუსეთში მალე გაჩნდება კანონი სხვა სახელმწიფოთა მიმართ სანქციების გამოყენების შესახებ. ეს კანონი, როგორც მის პრეამბულაში წერია, უფლებას მისცემს რუსეთის პრეზიდენტს, საკუთარი შეხედულებისამებრ შეზღუდოს კავშირები იმ ქვეყანასთან, რომელსაც რუსეთისთვის საფრთხის შემცველად მიიჩნევს. მართალია, თვით რუსი ექსპერტებიც აღიარებენ, რომ კანონში გაწერილი უფლებამოსილებების უმეტესობა რუსეთის პრეზიდენტს დღესაც აქვს, მაგრამ საგანგებო კანონის ამოქმედება მის სამომავლო მოქმედებებს უფრო თანმიმდევრულ და მყარ იურიდიულ საფუძვლებს შეუქმნის.*



# ჯაბა კანკავა - უკრაინის ნაკრების საბაზო ბუნდში




# ჟოზე მანუელ ბაროზუ: "ჩვენ გვსურს შემდგომი გაფართოება"

*რამდენიმე დღის წინ ვარშავაში ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ იმყოფებოდა. მას პოპულარული პოლონური ჟურნალის "Polityka"-ს ჟურნალისტები შეხვდნენ. რესპონდენტმა ევროკავშირის მომავალ გაფართოებაზე ისაუბრა და ამ ასპექტში საქართველოც მოიხსენია. გთავაზობთ ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.*

**- ცენტრალური ევროპის ქვეყნებში - ჩეხეთში, უნგრეთში და, ბოლო დროს, პოლონეთშიც პოლიტიკური დესტაბილიზაციაა. ხომ არ ფიქრობთ, რომ რეგიონი ევროკავშირს პრობლემებს უქმნის?**

- მეც ისეთი დემოკრატიის ქვეყანაში დავიბადე, როგორიც წლების განმავლობაში პოლონეთი იყო. შემდეგ დადგა გარდამავალი პერიოდი, რისი დასრულებისთანავე პორტუგალია ევროკავშირში შევიდა.

გარკვეული პოლიტიკური არასტაბილურობა და პოლიტიკური კრიზისი მხოლოდ ევროკავშირის ახალ წევრებს არ ახასიათებთ. მსგავსი მოვლენები ევროპის თითქმის ყველა ქვეყნისათვისაა დამახასიათებელი. ამგვარი ქვეყნების კლასიკური მაგალითია იტალია. პოლონეთში კი მე ვხედავ დინამიურ საზოგადოებას და სწრაფი ტემპებით განვითარებად ეკონომიკას. განა შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ქვეყანა კრიზისშია? ისე კი, ქვეყნისთვის ეკონომიკურ სტაგნაციას პოლიტიკური კრიზისი სჯობს. ევროპაში ბევრი იშვერს ხელს პოლონეთისკენ და გვარწმუნებს, რომ გაერთიანებული ევროპა არ ფუნქციონირებს. ასეთი პოზიცია მცდარია. ევროპის გაერთიანება მშვენიერი რამ იყო. ამით, ცხადია, პოლონეთიც სარგებლობს და ევროკავშირიც.

**- როგორც ჩანს, მომავალში "ორი განზომილების" ევროპა გველოდება - "კარგი" და "ცუდი" ქვეყნების.**

- ცხადია, არსებობს აზრი, რომ ევროპა არის ამა თუ იმ კრიტერიუმით დაწინაურებული ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ თანამშრომლობენ. მე მიმაჩნია, რომ მჭიდრო კავშირები ქვეყნებს შორის არსებობს და იარსებებს. მაგალითად, შენგენის ჯგუფი ან ევროს ზონა. მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უფრო გავააქტიუროთ კავშირები მთელი გაერთიანების მასშტაბით: ევროკავშირი ასეთი სოლიდარობის გარეშე არაა კავშირი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბაქოს გავლით - მოსკოვში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი გუშინ მოსკოვში გაემგზავრა, სადაც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას დაესწრება. დაგეგმილია ასევე გელა ბეჟუაშვილის ორმხრივი შეხვედრები თავის კოლეგებთან, რომელზეც სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით იმსჯელებენ. გავრცელებული ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში მოხდება რუსეთისა და საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაც.

მოსკოვში გამგზავრებისას, 2006 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ხანმოკლე ვიზიტით აზერბაიჯანის დედაქალაქში შეჩერდა, სადაც გამართა შეხვედრები აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ელმარ მამედიაროვთან და მილი მეჯლისის (პარლამენტის) თავმჯდომარესთან ოგთაი ასადოვთან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება, რომ მხარეებმა განიხილეს ორმხრივი ურთიერთობების პერსპექტივები, საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესის მიმდინარეობა, თანამშრომლობა ენერგეტიკულ, ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში, ურთიერთქმედება სუამ-ის ფარგლებში.

საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ გაიმართა ერთობლივი პრესკონფერენცია, რომელზეც ბეჟუაშვილს რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობების შესახებაც მოუწია საუბარი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# გამოძიება საარჩევნო დარღვევებზე

*2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნებიდან ორ დღეში, გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო მარნეულის N22 საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნებზე, თვითმმართველობისა და მმართველობითი ორგანოს არჩევნებისას, ამომრჩევლის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის, საარჩევნო კომისიების ზოგიერთი წევრის კომისიაში რწმუნებულად და მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო დოკუმენტის გაყალბების, ხმების განზრახ არასწორად დათვლისა და არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამების ფაქტზე.*

ჩვენი ინფორმაციით, გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო გენერალურ პროკურატურაში საერთაშორისო ორგანიზაცია international Crisis Group-ის წევრების - ვუგარ გოჯაევის და გიორგი გოგიას განცხადება, მარნეულის N22-ე საოლქო საარჩევნო კომისიის ზოგიერთ უბანზე აღმოჩენილი დარღვევების შესახებ.

როგორც გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში განმარტავენ, საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით უკვე დადგენილია, რომ აღნიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის N18, სადახლოს N29, N30, შულავერის N55, საბირკენდის N11-ე და არაფლოს N56-ე საარჩევნო უბნებზე ამ უბნების თავმჯდომარეებმა, ამომრჩეველთა მაღალი აქტივობის დაფიქსირებისა და კონკრეტული პოლიტიკური პარტიისთვის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის") ხმების დიდი რაოდენობის მიღების მიზნით, სერიოზული და უხეში შეცდომები დაუშვეს.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დაირღვა მარკირებისა და ხმის მიცემის პროცედურა - კერძოდ, ადგილი ჰქონდა სავალდებულო მარკირების შემოწმების გარეშე, სარეგისტრაციო მაგიდასთან ამომრჩევლების მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას და სავალდებულო მარკირების გავლის გარეშე ხმის მიცემას.

გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ საარჩევნო უბნებზე მოხდა ერთი და იმავე პირის მიერ ხმის მიცემის უფლების არაერთხელ გამოყენება; ასევე, მოხდა საარჩევნო დოკუმენტების, კერძოდ სამაგიდო საარჩევნო სიების გაყალბება.

## მიხეილ სააკაშვილი სამუშაო ვიზიტით ისრაელში გაემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს სამუშაო ვიზიტით ისრაელში გაემგზავრება.

ვიზიტი 2 ნოემბრამდე გაგრძელდება. საქართველოს პრეზიდენტი ისრაელის პრემიერ ეჰუდ ოლმერტს შეხვდება.

სააკაშვილი საქართველოდან წასულ და ამჟამად ისრაელში მცხოვრებ ებრაელებსაც შეხვდება. **ინტერპრესნიუსი**

## ნინო ბურჯანაძე ეუთოს ექსპერტებს საპარლამენტო ოპოზიციის ფინანსური და სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლას სთხოვს

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ეუთოს ექსპერტებს, საპარლამენტო ოპოზიციის ლეგალური და ფინანსური დახმარების მიზნით, მათი მდგომარეობის შესწავლას სთხოვს.

ნინო ბურჯანაძემ ამ საკითხზე პარლამენტის რეფორმათა ცენტრს მიმართა, რომელმაც, თავის მხრივ, ეუთოს სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის გამოყოფა, რომელიც საპარლამენტო ოპოზიციის ფინანსურ და სამართლებრივ მდგომარეობას შეისწავლის.

პარლამენტის თავმჯდომარისა და ეუთოს წარმომადგენლების - გიომ სიმენსკისა და მარი კარენგენდერბერგის შეხვედრა გუშინ დახურული ფორმატით წარიმართა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო ნაკაშიძე.

დეპუტატ ნინო ნაკაშიძის განცხადებით, პარლამენტმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ოპოზიციასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის და ეუთო-ს სთხოვა, გამოყოს ექსპერტები, რომლებიც პარლამენტს მისცემენ რეკომენდაციებს, როგორ გაუმჯობესდეს საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციის მუშაობის პირობები.

"ეს არის ოპოზიციისკენ გადადგმული ნაბიჯი პარლამენტის თავმჯდომარე და უმრავლესობა შემხვედრ ნაბიჯებს ოპოზიციისგანაც ელოდება", - დასძინა მან. **ინტერპრესნიუსი**

## კოკოითი საქართველოსთან ურთიერთობის დაძაბვისთვის მიზეზს ეძებს

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადებით, ოსური მხარის მტკიცება, თითქოს მათ ჯავაში ქართული დივერსიული ჯგუფი გაანადგურეს, მორიგი დეზინფორმაციაა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის განმარტებით, ცხინვალის დე ფაქტო ხელმძღვანელობა მსგავსი სიცრუის გავრცელებით საკუთარი დაცემული ავტორიტეტის ამაღლებას ცდილობს.

ასევე, განცხადებაში აღნიშნულია, რომ ზემოხსენებული დეზინფორმაციის გავრცელების შემდეგ კოკოითმა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ პროვოკაციას დე ფაქტო ხელისუფლებამ სწორედ კოკოითის უარის მოტივირების მიზნით მიმართა. **მედიანიუსი**

## "ევროპელი" ქართველები პროტესტს აცხადებენ



27 ოქტომბერს ჰააგაში, რუსეთის საელჩოს წინ რუსეთის მიერ ადამიანთა უფლებების დარღვევის, ქართველთა დევნისა და დეპორტაციის, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ეკონომიკური სანქციების გამო საპროტესტო აქცია გამართეს "ევროპელმა" ქართველებმა. აქციის ორგანიზატორის, ჰოლანდიაში ქართული დიასპორის ხელმძღვანელის მარეხ ტოგონიძის თქმით, ისინი პროტესტს აცხადებენ რუსეთის იმ აგრესიული პოლიტიკის გამო, რასაც საქართველოს მიმართ ახორციელებს. "საჭიროა თანამშრომლობა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთპატივისცემა. საქართველოს აქვს არჩევანის უფლება და ეს ევროპული არჩევანია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს ილონებენ ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად. მხარს ვუჭერთ ბატონ პრეზიდენტს და გვინდა დავარწმუნოთ, რომ "ევროპელი" ქართველები ამ დაძაბულ ვითარებაში ხელისუფლებასთან ვართ; დღეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც განსაკუთრებით გვჭირდება ერთიანობა ქართველებს, - განაცხადა მარეხ ტოგონიძემ.

აქციის მონაწილეები დროშებით, პლაკატებით და ვარდებით მიადგნენ რუსეთის საელჩოს და საპროტესტო წერილი გადასცეს რუსეთის ელჩს.

ასევე, საქართველოს ხელისუფლების მხარდამჭერი და რუსეთის ქმედებების საწინააღმდეგო საპროტესტო წერილები გადაეცათ ამერიკის და საფრანგეთის საელჩოებს, ჰოლანდიის პარლამენტს. წერილების შინაარსი გააცნეს ევროპაში ვიზიტად მყოფ საქართველოს პირველ ლედის სანდრა რულოვსს.

აქციაში 50-ზე მეტი ქართველი და ჰოლანდიელი მონაწილეობდა. იგეგმება განმეორებითი საპროტესტო აქცია, რომელიც გაცილებით დიდი მასშტაბების იქნება და რომელსაც უფრო მეტი "ევროპელი" ქართველი და ჰოლანდიელი შეუერთდება.

# სარჩელი თითქმის მზადაა

ნათია მსხილაძე

*რუსეთიდან დეპორტირებულთა საქმის შემსწავლელ საპარლამენტო კომისიას იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ სამინისტროს მიერ მოპოვებული ინფორმაცია მიაწოდა. მინისტრის განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, თითოეულ დეპორტირებულზე ცალკე მასალების შეგროვება და მათი დეტალური ანალიზი მოხერხდა. ასევე, იუსტიციის სამინისტრომ წარადგინა რუსი პოლიტიკოსების გამონათქვამები ეთნიკური ქართველების მისამართით და რუსული პრესის დეტალური ანალიზი. ქავთარაძის განცხადებით, სამინისტროს აქვს მასალები იმასთან დაკავშირებით, რომ საჰაერო გზით რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში 464 დეპორტირებული შემოვიდა. არსებობს მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც საქართველოში მესამე ქვეყნის გავლით მოხვდა. სამინისტრომ ინფორმაციები შეაგროვა არა მხოლოდ თბილისში, არამედ ახალქალაქში, ზუგდიდში, რუსთავში, ქუთაისსა და ფოთში.*



რუსეთიდან დეპორტირებულთა საქმის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის სხდომა დახურულ კარს მიღმა გაიმართა. იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის განმარტებით, დეპორტირებულების თხოვნით, მათი პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტები გახმაურებული არ უნდა ყოფილიყო და სხდომა ამიტომაც დაიხურა.

ქავთარაძის განმარტებით, სამინისტრომ თითქმის უკვე მოამზადა სარჩელი, რომელიც ადამიანთა უფლებების დაცვის სტრასბურგის სასამართლოში გაიგზავნება. სარჩელი რამდენიმე დღეში საბოლოო სახეს მიიღებს და მასში ერთ-ერთი დეპორტირებულის გარდაცვალების ფაქტი ცალკე ფაქტად არ იქნება განხილული, ის სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს სხვა ფაქტებთან ერთად წარედგინება.

უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო კომისია სტრასბურგში წარსადგენ სარჩელთან დაკავშირებით არ იმუშავებს და სარჩელი მხოლოდ იუსტიციის სამინისტროში მომზადდება. საპარლამენტო საგამოძიებო კომისია კი, დამოუკიდებლად გააგრძელებს მუშაობას და ის პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებებსაც დამოუკიდებლად გამოაქვეყნებს. **"სარჩელი დაფუძნებულია ევროკონვენციის შემდეგ მუხლებზე: კოლექტიური გაძევების აკრძალვა, უცხოელთა მიმართ სამართლებრივი გარანტიების არარსებობა, სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, ოჯახური ცხოვრების უფლება, საკუთრების უფლება, განათლების უფლება, დაცვის ეფექტური საშუალებები, დისკრიმინაციის აკრძალვა და უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა. სამინისტროს მტკიცების სახით აქვს 50-ზე მეტი დეპორტირებულის ჩვენებაც. არსებობს 50 დივიდი-დისკი, ვიდეო და აუდიო ჩანაწერი, რომლებსაც პარლამენტის საგამოძიებო კომისია დეტალურად გაეცნობა"**, - აცხადებს ქავთარაძე.

დეპორტირებულთა საქმეების შემსწავლელი კომისია არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციის მოსმენას ერთ სხდომას დაუთმობს. ეს გადაწყვეტილება კომისიის თავმჯდომარემ, ნიკა გვარამიამ მას შემდეგ მიიღო, რაც ოპოზიციონერმა დეპუტატებმა განცხადება გააკეთეს, საქართველოს მოქალაქეების დევნის ფაქტების არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შესწავლის თაობაზე. "დემოკრატიული ფრონტის" წევრ გია თორთლაძის თქმით, "რესპუბლიკური პარტიის" წევრს, იურისტ თინა ხიდაშელს მზად აქვს 500 დეპორტირებულის საქმე, რომელიც დეტალურად არის შესწავლილი და თითოეული დეპორტირებულის შემთხვევაში კონკრეტული დასკვნებია გაკეთებული. თორთლაძის განცხადებით, ხიდაშელი მზად არის, საპარლამენტო კომისიასთან ითანამშრომლოს და მოპოვებული მასალები გადასცეს.

ხიდაშელის გარდა, სხდომაზე მოიწვევენ "ახალგაზრდა იურისტებს" და "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლებს. საპარლამენტო კომისია ავრცელებს საკონტაქტო ტელეფონებსა და ელექტრონული ფოსტის მისამართებს, რომელთა გავრცელებასაც მასმედიის საშუალებებს სთხოვს.

რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ქმედებების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის საკონტაქტო ტელეფონებია: (995 32) 282113, 899 324140, ელექტრონული ფოსტა: Commdeport@parliament.ge, Commdeportadmin@parliament.ge

# ვის უხმობს ნაციონალური მოძრაობის ზარი?

ია ანთაძე

ცენტრალური საარჩევნო კომისია იუწყება, რომ 5 ოქტომბერს არჩევნებზე საქართველოს მთელი ელექტორატის 48 პროცენტი გამოცხადდა, უფრო ზუსტად - 1 539 915 ადამიანი. მათგან მმართველ პარტიას ხმა მისცა 1 187 007-მა, ესე იგი, არჩევნებზე მისულთა 77-მა პროცენტმა. ნაციონალური მოძრაობა პირველ ადგილზე გავიდა აბსოლუტურად ყველა საარჩევნო ოლქში.

ასეთი ერთგვაროვანი შედეგი თავისთავად ბადებს ფიქრის საფუძველს: ან მმართველი პარტია შეურყეველი ნდობით სარგებლობს საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ მოზრდილ ნაწილში, ან არჩევნების შედეგები ტოტალურად გაყალბდა, ან საარჩევნო ელექტორატი მეტისმეტად იოლად დაექვემდებარა გავლენას ხელისუფლების მხრიდან.

ვის უხმობდა ნაციონალური მოძრაობის ზარი 5 ოქტომბერს?

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგი ადეკვატურად რომ ასახავდეს საზოგადოების დამოკიდებულებას პრეზიდენტის პარტიის მიმართ, ქვეყანაში ხელისუფლებით ერთსულოვანი აღფრთოვანება უნდა სუფევდეს. ეს რომ ასე არ არის, სხვა ფაქტორებთან ერთად, თუნდაც, იმით დასტურდება, რომ ელექტორატის ნახევარზე მეტი არჩევნებზე საერთოდ არ წავიდა. უნდა გამოირიცხოს ტოტალური გაყალბებაც, რადგან ყველაზე მწვავე პოლიტიკურ ოპონენტებსაც კი ამგვარი პრეტენზია ხელისუფლებისთვის არ წაუყენებიათ.

შესაძლებელია თუ არა, ვიფიქროთ, რომ არჩევნების შედეგზე არსებითი გავლენა მოახდინა მესამე ფაქტორმა: ხელისუფლების ენერგიულმა წინასაარჩევნო კამპანიამ და მისმა ზემოქმედებამ საქართველოს მოსახლეობის ნაწილზე? მართლაც, სავარაუდოა, რომ არჩევნებზე, ძირითადად, ის ადამიანები წავიდნენ, რომლებიც 5 ოქტომბრის დილას მზად აღმოჩნდნენ ხელისუფლების მხარდაჭერისთვის. თუმცა, შესაძლოა, იგივენი სხვა დროს სხვაგვარად ფიქრობდნენ.

მიხეილ სააკაშვილს მათ დასარწმუნებლად ახალი არაფერი გამოუგონია. პრიმიტიული ლოზუნგებით გაჯერებული საინფორმაციო შტურმი და ამომრჩეველთან უშუალო კონტაქტი პრეზიდენტის საარჩევნო სტილია. როგორც იტყვიან, კაცია და გუნება... ამ სტილის წარმატებისთვის აუცილებელია, რომ მეორე მხრიდან მას ხვდებოდეს ადამიანი-მასის ნაწილი და არა ადამიანი-ინდივიდი. ამ ორს შორის კი დიდი სხვაობაა. ინდივიდს ახასიათებს რაციონალური აზროვნება და ანალიზის უნარი, მიდრეკილება საკუთარი უფლებების დაცვისკენ და თავისუფლებების განხორციელებისკენ. ასეთი ადამიანი ხელისუფლებისგან ითხოვს თითოეული მოქალაქის ბედის მიმართ გულისხმიერებას, პიროვნების ღირსების პატივისცემას, თანამონაწილეობას, სიმართლეს და გამჭვირვალებას. მეორე მხრივ, ადამიანი, რომელიც მასის ნაწილია, გაცილებით დაცულად გრძნობს თავს, თუკი ბევრს არ მოსთხოვენ, თუკი სხვა გადაწყვეტს, რა არის სწორი და საჭირო. ამგვარი ადამიანი გულწრფელ აღტაცებას განიცდის პატრიოტულ აღლუმებზე, ქუჩის ხალხმრავალ დღესასწაულებზე, სხვადასხვა პროფილის ბანაკებში; ძლიერდება სხვების გვედრით და საყრდენებს საკუთარი თავის მიღმა ეძებს.

შემთხვევითი არ არის წარწერა საქართველოს ახალ გერბზე: "ძალა ერთობაშია!" და არც "ვარდების" ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლოზუნგი: "ჩვენ ერთი გუნდი ვართ!" საქმე ისაა, რომ ადამიანების ერთობა შეიძლება იყოს ინდივიდების ჯგუფი, რომელიც მრავალფეროვნებას ინარჩუნებს ან მასა, რომელიც ერთგვაროვანია. ინდივიდების ჯგუფთან ურთიერთობისას საჭიროა არგუმენტირება, დარწმუნება, პრობლემის სხვადასხვა წახნაგის მოძებნა, არსში ჩაღრმავება. მასასთან ურთიერთობას კი ახასიათებს შთაგონება, ერთისა და იმავეს მრავალგზის გამეორება, ემოციურობა, ფორმისთვის უპირატესობის მინიჭება, სიმულაცია.

ვინც საქართველოში ცხოვრობს, კარგად იცის, რა მიზანს ისახავდნენ ის ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ლოზუნგი "ჩვენ ერთი გუნდი ვართ!" - პიროვნებების გაერთიანებას თუ მასის მობილიზაციას. მიხეილ სააკაშვილი რევოლუციური ლიდერია. მას ბუნებრივად ახასიათებს ინტერესი ხალხის - და არა ადამიანის - მიმართ. შესაბამისად, მისთვის არსებითი ინსტრუმენტია ტელევიზია, მაგრამ უმნიშვნელოა რადიო ან გაზეთი; მისთვის გამაღიზიანებელია ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც ხალხისგან აშორებს, მაგრამ სულერთია ყველაფერი, რაც ერთ, ორ ან, თუნდაც, ორ ათეულ ადამიანს ეხება. სწორედ ამის გამო, საქართველოში მოკლეს ჟურნალისტური გამოძიება, მაგრამ წაახალისეს შუალამის ინტელექტუალური საუბრები, რითიც ფორმალურად მოიხადეს ვალი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის წინაშე.

რაკი 2004 წლიდან ყველა არჩევნები ნაციონალურმა მოძრაობამ დიდი უპირატესობით მოიგო, გამოდის, საქართველოში ადამიანი-ინდივიდი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ადამიანი-მასის ნაწილი. ეს იმპერიის მავნე მემკვიდრეობაა, რის დაძლევას თავისუფლებაში გაზრდილი ახალი თაობა სჭირდება. თუმცა, მათ ასპარეზზე გამოსვლამდე, ფიქრსა და განსჯას ჩვენც არავინ გვიშლის.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით.*

# სოციალური დახმარების ხარვეზები

*მას შემდეგ, რაც საქართველოში სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, ზოგიერთი მოქალაქისთვის კვლავ უცნობია, თუ რა კრიტერიუმების გათვალისწინებით ინიშნება შემწეობა. გაჩენილი კითხვებიც თითქმის ყოველთვის უპასუხოდ რჩება.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

რამდენიმე დღის წინ გურჯაანის რაიონში ამ საკითხთან დაკავშირებით, "ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტისა" და გაზეთ "სპექტრის" ინიციატივით, მრგვალი მაგიდა მოეწყო. სიღატაკის დაძლევის პროგრამის რეგიონული და რაიონული განყოფილებების წარმომადგენლებს იმ ადამიანების კითხვებზე უწევდათ პასუხის გაცემა, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაში ვერ მოხვდნენ.

**"როცა სოციალური აგენტი მოვიდა და სახლი შემიმოწმა, რა თქმა უნდა, თავად ნახა რა პირობებიც მაქვს - ცემენტზე ვცხოვრობ, მხოლოდ სამი ლეიბის ამარა ვარ, შემოსავალი არსაიდან მაქვს. აგენტი რაღაც კითხვებს მისვამდა, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ მან სწორად ჩაწერა. მე რა ვიცი ის რას წერდა, ან ხელი რაზე მომაწერინა. ფაქტი ის არის, რომ ძალიან გაჭირვებული ვარ და ამ პროგრამაში ვერ მოვხვდი,"** - გულისტკივილით უამბო პროექტის წარმომადგენლებს გურჯაანელმა ციური კუპრაშვილმა. თითქმის იგივეს ჰყვებიან სხვებიც და პროგრამის არასამართლიანად განხორციელებაზე საუბრობენ. **"იმ ოჯახებს დაენიშნათ ფულადი დახმარება, ვისაც ავტომობილიც აქვთ და ასევე შემოსავლის სხვა წყაროც გააჩნიათ, გაჭირვებულ ადამიანს კი, ვაუჩერებითა და პოლისებით აგვიხვიეს თვალები, ეს სამართალია? ჩვენ და ჩვენნაირებს დღეს ფული გვჭირდება, რომ პური ვიყიდოთ. იქნებ გულთან მიიტანოთ ჩვენი პრობლემები,"** - ამბობს ჟუჟუნა ზარიძე.

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, შემწეობა იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომელთა მონაცემებიც 52 ათას ქულაზე ქვემოთ განისაზღვრება.

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს კახეთის რეგიონული ცენტრის უფროსი ოთარ სესიკაშვილი არ უარყოფს, რომ პროგრამის განხორციელებისას დარღვევებია გამოვლენილი. **"რა თქმა უნდა, მცირედი ხარვეზები არის, მაგრამ ისინი აუცილებლად გამოსწორდება. თუმცა, დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, კონკრეტული ფაქტები უნდა დასახელდეს, რის შემდეგაც მოხდება ხელახალი გადამოწმება და შედეგიც მხოლოდ ახალი მონაცემების შემდეგ განისაზღვრება,"** - ამბობს იგი.

მრგვალ მაგიდაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების პრეტენზიები ძირითადად სოცაგენტების მისამართით ისმოდა. **"ვიცი შემთხვევები, როცა აგენტს დეკლარაცია სახლის შემოწმების გარეშე, ეზოში შეუვსია. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ მათი მუშაობა ორიანით შეიძლება შეფასდეს. დაბალი ქულები სწორედ მათ ახლობლებს და ნათესავებს ერგოთ. მე მაქვს იმ ადამიანების სია, ვისაც ყოველდღიური შემოსავალი, უცხოური მარკის მანქანები, მიწის დიდი ნაკვეთები, მაღაზიები გააჩნიათ და დაბალი ქულები მიიღეს. ამ დროს კი, რეალურად არიან გაჭირვებული ოჯახები, რომლებიც მაღალი ქულებით შეფასდნენ. ჭორის დონეზე ვიცი, რომ აგენტები ოც-ოც ლარსაც იღებენ და სანაცვლოდ კი, მათთვის სასურველ შეფასებას იძლევიან. თუმცა, ამის დამტკიცება გამიჭირდება,"** - ამბობს "კორუფციასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის კავშირის" ხელმძღვანელი ბორის მამისაშვილი და დასძენს, რომ მოპოვებულ მასალას, რომელიც დარღვევებს და სხვა საეჭვო ფაქტებს უკავშირდება, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს გადასცემს.

ოთარ სესიკაშვილი კი აგენტების მუშაობით კმაყოფილია და მათ მიმართ წაყენებულ პრეტენზიებს უსაფუძვლოს უწოდებს. **"თუ ბენეფიციარს აგენტის მიერ შევსებულ დეკლარაციაში ეჭვი ეპარება, შეუძლია წაიკითხოს, გაეცნოს და ხელი ისე მოაწეროს. დამერწმუნეთ, რომ არც ერთი საჩივარი უყურადღებოდ არ დარჩება. თითოეული რაიონულ განყოფილებაში შექმნილია საკონტროლო ჯგუფები, რომლებიც აბსოლუტურად ობიექტურად იმუშავებენ"**.

ამ დროისათვის სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს კახეთის რეგიონული ცენტრის მონაცემებით, კახეთში შემწეობა 13 ათას ოჯახს აქვს დანიშნული. ელექტროენერგიაზე ვაუჩერი 37 ათას 133 ოჯახმა მიიღო, სამედიცინო პოლისი კი - 31 ათას 512-მა. **"კახეთში სულ 14 ათას ოჯახზეა შემწეობა მოსული, მაგრამ ამჟამად ათას ორას ოჯახთან ურთიერთობა დროებით შევაჩერეთ, რადგან ჯერ კიდევ გაურკვეველია, ეკუთვნით თუ არა მათ ეს შემწეობა,"** - ამბობს ოთარ სესიკაშვილი.

პროექტის საბიუჯეტო თანხები ჯერჯერობით 2007 წლის იანვრამდეა გათვლილი, თუმცა შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელობის თქმით, პროგრამა კვლავაც გაგრძელდება.

*მოკლედ*

### კოკოითს ჩრდილო კავკასიელების საქართველოსთან დაპირისპირება სურს

გუშინ ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების ხელმძღვანელი ედუარდ კოკოითი ნალჩიკში ყაბარდო-ბალყარეთის პარლამენტის წევრებს შეხვდა და მათ საქართველოს ხელისუფლების მიერ ოსი ხალხის "გენოციდის" აღიარებისკენ მოუწოდა.

კოკოითის განმარტებით, ნალჩიკში მისი ვიზიტის მიზანი საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე ჩრდილო კავკასიელი ხალხის ყურდღების გამახვილებაა. სეპარატისტთა ლიდერის თქმით, ქართულ-ოსური კონფლიქტი ეთნიკური ხასიათის დაპირისპირება არ არის. პრობლემის არსი კი, კოკოითის აზრით, თურმე ისაა, რომ საქართველო ოსებისთვის დასავლური დემოკრატიის ნორმების თავს მოხვევას ცდილობს და ეს ნორმები არასოდეს არ დადგება კავკასიურ კანონებზე მაღლა. **მედიანიუსი**

### აფხაზთა შს მინისტრი გალის რაიონის კონტროლით კმაყოფილია

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრის ოთარ ხეციას თქმით, გალის რაიონში მშვიდი ვითარებაა და ბოლო დღეების განმავლობაში რაიმე სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა.

ხეციას თქმით, გალის რაიონში დამატებითი ძალების შეყვანა არ იგეგმება, რადგან აფხაზები სრულად აკონტროლებენ სიტუაციას, როგორც გალის რაიონში, ისე კოდორის ხეობის ქვემო ნაწილში. **მედიანიუსი**

### პენტაგონში საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი ქვეგანყოფილება შეიქმნა

პენტაგონში საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი ქვეგანყოფილება შეიქმნა. მის ამოცანას ერაყში განვითარებული მოვლენების საინფორმაციო-პროპაგანდისტული უზრუნველყოფა და ამ პრობლემის მიმართ საზოგადოების დაინტერესების გაზრდა წარმოადგენს.

საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, ახალი დეპარტამენტის მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება ინტერნეტს დაეთმობა. აშშ-ს თავდაცვის მდივნის დონალდ რამსფელდის განცხადებით, ქვეგანყოფილების ძალისხმევა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ერაყში განვითარებული მოვლენების "არაზუსტ" ასახვასთან ბრძოლისკენ იქნება მიმართული. თეთრი სახლი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ "ბოევიკები", არა მხოლოდ ერაყში, ინტერნეტის საკუთარ ინტერესებში გამოყენებას ახერხებენ. **ინტერპრესნიუსი**

### ამერიკელი კონგრესმენი დანკან ჰანტერი პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძოლებს

დანკან ჰანტერმა, რომლის სახელიც არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლას უკავშირდება, განაცხადა, რომ "რესპუბლიკელების" მთავარი ფავორიტია პრეზიდენტობის პოსტზე.

დანკან ჰანტერს უკავშირდება ბოლო დროს მექსიკასთან კედლის აშენების პროექტი, რომლითაც აშშ არალეგალურ მიგრანტებთან ბრძოლას გეგმავს.

ჰანტერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ასრულებს მუშაობას კონგრესში შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე და "იწყებს ბრძოლას პრეზიდენტობის კანდიდატობის მოსაპოვებლად".

ამერიკელი კონგრესმენის განცხადებით, საკუთარ გადაწყვეტილებაზე მას პარტიის ლიდერთან არ უსაუბრია და ეს მისი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა.

დანკან ჰანტერმა საპრეზიდენტო არჩევნებამდე შიდაპარტიულ არჩევნებში უნდა გაიმარჯვოს.

ამ დრომდე დანკან ჰანტერი "რესპუბლიკელთა" ფავორიტების რიცხვში არ შედიოდა. ექსპერტები ყველაზე რეალურ კანდიდატებად სენატორ ჯონ მაკკეინსა და ნიუ იორკის ყოფილ მერს რუდოლფ ჯულიანის მიიჩნევენ. **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთის პრეზიდენტობაზე პრეტენზია არხანგელსკის მერმაც გამოთქვა

რუსეთის პრეზიდენტობის სურვილი არხანგელსკის მერმა ალექსანდრ დონსკოიმ გამოთქვა.

როგორც არხანგელსკის მერმა ჟურნალისტებს განუცხადა, პრეზიდენტობის შემთხვევაში, ის გზების მშენებლობით, სიღარიბესთან ბრძოლითა და კომუნალური პრობლემებით დაკავდება.

მისივე თქმით, ქალაქში მიმდინარე პოზიტიური საქმიანობა "შეიძლება მთელი ქვეყნის მასშტაბითაც წარმოებდეს".

რუსეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ კონსტიტუციის შეცვლას არ გეგმავს და მესამე ვადით პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას არ აპირებს. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).

# ვაჰაბიტები "პირველს" არ ეწევიან

პირველი გვერდიდან

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ოსების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე თავიდანვე გამოთქვა ეჭვი, რომ ეს სეპარატისტების მიერ მოწყობილი მორიგი პროვოკაცია იქნებოდა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული ქართული სამშვიდობო ძალების სარდალმა პაატა ბედიანაშვილმა ოსების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ვერ დაადასტურა. ბედიანაშვილმა ქართულ სააგენტო "ინტერპრესნიუსს" განუმარტა, რომ ჯავის რაიონი კონფლიქტის ზონაში არ შედის და, აქედან გამომდინარე, ქართულ მხარეს იქ მონიტორინგის ჩატარების უფლება არ გააჩნია. ბედიანაშვილი იმავდროულად, რუსული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელს კულახმეტოვს არაინფორმირებულობაში ამხელდა. **"კულახმეტოვმა ისიც ვერ დაგვიდასტურა, ნამდვილად არიან თუ არა მოკლულები ჯავის რაიონში,"** - აღნიშნავდა გუშინ დილით ბედიანაშვილი.

გუშინვე განცხადება გაკეთა ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა. კოკოითის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებას ტერაქტებით 12 ნოემბრის არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩაშლა სურს, რის გამოც მასთან ყოველგვარ მოლაპარაკებას წყვეტს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, გარკვეული ძალები რეგიონში დესტაბილიზაციის შექმნით არიან დაინტერესებული, რაც ჩვენი ქვეყნის ინტერესებში არანაირად არ შედის. **"ბოლო დროს მსგავსი ინფორმაციები ხშირად ვრცელდება, რაც მაძლევს საფუძველს ვიფიქრო, რომ ვიღაცას რეგიონში დაძაბულობის ხელოვნურად შექმნა სურს. ჩვენ პრობლემის მოგვარებას მხოლოდ მშვიდობიანი გზებით ვცდილობთ და დესტაბილიზაცია საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში არ შედის. ნათლად ჩანს, რომ საერთაშორისო არენაზე ამის სერიოზული პერსპექტივა არსებობს"**, - აღნიშნა ბეჟუაშვილმა.

რუსული სააგენტოებით გავრცელებული ინფორმაციები და რუსული ტელეკომპანიებით გადაცემული კადრები გუშინ მთელი დღის განმავლობაში ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ. რუსული მედია, სეპარატისტებზე დაყრდნობით, ურთიერთგამომრიცხავ ფაქტებს ავრცელებდა. ამის თაობაზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც გვამები წინდაცვეთილები აღმოჩნდნენ, სეპარატისტებს მოუხდათ ინფორმაციის შეცლა, რომ მოკლულები ქართველები კი არა, ჩეჩნები იყვნენ. **"შემდეგ დაიწყეს აპელირება, რომ მოკლულები ვაჰაბიტი ჩეჩნები არიან პანკისის ხეობიდან. მინდა გითხრათ, რომ აქაც სერიოზული უზუსტობაა დაშვებული, ვინაიდან ვაჰაბიტები სიგარეტს არ ეწევიან",** - დასძინა პარლამენტარმა. თარგამაძეს მხედველობაში ჰქონდა რუსული ტელევიზიით გავრცელებული კადრი, სადაც მოკლულებს, სხვა ნივთებთან ერთად, თან ჰქონდათ ქართული წარმოების სიგარეტი "პირველი".

*24 საათი*

### საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

დღეს, 2006 წლის 31 ოქტომბერს, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებმა გაავრცელეს მორიგი დეზინფორმაცია კვაისის რაიონში "სამხრეთ ოსეთის უშიშროების ძალების" მიერ ვითომდაც ქართული დივერსიული ჯგუფის განადგურებასთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, აღნიშნული დეზინფორმაცია ყოველგვარი გადამოწმების გარეშე აიტაცა რუსულმა მასმედიამ.

ასეთი სახის ინფორმაციის გავრცელება წარმოადგენს რეგიონში ესკალაციის მცდელობას და მიმართულია ქართული მხარის მორიგი სამშვიდობო ინიციატივის წინააღმდეგ, საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილისა და სამხრეთ ოსური მხარის დე-ფაქტო ლიდერის ე. კოკოითის შესაძლო შეხვედრასთან დაკავშირებით.

ცალსახად ვაფასებთ ცხინვალის რეჟიმის მესვეურთა მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას საერთაშორისო თანამეგობრობის დეზორიენტაციისა და რეგიონის მოსახლეობის დაშინების მიზნით მოწყობილ უსირცხვილო პროვოკაციად.

ამასთანავე, ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია ცხინვალის რეგიონში, მათ შორის რუს სამშვიდობოთა პასუხისმგებლობის ზონებში ოსური უკანონო შეიარაღებული ფორმირებების არსებობის შესახებ, რომელთა რაოდენობა, შეიარაღება და დისლოკაციის ადგილები კარგად მოეხსენებათ რუს სამშვიდობოებს. აგრეთვე, საყოველთაოდ არის ცნობილი აღნიშნულ ბანდფორმირებათა "აქტიურობის" სისხლიანი ქრონოლოგია.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქართული მხარის კურსს წარმოადგენს კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით, ამასთან დივერსიულ და ტერორისტულ საქმიანობაში საქართველოს დადანაშაულება უპერსპექტივო მცდელობაა, ამასთან ერთად კარგი იქნება, თუ დივერსიულ და ტერორისტულ საქმიანობაზე, ისევე, როგორც დეზინფორმაციის გავრცელებაზე, უარს იტყვის მეორე მხარეც.

ამგვარი პროვოკაციები ვერ შეუშლის ხელს საქართველოს ხელისუფლების მტკიცე გადაწყვეტილებას, სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში არსებული პრობლემები მოგვარდეს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მხარდაჭერილი სამშვიდობო გეგმის ფარგლებში.

*თბილისი, 2006 წლის 31 ოქტომბერი*

# ბაქოს გავლით - მოსკოვში



პირველი გვერდიდან

**"რუსეთთან ურთიერთობებში შუამავალი არ გვჭირდება. ჩვენ თავად ვეცდებით, ეს ურთიერთობები ისეთ დონეზე ავიყვანოთ, როგორსაც იმსახურებენ, -** "რია ნოვოსტი"-ს ინფორმაციით, განაცხადა ქართველმა დიპლომატმა და იქვე დასძინა, - **თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ რეგიონში ვცხოვრობთ, რა თქმა უნდა, დღევანდელი შეხვედრა** (მამედიაროვთან) **ვერ აცდა რუსეთთან ჩვენი პრობლემების, მათი გადაჭრის გზებისა და ამ საკითხში ურთიერთქმედების განხილვას."**

იმავე თემაზე საუბრისას ბეჟაუშვილი აკონკრეტებს, რომ ეს დაინტერესება უფრო მეზობლობიდან გამომდინარეობს და არა შუამავლობიდან. **"მეზობლობაში, როცა ორ მათგანს შორის რაიმე პრობლემებია, დანარჩენი მეზობლები განზე არ უნდა გადგნენ,"** - აღნიშნავს საგარეო საქმეთა მინისტრი.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტს, ბეჟუაშვილის თქმით, უახლოეს მომავალში ასეთი რამ მოსალოდენელი არ არის, თუმცა, საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებითვე, "სავარაუდოდ, რაიმე სახის კონტაქტები იქნება დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა სამიტზე მინსკში".

# ჟოზე მანუელ ბაროზუ: "ჩვენ გვსურს შემდგომი გაფართოება"

პირველი გვერდიდან



**- ძალიან ხშირად ვხედავთ, რომ ხალხს აღარ სჯერა თავისი პოლიტიკოსების. პარადოქსულია, რომ ცალკეული ქვეყნების საზოგადოებას უფრო ევროკავშირის ხელისუფლების ეიმედება, ვიდრე საკუთარი მთავრობის.**

- არა, რას ამბობთ?! კი, მართალია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ევროპული დაწესებულებების მიმართ გარკვეული იმედგაცრუება, მაგრამ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში უფრო მეტი და მჭიდრო კავშირებია ხელისუფლებასა და ხალხს შორის. ბევრ ქვეყანაში კი პოლიტიკოსებს უჭირთ ხალხთან ურთიერთობა. მაგრამ ჩვენ არა ვართ ცერბერები. რთული სიტუაცია თავად ამავე ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს. ცხადია, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ისეთი ღირებულებების პატივისცემას, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციიდან გამომდინარეობენ, მაგრამ ჩვენი საქმე არაა ის, თუ ცალკეულ ქვეყნებში როგორ უნდა მართონ პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია. ამასთან, მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნებში არცაა ისეთი პოლიტიკური პრობლემა, რომლისთვისაც შეუძლებელი იყოს შესაბამისი გადაჭრის გზის გამონახვა. ამის კონტროლი კი პრესამ უნდა განახორციელოს.

**- ამ ორიოდე კვირის წინათ თქვენ განაცხადეთ, რომ ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის მიღების შემდეგ, შემდგომ გაფართოებამდე გარკვეული ხანი უნდა მოვიცადოთ.**

- ჩვენ გვსურს შემდგომი გაფართოება. ასეთია კომისიის მიდგომა. თავდაპირველად საჭიროა ევროკავშირში რეფორმების განხორციელება, ხოლო შემდგომ - გაფართოება. როდესაც საუბარია გაფართოებაზე, პირველ რიგში ვგულისხმობ ხორვატიას, ბალკანეთს და თურქეთს.

**- თურქეთს? ნამდვილად?**

- დიახ. არ ვიცი, რამდენ ხანს, მაგრამ პროცესი კიდევ გაგრძელდება. თურქეთის მიმართ პატიოსნები უნდა ვიყოთ, რადგან მასთან მოლაპარაკება დავიწყეთ, არ შეიძლება, მისი გაწევრიანების საკითხს ყოველწლიურად ახალ-ახალი კრიტერიუმებით მივუდგეთ. ცხადია, ზოგიერთი მოთხოვნა მოლაპარაკებების გარეშეც უნდა შესრულდეს, მაგალითად, რელიგიის თავისუფლება, სამოქალაქო თავისუფლება და სხვ.

**- რომანო პროდი აცხადებდა, რომ ევროკავშირის გაფართოების ჰორიზონტი ძალზე ვრცელია - პალესტინა, ეგვიპტე...**

- მე ასეთი ამბიციური არ ვარ. ევროკავშირი არაა მზად საკუთარ თავზე ახალი ვალდებულებების აღებისათვის.

**- უკრაინა?**

- უკრაინა ევროპული ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ ახლა ისეთ მდგომარეობაში არა ვართ, რომ მას წევრობა შევთავაზოთ. ეს არ ნიშნავს, რომ უკრაინას ევროკავშირის კარს ვუკეტავთ, მაგრამ დღეს მის მიღებაზე წევრი ქვეყნების მხრიდან თანხმობა არ არის.

**- არის თანხმობის მიღწევის იმედი?**

- რა თქმა უნდა.

**- საქართველოს რა პერსპექტივა აქვს?**

- ზუსტად იგივეს თქმა შეიძლება საქართველოზეც.

**- ახლა, თუ შეიძლება, თქვენი შთაბეჭდილება ევროპული სამიტისა და პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრების თაობაზე...**

- ეს ძალიან კარგი შემთხვევა აღმოჩნდა პუტინთან გულღია საუბრისათვის. ჩვენ არ გვსურს, რუსეთი ვიხილოთ სუსტი. ჩვენ გვინდა, რუსეთი იყოს დემოკრატიული ქვეყანა და არა ისეთი ნახევრად-დემოკრატიული, სადაც არ არსებობს სიტყვის თავისუფლება, სადაც ჟურნალისტებს კლავენ.

*მოამზადა*
*ამბროსი გრიშიკაშვილმა*

# "მრეწველების" ვარაუდით, საპარლამენტო უმცირესობა მიმდინარე კვირაში უნდა გაფორმდეს

საპარლამენტო უმცირესობის შექმნასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ "მრეწველების" ლიდერს ზურაბ ტყემალაძეს შეხვდა.

შეხვედრაზე ტყემალაძემ პარლამენტის თავმჯდომარეს ოპოზიციურ ფრაქციებთან კონსულტაციების შედეგები გააცნო და წარუდგინა სქემა, რომელიც, პარლამენტში უმცირესობის შექმნის თვალსაზრისით, ოპოზიციისთვის მისაღებია.

ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილის გია ცაგარეიშვილის განმარტებით, ტყემალაძემ ოპოზიციურ ფრაქციებთან შეჯერებული ვარიანტით პარლამენტში უმცირესობის დაკანონებაზე თანხმობა მიიღო.

კერძოდ, ნინო ბურჯანაძე თანახმაა, რეგლამენტში აღდგეს ძველი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც პარლამენტში საპარლამენტო უმცირესობას ქმნის არჩევნებზე მეორე ადგილზე გასული პოლიტიკური ძალა და მასთან ერთად სხვა ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფები, მათ შორის 5-კაციანი ჯგუფიც.

"მრეწველების" განმარტებით, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძეს დაჰპირდა, რომ ის ამ თემაზე კონსულტაციებს კვლავ გააგრძელებს.

"მრეწველების" ვარაუდით, საპარლამენტო უმცირესობა მიმდინარე კვირაში უნდა გაფორმდეს.

*ინტერპრესნიუსი*

# თავისუფალი სიტყვა

მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიყავს ჟურნალისტ დავით პაიჭაძეს. გადაცემის თემაა გაზმომარაგების პერსპექტივები, გადაცემის სტუმარია თეიმურაზ გოჩიტაშვილი.

**დათო პაიჭაძე:** რა შანსები აქვს საქართველოს გაზის მიღებისთვის, როგორც ამ ზამთარში, ისე პერსპექტივაში?

**თეიმურაზ გოჩიტაშვილი:** გაზის მიღების ოთხი გზა გვაქვს. საქართველომ გაზი შეიძლება მიიღოს რუსეთიდან შემომავალი ჩრდილოეთ კავკასიის მილსადენით. ჩვენდა საბედნიეროდ, რამდენიმე დღეში ჩაირთვება სამხრეთ კავკასიური მილსადენი, რომელმაც გაიარა გამოცდები და ამის საშუალებითაც შეგვეძლება გაზის მიღება. ასევე, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, რომ ყარადაღი-საგურამოს მონაკვეთით შემოვიტანოთ აზერბაიჯანული გაზი.

**დ.პ.** საქართველოში ენერგომატარებლების დივერსიფიცირება განხორციელებულია?

**თ.გ.** სრულ დადებით პოზიტიურ შედეგამდე ძალიან შორს ვართ, თუმცა დივერსიფიცირებისთვის ძალიან დიდი ნაბიჯებია გადადგმული. ამას სულ საქართველოს მთავრობას ნუ დავაბრალებთ, რადგან სამხრეთ კავკასიური მილსადენები bp-ის აშენებულია. მილსადენის აშენებისთვის, საქართველოს მთავრობამ, თავის დროზე პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო. რაც შეეხება ირანთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობას და ის, რომ თბილგაზი პრივატიზებულ იქნა ყაზახური კომპანიისთვის, რაც არის წინაპირობა იმისა, რომ ყაზახური გაზი მივიღოთ, ეს ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა. ამით დიამეტრიულად განვსხვავდებით სამი-ოთხი წლის წინანდელი საქართველოსგან, როცა ჩვენ გვქონდა და 100 პროცენტით დამოკიდებული ვიყავით რუსეთზე.

**დ.პ.** ყაზახური გაზის შემოტანა შარშანაც იყო დაგეგმილი, თუმცა ეს არ განხორცილედა, რადგან ტრანზიტის გამო რუსეთმა მოითხოვა ის ფასი, რაც აზრს უკარგავდა ყაზახური გაზის შემოსვლას. ამავე დროს, საუბარი იყო ყაზახური გაზის დაბალ ხარისხზე. იქნებ აგვიხსნათ, რას ნიშნავს გაზის დაბალი ხარისხი და რისთვის არის გამოუსადეგარი?

**თ.გ.** ყაზახური გაზის დაბალი ხარისხი გამოსწორებადია. ყოველ შემთხვევაში, არ მოგვაწვდიდნენ ისეთ გაზს, რომელიც შესაბამის კონდიციამდე არ იქნებოდა მიყვანილი. დაბალ ხარისხში იგულისხმება, რომ გაზს აქვს მინარევები და მას სჭირდება გაწმენდა. თბოუნარიანობით მესეთი გვაწვდის. შარშან ყაზახეთი გაზს გვაძლევდა 68 დოლარად, რუსეთმა კი, 785 კილომეტრის მანძილის გატარებისათვის, დამატებით 52 დოლარი მოითხოვა. გამოდის, რომ 6 დოლარს თხოულობდა ყოველ 100 კილომეტრზე, რაც ყოველგვარ ზღვარს იყო გადაცილებული. მსოფლიოში არ არსებობს გაზის ტრანსპორტირებისათვის მსგავსი ფასი. ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და ამ მეთოდს რუსეთი ხშირად მიმართავს. თუმცა ახლა სიტუაცია ყაზახეთისგან და ჩვენი მხრიდნაც შეცვლილია. ჩემი აზრით, შარშან უნდა გადაგვეხადა ის ფასი, რადგან ჯამში მაინც 110 დოლარი გამოდიოდა. ასევე, მსოფლიო დაინახავდა, რომ რუსეთი მონოპოლისტია და ამ მონოპოლისტურ ქმედებებს იყენებს სრულიად არა - ეკონომიკური მიზნებით.

**დ.პ.** თქვენ ბრძანეთ, რომ რამდენიმე წლის წინ, საქართველო ასი პროცენტით იყო დამოკიდებული გაზის ერთადერთ მომწოდებელზე. ამავე დროს, ცნობილია ისიც, რომ სასურველია ერთ მომწოდებელზე დამოკიდებული იყო ერთი მესამედით. გაზის იმპორტის მხრივ დღეს საქართველო რა პროცენტით რჩება რუსეთზე დამოკიდებული?

**თ.გ.** აქ უნდა გავარკვიოთ გაზმომარაგების სხვადასხვა ასპექტები. ერთი კომერციული გაზის მომარაგების და მეორე ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით. თუ კომერციული გაზის მოწოდებაზე ვილაპარაკებთ, ფაქტობრივად ძირითადი მომწოდებელი ისევ რუსეთი უნდა დარჩეს, რადგანაც ჩვენ ხელშეკრულება გაზის მოწოდებაზე არც სამხრეთ კავკასიური მილსადენის ოპერატორთან bp-ისთან, არც აზერბაიჯანთან და არც ირანთან არ გვაქვს. ძალიან გაიზარდა ჩვენი ენერგოუსაფრთხოება. აღარ შეიძლება შეიქმნას ის ფორსმაჟორული სიტუაცია , რაც მოყვა გაზსადენის აფეთქებას. ამ აქციის ორგანიზატორები ფიქრობდნენ, რომ საქართველოს დააჩოქებდნენ და სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდნენ. ახლა ჩვენ კარგ სიტუაციაში ვართ. რამდენიმე დღეში გაშვებული იქნება სამხრეთკავკასიური მილსადენი, რომლიდანაც ტრანსპორტირებული გაზის ხუთ პროცენტს უფასოდ ვიღებთ. ასევე, ნახევარ მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზს წლიურად, დაწყებული ექსპლუატაცი-

# არშემდგარი იმპერიიდან არშემდგარ სახელმწიფომდე

თორნიკე შარაშენიძე

2000-იანი წლების დასაწყისში რუსული მედია, პოლიტოლოგების წრე და ცხადია ხელისუფლებაც (თუმცა, არც ისე ღიად) ყველანაირად ცდილობდნენ საქართველოსთვის "არშემდგარი სახელმწიფოს" იარლიყი მიეწებებინათ. ეს ცნება გულისხმობს ქვეყანას, რომელიც არასტაბილურობისა და ტრანსნაციონალური დანაშაულის კერაა და, რომელიც ამით არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მის რეგიონს და ლამის მთელ მსოფლიოს უქმნის საფრთხეს. სამწუხაროდ, საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ ნამდვილად მისცა მოსკოვს საბაბი ამგვარი პროპაგანდისათვის. ამისათვის მაშინდელი პანკისის ხეობის ფენომენიც კმაროდა, რომ აღარაფერი ვთქვათ საყოველთაო კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

საქართველოსათვის "არშემდგარი სახელმწიფოს" იარლიყის წარმატებით მიწებება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ჩვენი ქვეყანა დაკარგავდა დასავლეთის მხარდაჭერას - პატარა სახელმწიფო, რომელმაც მილიარდ დოლარზე მეტი საგარეო დახმარება მიიღო და მაინც ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ალბათ მართლაც არ იმსახურებდა დიდ მხარდაჭერას. "ქართველებისგან არაფერი გამოვა, მხოლოდ ჩვენ ვიცით, როგორ უნდა მივხედოთ ამ ხალხს," - ასეთი იყო რუსული პროპაგანდის დედააზრი.

ამ პროპაგანდას ძირი 2003 წლის ნოემბრის რევოლუციამ გამოუთხარა. რაც არ უნდა უცნაური იყოს, თავიდან მოსკოვი რევოლუციას საკმაოდ დადებითადაც შეხვდა. კრემლში ფიქრობდნენ, რომ შევარდნაძის პროდასავლუ-

ხი კი ამ კურსს მხარს არ უჭერდა. მაგრამ როცა ახალი ხელისუფლება კიდევ უფრო მტკიცედ დაადგა პროდასავლურ კურსს, კრემლიდან ანტიქართულმა პროპაგანდამ კიდევ უფრო დიდი დოზით იფეთქა.

დღესდღეობით საქართველოზე, როგორც "არშემდგარ სახელმწიფოზე" საუბარი რუსეთში თითქმის აღარ მიმდინარეობს, თუკი არ ჩავთვლით მაგალითად ანდრანიკ მიგრანიანის დარ პოლიტოლოგებს, რომლებიც თავიანთი არარუსული გვარის გამო გაათმაგებული ძალით ცდილობენ რუსული იმპერიისადმი ერთგულება დაამტკიცონ (ეს ნაცნობი ფენომენია - ყველაზე ცხად მაგალითს არარუსული გვარის მქონე ჯულაშვილი წარმოადგენს) და ამ მიზნით ანტიქართულ პროპაგანდაში რეკორდებს ამყარებენ.

სამაგიეროდ, რაც უფრო ახ-

დეფიციტი, რომელიც მას სწორედ არშემდგარ სახელმწიფოს ამსგავსებს. "რა გვეშველება, როცა პუტინი წავა?" - ეს შეკითხვა სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის რუსეთის პოლიტიკურ წრეებსა და უბრალო მოქალაქეებში. ამ ქვეყანაში, რომელსაც ერთ დროს მსოფლიო ჰეგემონობაზე ჰქონდა პრეტენზია, დღემდე არ მუშაობენ სახელმწიფო ინსტიტუტები და ქვეყანა ისევ პიროვნებაზეა დამოკიდებული. ვინ მოვა, როცა ის წავა? ვინ შეცვლის პუტინს? ნეტავ მემკვიდრე დატოვოს, მაშინ ხალხი მემკვიდრეს მისცემს ხმას და აღარ ექნება თავი სამტვრევი...

მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთს არჩევნების ეშინია. ესეც არშემდგარი სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანია. თავის დროზე იმპერატორი ნიკოლოზ II დაწოლას დაჰყვა და დუმის არჩევნები დაუშვა, მაგრამ

არმქონე ქვეყნის მოსახლეობამ დუმაში ძირითადად ლოთები და ქურდბაცაცები აირჩია, რომლებიც დეპუტატის ხელშეუხებლობას ამოფარებულნი სანკტ-პეტერბურგში არნახულ დებოშებს აწყობდნენ. მაგრამ იქნებ ჯობდა მაშინდელ ხელისუფლებას ეს როგორმე აეტანა და ქვეყანა შემდეგ არჩევნებამდე მიეყვანა.

90-იანი წლებიდან რუსეთში არჩევნები ისევ ტარდება, მაგრამ დემოკრატიის ტრადიციების დეფიციტმა მაინც იჩინა თავი და ყველაფერი ფორმალობად იქცა - ხელისუფლება მაინც ერთი პიროვნების ხელშია კონცენტრირებული, რომელსაც ან ცარი ჰქვია, ან ცეკას გენერალური მდივანი, ან პრეზიდენტი (ამას მნიშვნელობა არა აქვს). მოსახლეობის დიდი ნაწილიც კმაყოფილია და მხოლოდ მაშინ უჩნდება სანერვიულო, როცა არჩევნები ახლოვდება.

# გამოძიება საარჩევნო დარღვევებზე

პირველი გვერდიდან

**"კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის არაორგანიზებულად შესვლა და საარჩევნო უბანზე არაუფლებამოსილი პირის მიერ ხმის მიცემის პროცედურის ხელმძღვანელობა; უბნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დაკარგვა; ხმების დათვლის პროცედურის კანონმდებლობით დადგენილი თანმიმდევრობის დარღვევა; არჩევნების მიმდინარეობისას უბნის დახურვის პროცედურის დარღვევა",** - ეს იმ ბრალდებებია მხოლოდ ნაწილია, რომლებზეც ამომწურავი პასუხების გაცემა მოუწევთ მარნეულის საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელებს. პროკურატურა მათ სააგიტაციო პროცედურის დარღვევასაც ედავება; კერძოდ - საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას, ხოლო 73-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, კენჭისყრის წინა დღეს აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

"მიუხედავად ამისა, აღნიშნული საარჩევნო ოლქის უბნებთან გაკრული იყო პოლიტიკური პარტიის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პლაკატი, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა ამომრჩეველს - შემოეხაზათ "ნაციონალური მოძრაობის" აღმნიშვნელი N5", - განმარტავენ გენერალურ პროკურატურაში.

*24 საათი*

# აქცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან

*სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას თანამდებობიდან გადადგომა, ციხეებში პატიმართა წამების შეწყვეტა და პატიმარ გიორგი მიქაშვილის საავადმყოფოში გადაყვანა - ასეთი მოთხოვნები აქვს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციას, რომლის წარმომადგენლებმაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობის წინ გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს და დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია და მისი თანამშრომლები პატიმართა ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია აცხადებს, რომ აქციები სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან პერმანენტულად გაიმართება - "მანამდე, სანამ პატიმრების უმოწყალო ცემა და ძალადობა არ შეწყდება".*



*აქციები პერმანენტულად გაიმართება - "მანამდე, სანამ პატიმრების უმოწყალო ცემა და ძალადობა არ შეწყდება".*

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია მიიჩნევს, რომ ბაჩო ახალაია თანამდებობიდან კი არ უნდა გადადგეს, უნდა დაისაჯოს კიდეც. "თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლის ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილი ყველა პრობლემის "წყარო" სწორედ ბაჩო ახალაიაა.

**"სახალხო დამცველის სოზარ სუბარის განცხადებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, როგორი აუტანელი მდგომარეობაა შექმნილი ციხეებში. ვფიქრობ, არსებულ სიტუაციას ბოლო უნდა მოეღოს ბაჩო ახალაიას გადადგომითა და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დასმით. ეს ადამიანი ნამდვილ სადისტად ჩამოყალიბდა",** - განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

**"ჩვენ, ასევე, მოვითხოვთ მე-6 საპყრობილეში მყოფი გიორგი მიქიაშვილის საავადმყოფოში გადაყვანას, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც ძალზე მძიმეა. მას ერთი წლის წინ პატრულმა სცემა, რის შემდეგაც მისი ჯანმრთელობა შეირყა. ჯანმრთელობის უმძიმესი მდგომარეობის გამო, გიორგი მიქიაშვილი სასამართლო პროცესზეც ვერ გაჰყავთ. თუმცა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მის საავადმყოფოში გადაყვანაზე მაინც უარს აცხადებს"**, - განაცხადა "თანასწორობის ინსტიტუტის" ლიდერმა ირაკლი კაკაბაძემ.

საქმე ისაა, რომ გიორგი მიქიაშვილი, რომელიც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს, მისი დის ნინო მიქიაშვილის განცხადებით, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა დროს მიყენებული სხეულის მძიმე დაზიანების გამო, საპყრობილეში ფსიქიკურად დაავადდა. არადა, დაკავებამდე იგი სრულიად ჯანმრთელი იყო.

ნინო მიქიაშვილის ინფორმაციით, მისი ძმის ცემა-წამება მას შემდეგ დაიწყო, რაც ადამიანის უფლებათა სასამართლოში განაცხადი გააგზავნეს. მოსარჩელე მხარე მიქიაშვილისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის 3 მილიონი ლარის გადახდას მოითხოვს.

**"იმის გამო, რომ არ შეილახოს პატრულის იმიჯი, მიქიაშვილს სარჩელის უკან გამოტანას აიძულებენ. არადა, სარჩელი სტრასბურგის სასამართლომ უკვე წარმოებაში მიიღო",** - აცხადებს დაკავებულის ადვოკატი.

გიორგი მიქიაშვილის და ამბობს, რომ მის ძმა დაკავების შემდეგ ციხეში 12-ჯერ სცემეს. ბოლოს, 13 აგვისტოს - ჯერ ბაჩო ახალაიას ხელმძღვანელობით ციხის ადმინისტრაციამ, ხოლო შემდეგ - პატიმრებმა და სასტიკად ნაცემი პატიმარი, სამკურნალო დაწესებულების ნაცვლად, "კარცერში" არაადამიანურ პირობებში გადაიყვანეს".

ინციდენტის შემდეგ გიორგი მიქიაშვილი სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პაციენტთა უფლებების დაცვის ცენტრის ასისტენტიმა, ექიმმა ლაბაურმა მოინახულა, რომელმაც დაადასტურა პატიმრის ცემის ფაქტი და მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ შესაბამისი დასკვნაც დაწერა.

გიორგი მიქიაშვილის პრობლემა სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა რუსთავის N6 საპყრობილეში გადაყვანით გადაჭრა. როგორც ნინო მიქიაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, ვერც დეპარტამენტში და ვერც იუსტიციის სამინისტროში დღემდე ვერავინ აუხსნა, რატომ გადაიყვანეს ფსიქიკურად დაავადებული პატიმარი, რომელსაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სასწრაფო მკურნალობა ესაჭიროება, N6 საპყრობილეში, სადაც არც სამკურნალო დაწესებულება არსებობს და არც ექიმი-ფსიქიატრი.

**"გიორგის დღესაც აწამებენ და ფსიქოლოგიურად ამუშავებენ, რათა სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოდან საჩივარი გამოვიტანოთ",** - ამბობს ნინო მიქიაშვილი.

სხვათა შორის, საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი მიქიაშვილის სასამართლო პროცესი რამდენჯერმე გადადო, იმიტომ, რომ პროცესს მოსამართლისთვის გაურკვეველი მიზეზით ვერ დაესწრო გიორგი მიქიაშვილი - პატიმარი პროცესზე არ მიიყვანეს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, პროცესი განსასჯელის გარეშე არ ჩატარდება. როგორც ნინო მიქიაშვილი აცხადებს, უკვე ერთი თვეა მისი ძმის შესახებ არაფერი იცის. გიორგი მიქიაშვილთან, რომელიც საავადმყოფოს ნაცვლად საპყრობილის მკაცრ რეჟიმში გამოკეტეს, ადვოკატსაც აღარ უშვებენ.

*24 საათი*

## მოკლედ

### სამშობლოს ღალატში ბრალდებულები სასამართლო დარბაზიდან გააძევეს

სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაკავებული იგორ გიორგაძის 12 მხარდამჭერის სასამართლო პროცესი საქალაქო სასამართლოში ხმაურით დაიწყო. სხდომათა დარბაზში წარმოდგენილმა ერთ-ერთმა განსასჯელმა ზაზა დავითაიამ პროცესის დაწყებამდე ქართული ხალხური სიმღერა "შავლეგო" წამოიწყო. მას სხვა განსასჯელები და დამსწრეთა ნაწილიც აჰყვა.

ბრალდებულები პროკურატურის წარმომადგენელთა მიმართ აგრესიულად იყვნენ განწყობილები, ისროდნენ ხმამაღალ რეპლიკებს, რაც დარბაზიდან მათი გაძევების საფუძველი გახდა.

მოსამართლემ, განსასჯელ მაია თოფურიას გარდა, დარბაზიდან ყველა ბრალდებული გააძევა, რის შემდეგაც განსასჯელმა მაია თოფურიამ სასამართლო საკუთარი სურვილით დატოვა. დარბაზი დატოვეს განსასჯელთა ოჯახის წევრებმაც და რამდენიმე ადვოკატმა.

სასამართლო დარბაზიდან გაძევებამდე კი დაკავებულები აცხადებდნენ, რომ ცოტა ხანში საბრალდებო სკამზე ამჟამინდელი ბრალმდებლები თავად აღმოჩნდებიან. "სირცხვილი იმ პარლამენტარებს, რომლებიც ამ საქმესთან დაკავშირებით ხმას არ იღებენ, ყვალემ ძალიან კარგად იცის, რომ უდანაშაულოები ვართ", - აცხადებდნენ განსასჯელები.

საქმეს მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილი იხილავდა. დამსწრეთა სიმრავლის გამო, ყველა დაინტერესებული პირის დარბაზში შეყვანა ვერ მოხერხდა. სასამართლოს გაძლიერებული დაცვა იცავდა. საბოლოოდ მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობის ვადა გაუგრძელა. **ინტერპრესნიუსი**

### კლუბ "ნოა-ნოას" დირექტორი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა კლუბ "ნოა-ნოას" დირექტორი გიორგი გაბუნია დააკავეს, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია დიდი ოდენობით - 0,375 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

დაკავებულია, აგრეთვე, გელა გელაშვილი, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - 1,05915 გრამი "ჰეროინი". დააკავეს, ასევე, მათთან კავშირში მყოფი ნარკორეალიზატორები გურამ გულდედავა და არტიკ მანველიანი, რომელთა ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 2,43415 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი". დაკავებულები "მოდულის" შენობაში გადაიყვანეს, სადაც მათი დაკითხვა ჩატარდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ფინანსური პოლიცია საავადმყოფოებში

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ ს.ს "ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრში" დარღვევები აღმოაჩინა. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ცენტრის ხელმძღვანელობამ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან დამატებით 98 ათასი ლარის გამოყოფა მოითხოვა. ცენტრის ხელმძღვანელობამ ამ თანხის საჭიროება ვერ დაასაბუთა და ამით უფლებამოსილებას გადააჭარბა. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, ფინანსური პოლიცია საბუღალტრო დოკუმენტაციას ამოიღებს და კომპლექსურ რევიზიას ჩაუტარებს. ფინანსურ პოლიციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) დაიწყო.

ფინანსურმა პოლიციამ დარღვევები აღმოაჩინა მცხეთის საავადმყოფოშიც. საქმე ეხება საავადმყოფოს დირექტორის კონსულტანტს ოთარ მაჭავარიანს. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, მაჭავარიანმა საავადმყოფოს კუთვნილი თანხები არამიზნობრივად გახარჯა, ნაწილი კი მიითვისა. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, ჩატარდება საავადმყოფოს დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზია, რევიზიის დასრულების შემდეგ მითვისებული თანხის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება. **მედიანიუსი**

## უცხოეთი

# ბრალდებული ბერლუსკონი და ფართომასშტაბიანი ოპერაცია სიცილიაში

ორშაბათს მილანის სასამართლომ იტალიის ექსპრემიერს სილვიო ბერლუსკონის კორუფციის ბრალდება წაუყენა. ბერლუსკონი ეჭვმიტანილია ბრიტანელი ადვოკატის დევიდ მილსის მოსყიდვაში, რომელიც 1999 წელს ორ სასამართლო პროცესზე გამოდიოდა მოწმედ.

გამოძიების ინფორმაციით, ბერლუსკონიმ 1997 წელს მილსს 600 ათასი დოლარი გადაუხადა იმისთვის, რომ ბერლუსკონის კომპანია Mediaset-ის საზღვარგარეთ არსებული განყოფილებების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დაემალა; კერძოდ, საუბარია Mediaset-ის მიერ აშშ-ში ტრანსლაციის უფლების ყიდვაზე.

გამოძიების თანახმად, გარიგება იტალიის საგადასახადო კანონის გვერდის ავლით მოხდა, რის შედეგადაც ბერლუსკონიმ დიდი ოდენობით თანხა მიითვისა. ცრუ ჩვენებების მიცემის გამო, ბრალი ადვოკატ დევიდ მილსსაც წაუყენეს. ბერლუსკონი და მილსი ყველა ბრალდებას უარყოფენ.

სასამართლო პროცესი 2007 წლის 13 მარტს უნდა დაიწყოს. იტალიის კანონმდებლობის თანახმად, ბრალის დადასტურების შემთხვევაში, ბერლუსკონისა და მილსს სამიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

იტალიაში ორშაბათს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. საქმე ისაა, რომ იტალიელმა სამართალდამცველებმა მაფიის წინააღმდეგ რამდენიმე თვის წინ დაწყებული ბრძოლა გააგრძელეს. სიცილიის ქალაქ მესსინაში პოლიციამ ორშაბათს ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია ჩაატარა და დააპატიმრა "კოზა ნოსტრას" 23 წევრი, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან მკვლელობებში, ძარცვაში, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში.

გარდა ამისა, პალერმოს ფინანსურმა გვარდიამ კონფისკაცია გაუკეთა ადგილობრივი მაფიოზის ქონებას, რომელიც 104 მილიონ ევროდაა შეფასებული. სამართალდამცველთა ინფორმაციით, მაფიოზი აკონტროლებდა მსხვილი ბიზნესის სფეროებს.

იტალიური მაფიის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია ივნისის თვეში ჩატარდა. მაშინ სამართალდამცველებმა 52 ადამიანი დააპატიმრეს - "კოზა ნოსტრას" თავკაცები.

მაფიის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის ხელმძღვანელის, პროკურორ პიერო გრასსოს განცხადებით, მაფიის ბოსთა დაპატიმრებები, სამართალდამცველთა ხანგრძლივი და საფუძვლიანი მუშაობის შედეგია. მათ მოახერხეს მაფიის თავკაცთა საიდუმლო

შეხვედრებისა და "კოზა ნოსტრას" ლეგენდარული ბოსის ბერნარდო პროვენცანოს საუბრის ჩანაწერების გაშიფვრა. სწორედ ამ ურთულესი სამუშაოების ჩატარების საფუძველზე დააპატიმრეს ბერნარდო პროვენცანო, რომელმაც მოახერხა 43 წლის მანძილზე დამალვოდა სამართალდამცველებს.

გამოძიებამ დაადასტურა, რომ პროვენცანო იყო მაფიის მთავარი ფიგურა, რომლის მითითებების საფუძველზეც სხვადასხვა მიმართულებებით მოქმედებდა "კოზა ნოსტრა".

გარდა ამისა, გამოძიებამ შეძლო დაედგინა მაფიის ბოსთა კავშირები იტალიელ პოლიტიკოსებთან, რომელთა ვინაობასაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ ასახელებენ.

იტალიელმა სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია 18 ოქტომბერსაც ჩაატარეს და მაფიის 30-ზე მეტი წევრი დააპატიმრეს, მათ შორის - მაფიის ბოსები, რომლებიც 30 წლის განმავლობაში მართავდნენ "კრიმინალურ სამყაროს". საუბარია მაფიოზური კლანის ოჯახზე - კალაბრიის მაფიის თავკაცებზე, რომლებიც "ნდრანგეტების" სახელითაა ცნობილი და რომელიც კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის ლიდერობდა.

პროკურორ მარიო სპაგნუოლოს განცხადებით, დაკავებულია 34 ადამიანი, გარდა ამისა, პოლიცია ეძებს ორ პირს, მაფიოზური კლანის ლიდერებს, მათ შორის - ცნობილ ბოსს პასკუალე კონდელლოს. სპეცოპერაცია ჩატარდა მთელ იტალიაში. დაკავებულები ეჭვმიტანილები არიან 40 მკვლელობაში.

იტალიელ სამართალდამცველთა განცხადებით, "ნდრანგეტა", რომელიც "მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა რუსულ მაფიასთან, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დანაშაულებრივი დაჯგუფება იყო თავის ტრანსნაციონალური კავშირებით". ამ ჯგუფს წარმომადგენლები ჰყავს კოლუმბიის იმ უძლიერეს ნარკოკარტელთა შორის, რომლებიც მსოფლიოს კოკაინით ამარაგებენ.

## გადაშენება

# კავკასია - ველური ბუნების თავშესაფარი თუ პანთეონი

CRITICAL ECOSYSTEM PARTNERSHIP FUND

WWF

Caucasus Environmental NGO Network CENN

think naturally

თემო ფიფია

*ათასწლეულებია, რაც ჩვენი წინაპრები "ტყიდან გამოვიდნენ" და მცირერიცხოვანი ხალხის კვალობაზე, მართლაც შთამბეჭდავი ფასეულობები შექმნეს. 20-ე საუკუნის მიწურულს ისევ ტყეში დავბრუნდით და პირწმინდად გავანადგურეთ. გაჩეხილი ტყეების, დაბინძურებული მდინარეების თუ ნადირ-ფრინველის ხოცვა-ჟლეტის საბოლოო შედეგი კი ერთი დიდი უდაბნოა, რომელსაც ჩვენი შვილების საცხოვრებლად ვამზადებთ.*

დედამიწაზე ოდესღაც არსებული ცხოველებისა და მცენარეების სახეობათა 99% დღეისათვის გადაშენებულად ითვლება. თუმცა, ასეთი სტატისტიკა მილიონობით წლების განმავლობაში მივიღეთ. ბოლო საუკუნეებში კი უფრო მეტი გადაშენდა, ვიდრე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის მონაცემებით, 1660 წლიდან 1994 წლამდე გაქრა ძუძუმწოვრების 86, ფრინველების 104, ქვეწარმავლების 20, ამფიბიების 5, თევზების 92 სახეობა. გაცილებით მეტი - გადაშენების საფრთხის წინაშეა. გადაშენების ასეთი ძლიერი ტალღა პლანეტაზე დინოზავრების გაქრობის შემდეგ არ ყოფილა. ეს კი 65 მილიონი წლის წინ იყო.

სამეცნიერო ტერმინოლოგიით, ეს გადაშენების მე-6 პერიოდია, რომელსაც მეტეოროლოგიური და კოსმოსური ფაქტორების ნაცვლად ანთროპოგენული ფაქტორები განსაზღვრავს.

ფრთხის გაცნობიერების მიუხედავად, ნადგურდება ეკოსისტემები, მრავალფეროვანი გარემო მონოკულტურებით იცვლება. დაბინძურებისა და დეგრადაციის ტემპები ბევრად აღემატება გარემოს თვითაღდგენის შესაძლებლობას. ეს უკვე შორს წასული პროცესებია, რომელთა შეჩერება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია.

### სიცოცხლის უფლება

კავკასია "ცხელი წერტილების" მსოფლიო რუკაზე, 24 სხვა რეგიონთან ერთად, წითელი ფერითაა აღნიშნული. აქ ბიომრავალფეროვნებაც განსაკუთრებულია და ის საფრთხეებიც, რაც ამ ბიომრავალფეროვნებას ემუქრება.

გამყინვარების პერიოდში, როცა ყინულმა ჩრდილოეთით მდებარე მთელი ტერიტორია მოიცვა, ცოცხალი სამყაროს დიდი ნაწილი სწორედ კავკასიაში გადარჩა, სადაც სითბოსმოყვარული მცენარეების და გადაშენების პირას მისული სახეობების თავმოყრა მოხდა. ამას ბიოლოგები "რეფუგიონებს" (თავშესაფრებს) უწოდებენ. დედამიწაზე არსებულ 15-მდე რეფუგიონს შორის - ორი კავკასიაშია. ჩვენს ტყეებში, მაღალმთიან ეკოსისტემებში, სტეპებსა და უდაბნოებში ორჯერ უფრო მაღალია ფაუნის მრავალფეროვნება, ვიდრე ევროპისა და აზიის მიმდებარე რეგიონებში. სახეობრივი მრავალფეროვნებით ევროპაში ყველაზე მდიდარი ქვეყანა ესპანეთია, სადაც მცენარეთა 3 000-მდე სახეობა გვხვდება. კავკასიის ქვეყნებიდან ამ რიცხვს მარტო საქართველო აჭარბებს.



თუმცა, ესპანეთისგან განსხვავებით, საქართველოს ბუნება საგანგაშო ტემპით ნადგურდება. ყველაზე მეტად დაზიანებულია ვაკე-დაბლობები, მთის ალპური და სუბალპური სარტყელი. თვალსა და ხელს შუა ქრება სახეობები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი სიამაყის და შთაგონების წყაროს წარმოადგენდნენ. საკმარისია დავასახელოთ ფაუნის ერთ-ერთი ულამაზესი ქმნილება - ჯეირანი, რომლის უკანასკნელი ინდივიდები ქართველმა მონადირეებმა სულ რამდენიმე ათეული წლის წინ დახოცეს. გადაშენების პირასაა ნიამორი, არჩვი, ირემი. გადაშენების "კანდიდატთა სიაშია" არაერთი ფრინველი (თეთრთავა იხვი, სვავი, თეთრკუდა არწივი, სავათი), ქვეწარმავალი (გრძელფეხა სცინკი, ცხვირრქოსანი გველგესლა) თუ

პროგრამა, რომელსაც კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) კრიტიკული ეკოსისტემების დაცვისა და თანამშრომლობის ფონდის (CEPF) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს, კავკასიის უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვას და ბიოლოგიური რესურსების მდგრად გამოყენებას გულისხმობს.

გარემოს დეგრადაციიის შეჩერების ერთ-ერთი მთავარი პირობა იმ საფრთხეების გაცნობიერებაა, რომლებიც ჩვენს პლანეტას, ქვეყანასა და თითოეულ ადამიანს ემუქრება. სიცოცხლე მრავალფეროვანი ცოცხალი ორგანიზმების თანაარსებობაზეა აგებული. ეკოსისტემის სიმ-

განსაზღვრავს. ადამიანი ბუნებრივი ჯაჭვის მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია, რომელიც ცოცხალი სამყაროს სხვა წარმომადგენლების გარეშე, უბრალოდ, ვერ იარსებებს.

ხშირად ჩვენი სიფრთხილე და სიმპათია მხოლოდ კონკრეტულ სახეობებზე ვრცელდება - ეკონომიკური, სამედიცინო, ეკოლოგიური, სამეცნიერო ან წმინდა ესთეტიკური ფასეულობების შესაბამისად. არადა, ნაკლებად პოპულარულ ან სულაც "არასიმპათიურ" სახეობებსაც ბუნებაში თავისი აუცილებელი ადგილი და ფუნქცია ეკისრებათ. მილიონობით წლის განმავლობაში არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებულ ღამურებს, ამფიბიებს, რეპტილიებს თუ თევზებს არსებობის ისეთივე უფლება აქვთ,

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# რეზოლუცია განსჯისათვის

*საქართველოში გაეროს მისიის ხელმძღვანელი ყოველ 6 თვეში ერთხელ აკეთებს ანგარიშს მისიის საქმიანობის შესახებ, რომლის საფუძველზე გაეროს გენერალური მდივანი ადგენს მოხსენებას. ყოველი მორიგი რეზოლუცია სწორედ ამ მოხსენების ბაზაზე იბადება. რეზოლუციის მთავარი მიზანია გაეროს დამკვირვებელთა მისიის ვადის გაგრძელება (რაც 6 თვეში ერთხელ ხდება), მაგრამ ამასთან ერთად რეზოლუციაში იწერება გაეროს მოთხოვნები და რეკომენდაციები. ექსპერტის პაატა ზაქარეიშვილის აზრით, გაეროს ყოველი რეზოლუცია არის სარკე, რომელშიც აისახება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. მას ვესაუბრებით იმის შესახებ, თუ რა დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს გაეროს ბოლო რეზოლუცია.*

ზაზა ფაჩუაშვილი

**- საქართველოს შესახებ რეზოლუციების შედგენისას რუსეთს რატომ აძლევენ ყველაზე უფრო მეტად აქტიურობის საშუალებას?**

- საქართველოს შესახებ რეზოლუციების მომზადებაში რუსეთის მხარე ყოველთვის უპირატესად მონაწილეობდა. გავიხსენებ 1997 წელს, როცა სოროსის ფონდის მოწვევით ვიმყოფებოდი ნიუ იორკში. გაეროში მორიგ რეზოლუციაზე მუშაობა მიმდინარეობდა და როცა გაიგეს, რომ საქართველოდან ექსპერტია ჩამოსული, მთხოვეს, გაეროს ერთ-ერთ დეპარტამენტში მივსულიყავი. იქ დამხვდნენ რეზოლუციაზე მომუშავე ჯგუფის წევრები, რომლებსაც აინტერესებდათ პასუხი რამდენიმე კითხვაზე. მაშინ მითხრეს, რომ ყველა რეზოლუციას საბოლოო ჯამში რუსეთის მხარეს უთანხმებენ. თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს ტერიტორია (იგულისხმება საქართველო და კავკასიის რეგიონი - ზ.ფ.) გაეროში რუსეთს ყოველთვის ეკუთვნოდა და ნებისმიერი პოზიცია მხოლოდ მაშინ იყო ყველასთვის მისაღები, თუკი მას რუსეთი ეთანხმებოდა. ეს დღესაც ასეა და, ამდენად, ბოლო რეზოლუცია იმის შედეგი კი არ არის, რომ რუსეთმა გაეროში რაღაც განსაკუთრებულად გააძლიერა მუშაობა, უბრალოდ, მან რეზოლუციაში ახალი ინტერესები ჩადო. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გამწვავების ფონზე რუსეთმა საქართველოსადმი პოზიცია უარესობისაკენ შეიცვალა და ეს სარკესავით აისახა რეზოლუციაში. თავისთავად რეზოლუცია, როგორც დოკუმენტი, არავითარ დამანგრეველ ან აღმშენებლობით ძალას არ წარმოადგენს. ის არის სარკე, რომელშიც ჩანს, რა ხდება ჩვენს თავს, რა პროცესები მიმდინარეობს და რა ტენდენციები შეიმჩნევა.

**- რა ჩანს ბოლო რეზოლუციიდან?**

- ბოლო რეზოლუციიდან ჩანს, რომ საქართველოს მეგობრები სინამდვილეში რუსეთს უწევენ ანგარიშს და ამის მშვენიერი დადასტურება იქნება წინა და ახალი რეზოლუციების შედარება.

ომის დამთავრებიდან ყველა რეზოლუცია ერთმანეთს ჰგავდა და, როგორც წესი, იწვევდა სამართლიან უკმაყოფილებას ქართულ საზოგადოებაში. რას წარმოვიდგენდით, რომ ის რეზოლუციები სანატრელი გაგვიხდებოდა. დღევანდელისაგან განსხვავებით, ის რეზოლუციები პროქართული იყო და საქართველოს ინტერესების დამცველ პოზიციებს შეიცავდა. ამ ტიპის ბოლო რეზოლუცია მიიღეს 2005 წლის 29 ივლისს - №1615, რომელმაც ერთგვარად დააგვირგვინა ერთი ტიპის რეზოლუციების ეპოქა და უკვე 2006 წლის 31 მარტს ძალიან არასასიამოვნო ნომრის (№1666) მქონე რეზოლუციით დაიწყო ახალი რეზოლუციების ეტაპი. ბოლო, 2006 წლის 13 ოქტომბრის რეზოლუცია არაფრით არ არის წინა რეზოლუციაზე უარესი. ეს განსაკუთრებული ცუდი, რომელსაც ამ რეზოლუციაში ვხედავთ, 6 თვით ადრე დაიწყო და აქ არაფერ შუაშია კორეა და ქართულ-რუსული ურთიერთობების ბოლოდროინდელი გამწვავება. 13 ოქტომბრის რეზოლუცია 31 მარტის რეზოლუციის გადმომღერებაა.

საკმარისია, ერთმანეთს შევადაროთ ძველი და ახალი (წლევანდელი) რეზოლუციების სულისკვეთებები, რომ ნათლად დავინახოთ მკვეთრად გაუარესებული ცვლილებები. სანამ შედარებას მოვიყვან, გავიხსენოთ საქართველოს ხელისუფლების ხმამაღალი განცხადება, რომ ახალ რეზოლუციაში შენარჩუნებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი და ამასთან დაკავშირებით გადავავლოთ თვალი ძველ რეზოლუციებს. ახალ რეზოლუციაში წერია, რომ **"გაერო კვლავ ადასტურებს ყველა წევრი-სახელმწიფოების ერთგულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პრინციპებისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში...",** ზუსტად იგივე წერია ექვსი თვის წინანდელ, 31 მარტის რეზოლუციაში და შარშანდელ 29 ივლისის რეზოლუციაში; მაგრამ შარშანდელ რეზოლუციაში ეს ფრაზა შემდეგნაირად გრძელდება: გაერო **"კვლავ ადასტურებს ყველა წევრი-სახელმწიფოების ერთგულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პრინციპებისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და აუცილებლობას, განისაზღვროს აფხაზეთის სტატუსი საქართველოს სახელმწიფოში".** ეს პოზიცია, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ, რომელიც შარშანდელ რეზოლუციაში რამდენჯერმე მეორდება და გაეროსთვის პრინციპულ პოზიციად წარმოგვიდგება, წლევანდელ რეზოლუციებში საერთოდ ამოღებულია. სტატუსზე ლაპარაკი წინა რეზოლუციებშიც რომ არ ყოფილიყო, კიდევ არაფერი, მაგრამ რადგან იყო და ამოიღეს, ეს უკვე დამაფიქრებელია და სერიოზულ ანალიზს საჭიროებს, რათა პასუხი გაეცეს ბუნებრივ კითხვას - რატომ მოხდა ეს?! ამავე კითხვით მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებასაც.

შარშან გაერო აღიარებდა პრინციპს - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ - და პირობას - საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ. წელს პრინციპი დატოვეს, პირობა ამოიღეს. ანუ რა გამოდის?! - გაერო აღიარებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას ისე, როგორც იქნება - აფხაზეთითაც და უაფხაზეთოდაც. წინა რეზოლუციებში გაერო თავისი პირობით "დაბმული" იყო. ახლა კი რამე რომ მოხდეს, მაგალითად, რუსეთმა თავისი გაიტანოს და კოსოვოს პრეცედენტი აფხაზეთზეც გაავრცელოს, გაერო ამას აღიარებს. აი, ეს არის ჩადებული წლევანდელ რეზოლუციებში. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის აღიარებას, რაზეც საქართველოს ხელისუფლება ლაპარაკობს, ეს გაეროს ყველა რეზოლუციაში იყო.



პაატა ზაქარეიშვილი.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ახლა ვნახოთ მეორე პრინციპული ცვლილება. 2005 წლის 29 ივლისის რეზოლუციაში ვკითხულობთ, რომ გაერო: **3. "კვლავ აცხადებს სრულ მხარდაჭერას დოკუმენტისა სათაურით - "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები" და მისადმი დართულ წერილს, რომლებიც საბოლოოდ იყო შეთანხმებული მეგობართა ჯგუფის ყველა წევრებთან მათი სრული მხარდაჭერის ფონზე** (ეს არის ე.წ. ბოდენის დოკუმენტი, რომელიც, როგორც ვკითხულობთ, შეთანხმებულია ყველასთან, მათ შორის, რუსეთთანაც - პ.ზ.)."

**4. "გამოთქვამს ღრმა მწუხარებას აფხაზური მხარის ხანგრძლივი უარის გამო, დაეთანხმოს ამ დოკუმენტის არსის განხილვას** (ანუ აფხაზებს ედავებიან, რატომ არ თანხმდებით ამ დოკუმენტის განხილვასო)".

აღნიშნულ რეზოლუციაში ბოდენის დოკუმენტი სამჯერ არის ნახსენები და სამივეჯერ ხაზგასმულია, რომ ეს არის მოლაპარაკებების საფუძველი.

ამასთან დაკავშირებით, ვნახოთ, რა წერია 2006 წლის 31 მარტის რეზოლუციაში - **2.** გაერო **"ყველას ახსენებს მის მხარდაჭერას იმ პრინციპებისადმი, რომელსაც შეიცავს დოკუმენტი სათაურით - "თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები" და მიესალმება დამატებით იდეებს, რომლის წამოყენებასაც ისურვებდნენ მხარეები პოლიტიკური დიალოგის კონსტრუქციულად წარმართვის მიზნით..."** ანუ აფხაზებმა თავისი სიჯიუტე გაიტანეს, მათ აღარაფერს ედავებიან და ახალი იდეების წამოყენებასაც სთავაზობენ, მივესალმებითო. ზუსტად იგივეა გამეორებული ახალ რეზოლუციაშიც. რა შეიძლება იყოს დამატებითი იდეები? - ჩვენთვის მიუღებელი ნებისმიერი იდეა, ვთქვათ, კოსოვოს მოდელი. დამაფიქრებელი ისაა, რომ გაერომ პრინციპულად თქვა უარი თავისივე დოკუმენტზე და ადრე თუ აფხაზურ მხარეს ედავებოდა, რატომ არ ჯდები მოლაპარაკებების მაგიდაზე "ბოდენის დოკუმენტის" განსახილავადო, ახლა დათმობაზე წავიდა და უკან დაიხია. ჩვენთვის ეს არის სერიოზული უკან დახევა, რაც არა ახალი რეზოლუციით, არამედ წინა რეზოლუციით ადრე დაიწყო.

**- რა ხდება "სამშვიდობოების" გაყვანასთან დაკავშირებით?**

- საქართველოს პარლამენტმა სამი დადგენილება მიიღო "სამშვიდობოების" გაყვანის შესახებ და უაღრესად უარყოფითად შეაფასა "სამშვიდობოების" მოქმედება საქართველოში. ახალ რეზოლუციაში კი ვკითხულობთ, რომ გაერო **"აღიარებს დსთ-ს სამშვიდობოების მნიშვნელოვან როლს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში... დღეისათვის ის მასტაბილიზებელ როლს ასრულებს კონფლიქტის ზონაში. მოუწოდებს ყველა მხარეს აღნიშნულ ძალებთან თანამშრომლობის გაფართოებისაკენ და შეახსენებს მათ, რომ კონფლიქტის მოგვარებას ესაჭიროება აუცილებელი გარანტიები..."** ანუ რუსეთის "სამშვიდობო" კონტინგენტი კონფლიქტის მოგვარების გარანტორად არის აღიარებული.

შემდეგ: **8. "კიდევ ერთხელ მოუწოდებს ქართულ მხარეს, სერიოზულად მოეკიდოს აფხაზური მხარის სამართლიან მოწოდებებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის."**

აფხაზების უსაფრთხოებაზე ზრუნვა კარგი და აუცილებელია, მაგრამ აქ საქმე სხვა რამეა - ჯერ ერთი, ბოლო ორი რეზოლუცია ადანაშაულებს ქართულ მხარეს იმაში, რომ იგი საფრთხეს უქმნის აფხაზებს, მაშინ, როცა წინა რეზოლუციაში ყველაფერი პირიქითაა და სიმკაცრე გამოჩენილია აფხაზური მხარის მიმართ; და მეორე, რეზოლუციაში, რომლის შედგენაზე აფხაზებს ხელი არ მიუწვდებათ, ხვდება აფხაზების შიშები (ვიმეორებ, ეს ძალიან კარგია), მაგრამ არ ხვდება ქართველების შიშები. აი, ეს არის საკითხავი - რატომ არ მოხვდა გაეროს რეზოლუციაში ქართველების შიშები რუსეთის "სამშვიდობოების" მიმართ?! გაეროს უშიშროების საბჭოში, რუსეთის (რომელიც აფხაზურ მხარეს ლობირებს) და ჩინეთის (რომელიც იმას აკეთებს, რაც რუსეთს უნდა) გარდა, სამი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა - აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი. რატომ არ შეიტანეს მათ რეზოლუციაში, რომ ქართველებს აქვთ სრულიად საფუძვლიანი შიშები რუსეთის "სამშვიდობო" ძალების მიმართ? რატომ არ უთხრეს მათ რუსეთს: კი, ბატონო, ჩავდოთ აფხაზების შიშები, მაგრამ ჩავდოთ ქართველების შიშებიც, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენი მოგონილი კი არაა, საქართველოს პარლამენტმა დაადგინა. შეეძლოთ ამის თქმა, მაგრამ არ უთხრეს, ხელი არ გაანძრიეს და ეს არის სამწუხარო.

ჩემი აზრით, ასეთივე ძალიან სერიოზული მომენტია, რომ ყველა წინა რეზოლუციაში გვხვდება ტერმინი - **აფხაზეთი საქართველო**. წელს თებერვალში მიხეილ სააკაშვილი გამოდის პარლამენტში და ამბობს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და ქართულ-ოსური კოფლიქტი ჩვენი არაკეთილმოსურნის მიერ მოგონილი არაკომპეტენტური ტერმინებიაო და უკვე მარტში გაერო ყველაფერს საქართველოს პრეზიდენტის განცხადების საპირისპიროდ აკეთებს და 31 მარტის რეზოლუციაში პირველად, საერთაშორისო დოკუმენტებში წერს ტერმინს - **ქართულ-აფხაზური კონფლიქტი.** ბოლო, 13 ოქტომბრის რეზოლუციაში ეს ტერმინი უკვე რამდენჯერმე მეორდება. ანუ, სააკაშვილის სიტყვებით, ჩვენი არაკეთილმოსურნე და არაკომპეტენტური გამოდის გაერო. ამაშიც კი არ დაგვეხმარა საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის სახელწოდება ტერმინების დონეზე მაინც შენარჩუნებულიყო. ესეც ძალიან დამაფიქრებელი და შემაშფოთებელია.

რეზოლუციაში კიდევ ბევრი დამაფიქრებელი მომენტია. მაგალითად, ის, რომ გაერო აღიარებს რუსეთის განსაკუთრებულ როლს, მაშინ, როცა რუსეთი სხვა წევრებისგან ფორმალურად არაფრით გამოირჩევა. ახალ რეზოლუციაში არაფერია ნათქვამი ქართველების ეთნიკურ წმენდაზე, როცა წინა რეზოლუციებში არის საუბარი ამის შესახებ.

**- კოდორის საკითხი როგორ არის ასახული?**

- ვითარების შერბილების მიზნით საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ რუსეთს რეზოლუციის გაცილებით უარესი ვარიანტი ჰქონდაო და ჩვენი მთავარი წარმატება ისაა, რომ კოდორის ხეობაში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა შევინარჩუნეთო. ეს არის ზღაპარი იმიტომ, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა ფიქსირებული არ არის არც ერთ დოკუმენტში, მათ შორის, მოსკოვის ხელშეკრულებაში. ანუ, მისი ყოფნა არსად არ არის აკრძალული, ამიტომ მის წინააღმდეგ ვერავინ გაილაშქრებს და არც არავინ ლაპარაკობს ამაზე. მე ვნახე რეზოლუციის ის უარესი ვარიანტი, რომელზეც ჩვენი ხელისუფლება ლაპარაკობს და შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ არც იქ ეწერა რამე აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაზე. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება თვალში ნაცარს გვაყრის, როცა გვეუბნება, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის შენარჩუნება კოდორში მისი ძალისხმევით მოხდა.

რაც შეეხება ახალ რეზოლუციას, მასში ვკითხულობთ, რომ გაერო **"გამოხატავს თავის შეშფოთებას ქართული მხარის მოქმედების გამო კოდორის ხეობაში 2006 წლის ივლისში..."**. გაეროში გავიდა ის ფორმულირება, რაც რუსეთს უნდოდა. ჩვენი ამერიკელი მეგობრები საჯაროდ აცხადებდნენ, რომ ეს იყო საქართველოს ლეგიტიმური უფლება (რაც სავსებით სწორია), მაგრამ ეს არ აისახა გაეროს რეზოლუციაში. სამაგიეროდ, აისახა გაეროს შეშფოთება ქართული მხარის მოქმედების გამო.

შემდეგ: გაერო **"დაბეჯითებით მოუწოდებს ქართულ მხარეს, უზრუნველყოს, რომ ვითარება კოდორის ხეობის ზედა ნაწილში შეესაბამებოდეს მოსკოვის ხელშეკრულებას"**. რეზოლუციაში მოწოდებები გაკეთებულია მხოლოდ ქართული მხარის მიმართ და არა აფხაზურის, ან რუსული მხარეების მიმართ. ამით იმის თქმა მინდა, რომ დინამიკა ჩვენს სასარგებლოდ არ ვითარდება და ეს გაეროს ბოლო რეზოლუციაში კარგად ირეკლება.

ამით ქვეყანა ნამდვილად არ დაიქცევა და გაეროს რეზოლუცია თავისთავად საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ შემაშფოთებელია ის ტენდენციები, რაც ამ დოკუმენტმა გამოაჩინა. მაგრამ ამაზე კიდევ უფრო ცუდია ჩვენი ხელისუფლების სტილი წარუმატებლობაც კი წარმატებად გადააქციოს. როცა საქმე გვაქვს აშკარა მარცხთან და ჩვენ ამას არ ვაღიარებთ, ეს უკვე სახიფათოა.

ამრიგად, გაეროს ბოლო რეზოლუცია ორი სამწუხარო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: პირველი, საერთაშორისო სამართალი უფრო მეტად რუსულ მხარესაა და მეორე, ქართულ მხარეს არ სურს აღიაროს საკუთარი შეცდომები. ეს არის ძალიან სერიოზული შეშფოთების საფუძველი იმიტომ, რომ თუ შეცდომებს არ ვაღიარებთ, მის გამოსასწორებლადაც ველარ ვიბრძოლებთ.

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მალხაზ აქიშბაიას გამოსვლა გაეროში

ქალბატონებო და ბატონებო,

ჩემთვის უდიდესი პატივია, პირველად წარვდგე თქვენს წინაშე და გაგიზიაროთ ზოგიერთი ჩემი მოსაზრება.

როგორც ელჩმა ალასანიამ უკვე მოგახსენათ, უკანონობის, ძალადობისა და არასტაბილურობის ცამეტწლიანი პერიოდის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ წარმატებით შეძლო კანონიერებისა და წესრიგის აღდგენა ზემო აფხაზეთში - კოდორის ხეობა, საქართველო.

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ამ წარმატებული პოლიციური ოპერაციის ჩატარებით შესაძლებელი გახდა კონფლიქტის ზონაში სავალალო შედეგებისა და მშვიდობისა და სტაბილურობის წინაშე მდგარ საფრთხეთა თავიდან აცილება.

აფხაზეთის მთავრობამ, რომელიც წარმოადგენს აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას, განაახლა მოქმედება ზემო აფხაზეთში და დაიწყო რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს შიდა სატრანსპორტო გზების შეკეთებას, ახალი ხიდების, სკოლების, სამედიცინო ცენტრების მშენებლობას და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, იმ ახალი გზის გაყვანას, რომლითაც ეს შორეული რეგიონი საქართველოს დანარჩენ ნაწილს დაუკავშირდება. სწორედ ამ მიზნით ვქმნით ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს რეგიონში. ჩვენ ასევე ვგეგმავთ განვახორციელოთ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს იმ ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებას, რომელთაც მრავალწლიანი არასტაბილურობის პირობებში მოუწიათ ცხოვრება.

ძალზედ სამწუხაროა, რომ ვითარება აფხაზეთის დანარჩენ ნაწილში აბსოლუტურად განსხვავებულია. საქართველოს 300 ათასზე მეტი მოქალაქე აფხაზეთიდან დევნილია და ცამეტი წელია უკვე, რაც ისინი თავიანთ სახლებში დაბრუნებას ელიან. ის ადამიანები, რომლებიც გალის რაიონში ცხოვრობენ, ძირითადად დაბრუნებულები, თავს უდიდეს საფრთხეში იგდებენ. განუწყვეტლივ ირღვევა მათი უფლებები, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას მათი უსაფრთხო დაბრუნებისთვის ხელსაყრელი პირობები არ შეუქმნია.

ჩემთვის ძალზედ რთულია ავუხსნა თავიანთი საცხოვრებელი სახლებიდან გამოყრილ 300 ათასზე მეტ თანამემამულეს მიზეზი იმისა, თუ რატომ არ არის მათ მეზობლად მიმდინარე დისკუსიების განხილვის საგანი მათი დაბრუნებისთვის ხელშემშლელი წინააღმდეგობების აღმოფხვრა. ამის ნაცვლად უშიშროების საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა წამოიწყო გაუთავებელი მსჯელობა არარსებულ საფრთხეებსა და ხელოვნურად შექმნილ დაძაბულობაზე.

ირონიის შემცველი ფაქტია ის, რომ ეს მსჯელობები წამოიწყო იმ სახელმწიფომ, რომელიც სამშვიდობო პროცესის მთავარი ხელშემწყობია. სახელმწიფომ, რომელმაც სამშვიდობო ძალები გაგზავნა კონფლიქტის ზონაში და რომლის ძირითადი ვალდებულება, სამშვიდობო შეთანხმებით მინიჭებული მანდატიდან გამომდინარე, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნებისთვის აუცილებელი პირობების შექმნაა.

ამავე დროს, ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ, რომ მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთადერთი გზა ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემების გადასაწყვეტად საერთო გზების ძიებაშია. ჩვენ მზად ვართ, ვაწარმოოთ სრულმასშტაბიანი მოლაპარაკებები აფხაზეთის მხარესთან.

ორ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენისა და დიალოგის ხელშეწყობის მიზნით, ამ უაღრესად რთულ გზაზე ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯი ორივე მხარის უსაფრთხოების მოთხოვნათა უზრუნველყოფაა.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაბრუნების ფუნდამენტური უფლების აღიარება მომავალი თანაცხოვრების ძირითადი წინაპირობაა.

საქართველოს მთავრობის ერთგულებას კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მიმართ ადასტურებს ჩვენს მიერ განხორციელებული ძალისხმევა, რომელიც მიზნად ისახავდა სამშვიდობო პროცესის ტრანსპარანტულობასა და მასში საერთაშორისო საზოგადოების შეძლებისდაგვარად ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფას.

ის, ვინც ეწინააღმდეგება სამშვიდობო პროცესში გაძლიერებულ საერთაშორისო მონაწილეობას, მიუხედავად მოტივისა, ფაქტობრივად ეწინააღმდეგება კონფლიქტის რეალურ გადაწყვეტას.

დასკვნის სახით, მინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მიუხედავად ჩვენს მიერ მთელი ამ წლების მანძილზე გადატანილი ჯოჯოხეთისა, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა არის ჩემს ქვეყანაში აფხაზ მოქალაქეებთან ერთად თანაცხოვრების ერთადერთი გზა.

თავიანთი გამოსვლების შემდეგ, ბატონმა ირაკლი ალასანიამ და ბატონმა მალხაზ აქიშბაიამ უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

*ნიუ-იორკი, 2006 წლის 13 ოქტომბერი*

გამოკითხვა

# როგორ შეაფასებთ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას საქართველოსთან დაკავშირებით?

**ლეილა კორძაია,** პედაგოგი, 53 წლის: "ამ დოკუმენტს დეტალურად არ ვიცნობ, მაგრამ, როგორც პრესიდან და ტელევიზიიდან მაქვს ინფორმაცია, ის ვარიანტი არ მიიღეს, რომელიც რუსეთს უნდოდა. ანუ რუსეთს უნდოდა, გაეროს მკაცრად დაექნია თითი საქართველოსთვის. მე მგონი, ის ფაქტი, რომ თავდაპირველად ამ რეზოლუციის განხილვაზე აშშ-მ საერთოდ უარი თქვა და შემდეგ დათანხმდა, ნიშნავს იმას, რომ აშშ-ს და რუსეთს შორის რაღაც გარიგება მოხდა. ჩემი აზრით, კონკრეტულად ამ რე-

დენს აფხაზეთის კონფლიქტზე. იმავე გაეროს აქვს მიღებული რეზოლუცია აფხაზეთში დევნილების დაბრუნების შესახებ, მაგრამ რა? ვინ ასრულებს?"

**კობა ქურხული**, ეკონომისტი, 30 წლის: "მე ვეთანხმები ჟირინოვსკის, რომ მთავარი და გადამწყვეტი ძალა და პირობა დღევანდელ მსოფლიოში არის ხიშტები (ანუ ძალა) და ფული. ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე, ამიტომ ვისაც აქვს, ის წყვეტს ჩვენს ბედს. მე მიმაჩნია, რომ რუსეთს ჩვენი გულისთვის არავინ დაუპი-

ამ რეზოლუციაში ჯერ ისევ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. სხვა მხრივ, რა გვაქვს სასიხარულო, შამბა რომ არ დაუშვეს სხდომაზე?"

**მარინა კაკაბაძე**, დიასახლისი, 48 წლის: "ძირითადად, სახლში ვარ, ტელევიზორი სულ ჩართული მაქვს და ყველანაირ ინფორმაციას ვუსმენ. რუსები და ქართველები რეზოლუციის მიღებამდე სხვადასხვაგვარად ლაპარაკობდნენ. ქართველები ამბობდნენ, ტყუილად უხარიათ რუსებს, ეს რეზოლუცია ის არ არის, რაც მათ ჰგონიც. დიდი სიამოვნებით გავეცნობოდი ამ რეზოლუციას, ძალიან მაინტერესებს, რა წერია ასეთი, რომ ყველას მოსწონს. ერთი რამ მინდა ვთქვა - რუსეთი ისეთი გალიზიანებულია, არაფერზე უკან არ დაიხევს, საქართველოს რომ ავნოს, ამიტომ მე, პირადად, ძალიან მეშინია. თუმცა, საქართველოს მხრიდან სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გაირკვეს ჩვენი ურთიერთობა. ახლა ყველა ხედავს, რომ რუსეთი ჩვენი მტერია და არ შეიძლება, მი-

რებაში. მართალია, გაერომ ახლა მათ მანდატი მაინც გაუგრძელა, მაგრამ ამისთვის, ალბათ, მიზეზი არსებობდა. ჩემი აზრით, ეს რეზოლუცია ვერ შეაცვლევინებს ჩვენს პრეზიდენტს კურსს, რაც აფხაზეთთან მიმართებაში აქვს აღებული".

**ნანა ჩაჩავა**, ექიმი, 47 წლის: "საერთოდ, მე, პირადად, მივესალმები კოდორის ხეობისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევას და სულ არ მაინტერესებს, "კოდორის ხეობა" წერია გაეროს რეზოლუციაში თუ - "ზემო აფხაზეთი". მართალია,

სულ ახლახან არ დაარქვეს? გავა დრო და ეს ტერმინი დამკვიდრდება. მართალი გითხრათ, ვერ მივხვდი, რატომ გამოიწვია ასეთი აჟიოტაჟი ამ დოკუმენტმა - რა, რუსეთმა თავისი ძალა დაგვანახა? ისედაც ყველამ კარგად იცის, რა საფრთხობელაცაა რუსეთი და ამის გამო როდემდე უნდა გვთვლიდნენ თავიანთ პერიფერიად? მართალია, ცუდ დღეში ვართ ამ მოვლენების გამო და სიტუაცია, ალბათ, კიდევ უფრო დამძიმდება, მაგრამ მე, პირადად, ბევრ რამეს ავიტანდი, ოღონდ საბოლოოდ მოვიშოროთ ეს ჭირი. ეს მოვლენები რომ ჩაივლის, მერე ახლიდან გვექნება რუსეთთან სულ სხვა სახის ურთიერთობა ასაწყობი. ახლა კი, დაე, იზეიმონ რუსმა გენერლებმა და პოლიტიკოსებმა ამ რეზოლუციის მიღება, ყარონ ცოფები, გამოყარონ ქართველები - მედალს ხომ ორი მხარე აქვს, როგორც რუსები იტყვიან: " нет худа без добра". ეს "добро"-ც მალე გამოჩნდება."

მოკლედ

## რუსები მთვრალად შეიპყრეს

ბრიტანეთის პოლიციამ "ბრიტანეთის ავიახაზების" თვითმფრინავში (რომელიც მოსკოვიდან ლონდონისკენ მიფრინავდა) ატეხილი დებოშისთვის ექვსი "ბუნტოვშიკი" დააკავა.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ გააფრთხილეს თავი შეეკავებინათ სიგარეტის მოწევისგან, ნასვამმა რუსებმა თავისი გაიტანეს და აყალმაყალიც ატეხეს. "ბრიტანეთის ავიახაზების" ცნობით, თვითმფრინავის 207 მგზავრიდან დაახლოებით 65 საფეხბურთო კლუბის ფანი იყო.

ერთი სიტყვით, ორშაბათს ლონდონის აეროპორტ "ჰიტროუს" პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ექვსი "გულშემატკივარი". ისინი ახლაც იქ იმყოფებიან და ადვილი შესაძლებელია "არსენალი"-ცსკა-ს მატჩი საერთოდ ვერ ნახონ.

## კლაისტერსი თხოვდება

ბელგიელ ჩოგბურთელს კიმ კლაისტერსს გათხოვება და დიდი სპორტიდან წასვლა განუზრახავს. ტელეარხ VRT-ს ეთერში საუბრისას მაყურებელმა ბელგიელის რჩეულის ვინაობაც შეიტყო. ეს ამერიკელი კალათბურთელი ბრაიან ლინჩია, რომელიც ერთ-ერთი ბელგიური კლუბის ღირსებას იცავს. კითხვაზე, თუ როდის აპირებს ჩოგბურთიდან წასვლას, 23 წლის კლაისტერსმა უპასუხა, რომ ზუსტი თარიღი არ იცის. მხოლოდ ის შეუძლია თქვას, რომ სპორტიდან გაისად წავა. და კიდევ ის, რომ უიმბლდონზე იასპარეზებს. დიდი სლემის ტურნირის შემდეგ კი ქორწილს აპირებს.

ცნობა იმის შესახებ, რომ ცნობილი ჩოგბურთელი და ბრაიან ლინჩი შეუღლებას აპირებენ, წლეულს, აპრილში გახდა ცნობილი. წყვილი უკვე ერთი წელია ხვდება ერთმანეთს.

შეგახსენებთ, რომ 2003 წელს კლაისტერსი დანიშნული იყო ავსტრალიელ ჩოგბურთელზე ლეიტონ ჰიუიტზე. ოღონდ ქორწილი არ გამართულა. ბელგიელმა საკუთარი კარიერის განმავლობაში მოიგო WTA-ს 32 ტურნირი და გამოიმუშავა 14 მილიონ დოლარზე მეტი.

## ისინბაევა ჭოკს მოიმარჯვებს

ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს არაერთგზის რეკორდსმენი, რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა დღეს იტალიის ალაგ ფორმიოს ბაზაზე ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგება.

"შვებულების პირველი ნახევარი მშობლებთან და მეგობრებთან ერთად გავატარე მშობლიურ ვოლგოგრადში, - აცხადებს ისინბაევა, - ჩემთვის დასვენების საუკეთესო საშუალება ახლობლებთან ურთიერთობაა და არა უცხოეთში მოგზაურობა".

ახალი სეზონის გრაფიკი ჯერ არ შეუდგენია, რადგან ბევრი რამ დასაზუსტებელია.

## აიზია ტომასმა "ნიკსი" ჩაიბარა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის თამაშების წინ ამავე ასოციაციის კომისიონერმა დევიდ შტერნმა მოაგვარა ცნობილი მწვრთნელის ლერი ბრაუნის ირგვლივ ატეხილი სკანდალი. საქმე ის არის, რომ ჩავარდნილი სეზონის შემდეგ "ნიუ იორკ ნიკსის" (59 წაგება 82 მატჩში) აქციონერთა საბჭოს თავმჯდომარემ ჯეიმს დოლანმა ბრაუნი დაითხოვა და უარი განაცხადა გადაეხადა 40 მილიონი დოლარი, რომელიც მწვრთნელს დარჩენილი ოთხი წლისთვის ხელშეკრულებით ეკუთვნოდა. "ნიკსმა" და ლერი ბრაუნმა კომპრომისს მიაღწიეს. ინციდენტი ამოწურულია", - "ასოშეიტედ პრესი" შტერნის ციტირებას ახდენს. თუმცა, მხარეებს შორის მიღწეული ფინანსური პირობები არ გახმოვანებულა.

2006-07 წლების სეზონზე "ნიუ იორკის" მთავარი მწვრთნელი იქნება წარსულში "დეტროიტის" ყოფილი მცველი, ამჟამად კი კლუბ "ნიკსის" პრეზიდენტი აიზია ტომასი.

## შარისთავებს მარყუჟს უჭერენ

საბერძნეთის პოლიციის მიერ გამოქვეყნებული კომუნიკე გვამცნობს, რომ 2007 წლიდან საბერძნეთის ყველა საფეხბურთო სტადიონზე ვიდეოთვალის კამერებს დააყენებენ, რომელიც აღბეჭდავს გულშემატკივართა ყოფაქცევას. საბერძნეთის ფეხბურთის ხელმძღვანელობა აპირებს შემოიღოს ელექტრონული ბილეთების სისტემა.

ეს ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ ტრიბუნებზე შემცირდეს ინციდენტები, რომელსაც რეგულარული ხასიათი აქვს სტადიონებზე.

## კაპელოს "სტიაუა" ადარდებს

"ასოშეიტედ პრესის" ცნობით, "რეალის" მწვრთნელი ფაბიო კაპელო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის მატჩში "სტიაუასთან" თამაშს გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ამასწინანდელ დერბს "ბარსელონასთან".

"დღეს "სტიაუასთან" შეხვედრა ყველაზე მნიშვნელოვანია, - აცხადებს იტალიელი სპეციალისტი, - გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლას 95 პროცენტით გავინაღდებთ".

## კიევის "დინამო" სუსტადაა

დღეს კიევის "დინამოს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის მატჩი აქვს, მაგრამ ირკვევა, რომ "ლიონთან" კიეველები შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებენ. კერძოდ, ტრავმის შემდეგ ფორმა ვერ აღიდგინეს ბრაზილიელმა ლეგიონერებმა დიეგო რინკონმა და კარლოს კორეამ. შემადგენლობაში არ იქნება ასევე ვლადისლავ ვაშუკი, რომელსაც წინა ხუთშაბათს მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. უფრო ადრე მსგავსი ტრავმის გამო შემადგენლობას გამოაკლდა გორან საბლიჩი. კარგა ხანია მკურნალობენ სერგეი ფედოროვი და რუსლან როტანი. ლიონში ვერ გაფრინდა ალექსანდრ ალიევიც.

საყურადღებოა, რომ შემადგენლობაშია ტარას მიხალიკი. ის უკრაინის ჩემპიონატში დაშავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ტრავმა სერიოზული არ არის. გუშინ კიეველებმა ვარჯიში ჩაატარეს ლიონის ცნობილ სტადიონ "ჟერლანზე", იქ, სადაც 1986 წელს მადრიდის "ატლეტიკოსთან" ფინალურ მატჩში თასების თასს დაეპატრონენ.

## ბორგის ჩოგანი კიბოს შეებრძოლება

უიმბლდონის ტურნირის არაერთგზის გამარჯვებულის, შვედი ბიორნ ბორგის ჩოგანი ინტერნეტ-აუქციონზე (Tradera) 75 400 შვედურ კრონად (დაახლოებით 10 ათასი დოლარი) გაიყიდა. სტოკჰოლმური ტელეარხის TV 4-ის ცნობით, ბორგის ჩოგანი ყველაზე პოპულარული ლოტი ყოფილა, რომლის შეძენის სურვილი გამოუთქვამს 61 პირს.

აუქციონზე გაყიდული ჩოგნიდან და სხვა ნივთებიდან მიღებული თანხა კიბოსთან ბრძოლის ფონდს გადაეცემა. ცოტა ხნით ადრე ფინანსური სიდუხჭირის გამო ბიორნ ბორგს საკუთარი ჯილდოების გაყიდვა ჰქონდა განზრახული, მაგრამ მოგვიანებით მას სპონსორები გამოუჩნდნენ.

## ჰოლანდიელებმა ყვანჭი საჩემპიონოდ მოიქნიეს

სტელენბოშში (სამხრეთ აფრიკა) დასრულდა მოყვარულ ვაჟ მეგოლფეთა მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრებაში 70 გუნდი და 210 მეგოლფე გამოდიოდა. პირველი ადგილი დაიკავეს ჰოლანდიელებმა, მეორე - კანადელებმა, ხოლო წინა ჩემპიონატის გამარჯვებულმა აშშ-ის ნაკრებმა - მესამე.

## ალონსოს "მაკლარენში" ესპანური ბანკი გაეკიდა

გაისად "მაკლარენ-მერსედესის" ერთ-ერთ სპონსორად მოგვევლინება ესპანური ბანკი SCH. საინტერესოა, რომ 2007 წლიდან მაკლარენელთა ღირსებას დაიცავს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ესპანელი ფერნანდო ალონსო, რომელიც აქამდე ფრანგული "რენოს" წევრი იყო.

# ჯაბა კანკავა - უკრაინის ნაკრების საბაზო გუნდში

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების და კიევის "არსენალის" ახალგაზრდა ნახევარმცველმა ჯაბა კანკავამ დნეპროპეტროვსკის "დნიპროსთან" გააფორმა კონტრაქტი და იანვრიდან ამ კლუბში გააგრძელებს კარიერას. შეგახსენებთ, რომ კანკავა 2004 წლის გაზაფხულზე, 18 წლის ასაკში გამოჩნდა თბილისის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში და გუნდთან ერთად საქართველოს თასი მოიპოვა. თბილისის "დინამოს" მიერ უეფას თასის შესარჩევ ეტაპზე ერთიმეორის მიყოლებით ბელორუსის "ბატეს", ჩეხეთის "სლავიას", პოლონეთის "ვისლას" დამარცხებაში და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაში კანკავამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. 2005 წლის გაზაფხულზე ქართველი ნახევარმცველი ვლადიკავკაზის "ალანიაში" გადაბარგდა და ოსურ კლუბში ერთი სეზონი გაატარა, 2005 წლის გაზაფხულიდან კი კიევის "არსენალის" ღირსებას იცავდა და ამ კლუბს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარა. კიევის "არსენალმა" უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატში ბრწყინვალე სტარტი აიღო, რაც ქართველი ფეხბურთელის დიდი დამსახურებაცაა. მიუხედავად იმისა, რომ კანკავა ამპლუით საყრდენი ნახევარმცველია და მის პირდაპირ მოვალეობებში გოლების გატანა არ შედის, კანკავას უკვე ოთხი გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით საკუთარი


გოჩიტა ბახაიძის ფოტო
*კანკავა ახალ კლუბს იანვრიდან შეუერთდება.*

კლუბის ბომბარდირია. ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი ერთი კვირის წინ კიევის "არსენალისა" და დონეცკის "შახტარის" კარში გაიტანა. ამ გოლის წყალობით "არსენალმა" "შახტარი" დაამარცხა (1:0) და სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში პოზიცია განიმტკიცა. ქართველი ფეხბურთელის წარმატებული თამაში შეამჩნიეს და არა მარტო უკრაინაში. მას ყურადღებით აკვირდებოდნენ დასავლეთევროპული კლუბები, მათ შორის, ლევერკუზენის "ბაიერი". სეზონის დაწყებისთანავე დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" მთავარი მწვრთნელი, ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობი ოლეგ პროტასოვი ყველაფერს აკეთებდა კანკავას გადასაბირებლად და საწადელს მიაღწია კიდეც. თუმცა, როდესაც ეს ინტერესი ღიად გაცხადდა, კიევის "დინამოს" მეპატრონემ, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა ხმაურიანი განცხადებები გააკეთა. სურკისის თქმით, მას დიდი ხანია თვალი უჭირავს ქართველ ნახევარმცველზე და მის გადასაბირებლად გვარიან თანხასაც არ დაიშურებდა. თუმცა, ყველაფერი მაინც კანკავას სურვილის შესაბამისად გადაწყდა. მან კიევის "დინამოს" დნეპროპეტროვსკის "დნიპრო" არჩია. მისი ეს ნაბიჯი სავსებით გამართლებულია. კიევის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის დიდი კონკურენციაა და შესაძლო იყო კანკავა სათადარიგოთა სკამზე დაესვათ. ქართველმა ფეხბურთელმა გაცილებით უკეთეს საკონტრაქტო პირობებს და მაღალ ხელფასს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ამჯობინა. კიევის "არსენალში" კანკავას პარტნიორობას უწევდა ლაშა ჯაკობია. ჩვენებური არც "დნიპროში" იქნება ერთადერთი ქართველი. ამ გუნდში საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ნახევარმცველი, კიევის დინამოელი კახა ალადაშვილია.

კანკავასა და "დნიპროს" შორის გაფორმებული კონტრაქტი სამწლიანია, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ქართველი ფეხბურთელი ვადის ამოწურვამდე დატოვებს დნეპროპეტროვსკს. პროტასოვმა ჯაბა კანკავას აღუთქვა, რომ თუ რომელიმე სოლიდური დასავლეთევროპული კლუბი მისი სამსახურით დაინტერესდება, დნეპროპეტროვსკელები პრობლემებს არ შეუქმნიან და ტრანსფერის საფასურად შედარებით დაბალ თანხას მოითხოვენ. ეს პირობა კანკავასა და კლუბს შორის გაფორმებულ კონტრაქტშიც არის ჩადებული.

ჯაბა კანკავა დეკემბრის ბოლომდე კიევის "არსენალში" დარჩება და უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეს ამ კლუბში ჩაამთავრებს, იანვარში კი თავის ახალ კლუბს შეუერთდება.

# ტოპმიოლერი ნაკრებს აახალგაზრდავებს

15 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადინზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ურუგვაის ნაკრებს უმასპინძლებს.

მართალია, ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მთლად სახარბიელო მდგომარეობა არა აქვს, მაგრამ ნაკრების გარფიკი ისე დაიგეგმა, რომ სპარინგ-პარტნიორების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით. სექტემბრის შემდეგ "ჯვაროსნებს" უკვე მეოთხე მსოფლიო ჩემპიონთან მოუწევთ ჭიდილი.

სწორედ ასეთ მატჩებში იძენენ ფეხბურთელები გამოცდილებას და, ცხადია, ტოპმიოლერს ეს მშვენივრად ესმის. ალბათ სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ახალი სახე გამოჩნდა. კერძოდ, ბატონმა კლაუსმა ძირითად ნაკრებში მიიწვია თბილისური "ამერის" ახალგაზრდა ფორვარდი რატი წინამძღვრიშვილი. ნაკრებს ასევე გააძლიერებს დავით სირაძეც, რომელიც აქამდეც იმსახურებდა ნაკრებში გამოცდის შანსს. კიდევ ერთ სიახლედ ნაკრებში ლადო ბურდულის დაბრუნება უნდა მივიჩნიოთ. ურუგვაისთან მატჩზე ტოპმიოლერმა არ გამოიძახა შოთა არველაძე, რომელიც ბრწყინვალედ თამაშობს ჰოლანდიურ "ალკმაარში", თუმცა გერმანელ სპეციალისტს არაერთხელ უთქვამს, რომ შოთას არანაირი გამოცდა არ სჭირდება. ეტყობა, ამჯერად საქართველოს ნაკრების მთავარ ფორვარდს დასვენების საშუალება მისცეს.


გოჩიტა ბახაიძის ფოტო
*ტოპმიოლერმა სია დაასახელა.*

გარკვეული სიახლეები იქნება მეკარის პოზიციაზე. ტოპმიოლერმა ნაკრებში დააბრუნა ნუკრი რევიშვილი და ზურაბ ქვაჩახიასაც მისცა შანსი. მთლიანობაში საქართველოს ნაკრების სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** გიორგი ლომაია, ნუკრი რევიშვილი, ზურაბ ქვაჩახია

**მცველები:** ოთარ ხიზანეიშვილი, კახი კალაძე, გიორგი შაშიაშვილი, ილია კანდელაკი, დავით იმედაშვილი, ლაშა სალუქვაძე

**ნახევარმცველები:** ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ჯაბა კანკავა, დავით მუჯირი, ზურაბ მენთეშაშვილი, გოგიტა გოგუა, დავით კვირკველია, ლადო ბურდული

**თავდამსხმელები:** მიხეილ აშვეთია, გიორგი დემეტრაძე, რატი წინამძღვრიშვილი, დავით სირაძე

# რუსების ბედი ჰამბურგში გაირკვევა

გუშინ გამართული რვა თამაშის შემდეგ დღეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მეოთხე ტური მორიგი რვა დაპირისპირებით დასრულდება. ისევე როგორც გუშინ, დღესაც საინტერესო მატჩებია მოსალოდნელი. ალბათ დღესაც გაირკვევა რამდენიმე მერვედფინალისტი.

**E ჯგუფი**

**ლიონი - დინამო**

**რეალი - სტიაუა**

ამ ჯგუფში თითქმის ყველაფერი გაირკვა. წესით, "ლიონმა" და "რეალმა" მორიგი გამარჯვებები და მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება უნდა მოიპოვონ. ამ ჯგუფის მთავარი ინტრიგა ის არის, თუ ვინ დაიკავებს პირველ ადგილს და ვინ მოიპოვებს უეფას თასზე თამაშის უფლებას. პირველობის მთავარი ფავორიტი ფრანგული "ლიონია", რომელიც საუცხოო ფეხბურთს აჩვენებს. მართალია, ულიეს გუნდს მცირე საკადრო პრობლემები აქვს, მაგრამ კიეველთა დამარცხება მაინც არ უნდა გაუჭირდეს. რაც შეეხება "რეალს", კლასიკოს მოგების შემდეგ კაპელოს გუნდი ისე ათამაშდა, როგორც ამას გულშემატკივრები ითხოვენ და ალბათ "რეალი" - "სტიაუას" წყვილშიც ყველაფერი ცხადზე უცხადესია.

**F ჯგუფი**

**ბენფიკა - სელტიკი**

**კოპენჰაგენი - მანჩესტერი**


*"არსენალი" რევანშისთვის ემზადება.*

ნევილისა და საას გარეშე ესტუმრებიან, მაგრამ ფერგიუსონის შე-

მისცემს. გაცილებით საინტერესო იქნება პორტუგალიურ-შოტ-

ვევაში პორტუგალიური გრანდი შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს

**G ჯგუფი**

**არსენალი - ცსკა**

**ჰამბურგი - პორტო**

ჯერჯერობით გაზაევის გუნდი ჯგუფში პირველ ადგილს იკავებს. თუმცა საეჭვოა, რომ სტატუს კვო ამ ტურის შემდეგაც შენარჩუნდეს. გაყინულ მოსკოვში წაგებული თამაშის შემდეგ ვენგერის რაზმი რევანშისთვის ემზადება და, წესით, ანრიმ და კომპანიამ საწადელს უნდა მიაღწიონ. მით უმეტეს, რომ არმიელთა ლიდერი დანიელ კარვალიო ლონდონს მსუბუქი ტრავმით ეწვია.

უმნიშვნელოვანესი იქნება მატჩი "ჰამბურგსა" და "პორტოს" შორის. თუ გერმანულმა გუნდმა საკუთარ მინდორზე პირველი ქულების აღება მოახერხა, ფაქტობრივად რუსულ საქმეს გააკეთებს. "აოლ არენაზე" ცსკას ბედიც უნდა გადაწყდეს. "პორტოსთვის" გერმანიაში ქულების დაკარგვა კატასტროფის ტოლფასი იქნება. ამ შემთხვევაში გერმანელები პლეი-ოფებისკენ მიმავალ გზაზე მწვანე შუქს აუნთებენ მოსკოვის ცსკას.

**H ჯგუფი**

**მილანი - ანდერლეხტი**

**აეკი - ლილი**

პლეი-ოფების სტადიაზე გასვლას "მილანი" ოფიციალურად ალბათ დღეს გააფორმებს. ბერძნულ აეკს კი უკანასკნელი შანსი ეძლევა. "ლილის" დამარცხების

# პრემიერლიგის ვარსკვლავთა საიდუმლო ცოდვები

ბრაიან ალექსანდერი
*The Times*

ინგლისური პრემიერლიგის ზოგიერთი ფეხბურთელი მკურნალობის კურსს გადის აზარტული თამაშებისა და პორნოგრაფიისადმის ლტოლვისგან თავის დასაღწევად. ეს მორიგი მტკიცებულებაა იმისა, რომ თანამედროვე მდიდარი ფეხბურთელები უკონტროლო და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევიან. ექსპერტები და თავად ფეხბურთელებიც ამის მთავარ მიზეზად მეტისმეტად დიდ ხელფასებსა და ცხოვრებისეული გამოცდილების არქონას ასახელებენ. ფეხბურთელებმა უბრალოდ არ იციან, რა აკეთონ თავისუფალ დროს.

ამ ახალ და მეტად მძიმე ტენდენციაზე ისაუბრა ბი-ბი-სის რადიოს პირდაპირ ეთერში Sporting Chance Clinic-ის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კეიმ. ეს კლინიკა ხუთი წლის წინ ჰემპშირში ტონი ადამსმა დააარსა. თავის დროზე "არსენალის" ლეგენდარული კაპიტანი ანალოგიური პრობლემებისგან განიკურნა და ახლა ახალგაზრდა კოლეგების დახმარება სურს.

"იშვიათად ნახავთ პრემიერლიგის ფეხბურთელს, რომელსაც ნოუთბუქი არა აქვს, - ამბობს კეი, - ეს ახალგაზრდები ხშირად მარტოობაში ატარებენ დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მატჩის წინა საღამოს სასტუმროს ნომერში რჩებიან და მეორე დილამდე ნომრიდან გამოსვლის უფლება არა აქვთ. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ აზარტული თამაშები და პორნოგრაფია ურთიერთკავშირშია. ფეხბურთელი რთავს თავის ნოუთბუქს და შედის რომელიმე სათამაშო საიტზე. ჩვენ ისეთ ადამიანებთან ვმუშაობთ, რომელთათვისაც აზარტული თამაშები უკვე მანიად იქცა. მათ შეუძლიათ წააგონ ფული, გამორთონ კომპიუტერი და თქვან: მორჩა, მეტს აღარ ვითამაშებ. მაგრამ რამდენიმე წუთში ისევ ნოუთბუქს მიუჯდებიან და აგებენ ყველაფერს, რაც ანგარიშზე აქვთ. ზოგიერთი ერთ საღამოს 25-30 ათას გირვანქა სტერლინგს აგებს".

ასეთ დროს მათთვის გამოსავალია პორნოგრაფია. "წაგების შემდეგ თავს ცუდად გრძნობენ, სათამაშო ფული თითქმის აღარა აქვთ. ამიტომ მორიგ სათამაშო საიტზე აღარ შედიან. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ გულის გადასაყოლებლად არ ნახავენ ფილმს "რიგითი რაიანის გადასარჩენად". პირდაპირ რომელიმე პორნოსაიტზე შევლენ და... დილის ხუთ საათამდე ასე იქარწყლებენ დარდს. ცხადია, მეორე დღეს ფეხბურთის ნორმალურად თამაშზე საუბარი ზედმეტია", - აცხადებს კეი.



*ტონი ადამსი Sporting Chance Clinic-ის დამაარსებელი.*

ცნობილმა ბრიტანელმა ფორვარდმა, რომელიც Sporting Chance Clinic-ში მკურნალობდა, გვითხრა: "ასეთი პრობლემები რამდენიმე წლის წინ მქონდა. კვირაში 20 ათას გირვანქა სტერლინგს მიხდიდნენ. ფული სად წამეღო არ ვიცოდი. თავისუფალი დროც ბლომად მქონდა. როცა გაქვს კომპიუტერი, ნებისმიერ რამეს შეიძლება გაუსინჯო გემო. იცით, ისე ვიყავი, როგორც პატარა ბავშვი ტკბილეულობის მაღაზიაში. ლეპტოპები სასტუმროს ნომრებში ფეხბურთელებისთვის დამღუპველია. ამ ნომერში ერთი მიზნით შედიხარ: უნდა დაისვენო. თუმცა, თუ გართობა მოგინდა, ჩართავ კომპიუტერს და შენი ცხოვრება ამ ვირტუალურ სამყაროში გადადის"

ცხადია, პორნოგრაფიულ საიტზე ერთხელ შესვლა დიდ ზიანს ვერავის მიაყენებს. ამას ბატონი კეიც აღიარებს, მაგრამ... "როცა დღეში ერთხელ შეხვალ ასეთ საიტზე, გაგეცინება და ლეპტოპს გამორთავ, არაფერია, მაგრამ ზოგიერთი მთელი ღამე კომპიუტერს უზის და პორნოსაიტებს ათვალიერებს. ეს სერიოზული პრობლემაა. ამის შემდეგ მოთამაშეები ფეხბურთზე საერთოდ აღარ ფიქრობენ".

კეი, რომელსაც პაციენტები "შეფს" ეძახიან, ორი წლის განმავლობაში მუშაობდა პრესტიჟულ ბრიტანულ სასტუმროებსა და რესტორნებში, ახლა კი ტყის სიღრმეში შემალულ ორ კოტეჯში თამაშისა და პორნოგრაფიის მანიით შეპყრობილ ვარსკვლავებს მკურნალობს. ერთ შენობაში ერთდროულად მხოლოდ ოთხ ადამიანს შეუძლია ცხოვრება. სახლი საკმაოდ ასკეტურად არის მოწყობილი. ფუფუნების საგნებს აქ ვერ ნახავთ. არის მხოლოდ ის აუცილებელი, რაც არსებობისთვის არის საჭირო.

"ორი-სამი წლის წინ აზარტული თამაშების გამო ექვსნიშნა ვალები მქონდა. ფაქტობრივად, დავკარგე სამუშაო ჩემს კლუბში და ქალიშვილის ნახვის საშუალებაც კი არ მქონდა. 24 საათის განმავლობაში მთვრალი ვიყავი. ჩემი ცხოვრება ბეწვზე ეკიდა", - ამბობს კლინიკის ერთ-ერთი ყოფილი პაციენტი.

ადამსის კლინიკის ტელეფონის ნომერი მას კლუბის მენეჯერმა მისცა. "ალკოჰოლიზმი იმის ნიშანია, რომ ადამიანს სხვა პრობლემებიც აქვს. ამ ფეხბურთელის შემთხვევაში სწორედ ამ პრობლემასთან გვქონდა საქმე", - ამბობს კეი.

"ყოველ საღამოს ათასობით გირვანქას ვაგებდი. ეს ისე არ ხდება, როგორც რეალურ ცხოვრებაში. კაზინოში ამდენს ვერ წააგებ. კომპიუტერით კი ნაღდ ფულთან არა გაქვს საქმე. ღილაკს აჭერ და ფიქრობ, რომ არაფერი ხდება. შემდეგ მხოლოდ სასმელში ხედავ გამოსავალს", - ამბობს ფეხბურთელი.

იმის თქმა, რომ სასტუმროებში ყველა ფეხბურთელი ლეპტოპთან ზის და აზარტული თამაშებით ერთობა, ძნელი დასამტკიცებელია, ფაქტობრივად შეუძლებელიც, მაგრამ პრობლემა მთელი სიმწვავით დადგა. მიზეზი კი საკმაოდ მარტივია.

საღამოს რვა საათის შემდეგ სასტუმროს ნომერში მარტო ჩაკეტილი ახალგაზრდა მოწყენილია და გასართობად ლეპტოპს ხსნის. აზარტული თამაშები მანიად იქცევა, წაგებული ფეხბურთელი კი პორნოგრაფიაში, ნარკოტიკებში ან სასმელში პოულობს შვებას.

# ვის დარჩება ბექჰემი?

მარი ჭავახიშვილი

დევიდ ბექჰემის, როგორც ფეხბურთელის, თავს ბოლო დროს ყველაფერი რიგზე რომ ვერ არის, ამას ბევრი განსჯა არ სჭირდება. თუმცა, მიუხედავად ამისა, დედამიწის ზურგზე ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვისაც ენა მოუბრუნდება და იტყვის, რომ ბექჰემი სუპერვარსკვლავობის მხრივაც განიცდის პრობლემებს.

და მაინც, ბოლო დროს ესპანურ პრესაში სულ უფრო ხშირად ამოიკითხავთ ინგლისელი ფეხბურთელს გვარს. მიზეზი ძირითადად ბექჰემის "რეალთან" კონტრაქტის გახანგრძლივებაა. თუ პირენეებზე გავრცელებულ ჭორს ვენდობით, "სამეფო გუნდი" ნახევარმცველის გაყიდვას აპირებს, ეს უკანასკნელი კი ამერიკულ ფეხბურთში გეგმავს კარიერის გაგრძელებას. ესპანური მედიის წარმომადგენლები უფრო შორს მიდიან და ამტკიცებენ, რომ დევიდი ამ ზამთარსვე დატოვებს კლუბს, მშობლიურ "ბექჰემგემის სასახლეს" დაუბრუნდება და თვით ინგლისის დედოფლის ხელიდან მიიღებს "ბრიტანეთის იმპერიის რაინდის" წოდებას.

თუმცა, ვეჭვობთ, რომ 31 წლის ფეხბურთელს პრესაში გავრცელებული ჭორები აღელვებდეს. როგორც კლუბის, ისე თავისი ქვეყნის პირველი გუნდის ყოფილი წამყვანი ფეხბურთელი ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ზის "რეალის" სათადარიგოთა სკამზე. მეტიც: მატჩის დამთავრებამდე 15-ოდე წუთით ადრე უწევს მოედანზე შესვლა. აღარაფერს ვამბობთ ნაკრებზე, სადაც სტივ მაკლარენმა კატეგორიული უარი განაცხადი მის დახმარებაზე. ისმის კითხვა: რა ხდება, საჭიროა კი საერთოდ დევიდ ბექჰემი? თუ საჭიროა, მაშინ რომელ სფეროში - მოქმედი ფეხბურთელისა თუ პოპულარული ფირმების კომერციული მიზნებისთვის?

ისევ პრესას დავუბრუნდეთ. აჟიოტაჟი მაშინ დაიწყო, როცა დევიდ ბექჰემმა პოპულარულ ბრიტანულ ტაბლოიდ "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დღემდე ენატრება "მანჩესტერ იუნაიტედში" გატარებული წლები. არადა, 2003 წელს, როცა ბექზმა "რეალს" მიაშურა, ვერც კი იფიქრებდა, რომ ახალ გუნდთან ერთად ახალ მწვერვალებს ვერ დაიპყრობდა...

მიუხედავად ამისა, ალბიონზე ჯიუტად ამტკიცებენ, დევიდ ბექჰემი ზამთრის სატრანსფერო სეზონშივე დატოვებს "რეალს" 7 მილიონი ფუნტის სანაცვლოდო. მადრიდში კი საპირისპიროს აცხადებს "სამეფო გუნდის" პრეზიდენტი რამონ კალდერონი - ბექჰემთან კონტრაქტის გახანგრძლივება ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავიაო.





არადა, ფაქტია, რომ მადრიდელთა ახალი თავკაცი ინგლისელ ნახევარმცველს ხან გუტის, ხან რობინიოს, ხანაც ხოსე ანტონიო რეიესს ამჯობინებს. იტალიელის მტკიცებით, ახალი "რეალის" სათამაშო სტილი ფლანგებზე ისეთ სიჩქარეს მოითხოვს, რომელიც ბექჰემს კარიერის საუკეთესო წლებშიც არ ჰქონდა.

ერთი სიტყვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ბექჰემს კარიერის გაგრძელება სურს, აუცილებლად უნდა გამოიცვალოს კლუბი. ყველაზე ლოგიკური კი ინგლისში დაბრუნება იქნება, თუმცა საეჭვოა, ის პრემიერლიგის "დიდ ოთხეულში" ("ჩელსი", "მანჩესტერ იუნაიტედი", არსენალი" და "ლივერპული") მოხვდეს.

საგულისხმოა, რომ ბოლო დროს ბექჰემით ძირითადად საშუალო დონის ინგლისური კლუბები იყვნენ დაინტერესებულნი - "ნიუკასლი", "ტოტენჰემი", "ვესტ ჰემი". მით უმეტეს, რომ ორი მათგანი აღმოსავლეთ ლონდონს მიეკუთვნება - ადგილს, სადაც დევიდი შობილა და გაზრდილა. ასე რომ, უნდა ვივარაუდოთ: ბექზი იოლად შეეწყობა ახალ გარემოს. მაგრამ არსებობს ერთი "მაგრამ"... საეჭვოა, "ტოტენჰემმა" ან "ვესტ ჰემმა" ბექჰემის არა, მაგრამ მისი მეორე ნახევრის - ვიქტორია ადამსი-ბექჰემის ფინანსური მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

რაც შეეხება ამერიკას, ინგლისელ ნახევარმცველს იქ მართლაც დიდი ხანია ელიან გაშლილი ხელითა და თბილი გულით. აშშ-ის პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობა კი ადგილობრივი კლუბების საერთაშორისო ფეხბურთელებით გაძლიერებას აპირებს და, როგორც ამბობენ, ამ მიზნით ევროპელი მოთამაშეებისთვის სოლიდური თანხის დაწესებას აპირებენ ხელფასის სახით.

ბექჰემი ერთ-ერთი იდეალური ვარიანტია ამერიკელთათვის. როგორც ისინი ამბობენ, ინგლისელი ფეხბურთელი საზღვარგარეთ ჩრდილოამერიკული ლიგის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს და გარკვეულწილად გაზრდის გულშემატკივართა ინტერესსს ამერიკული ფეხბურთისადმი.

არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი - იაპონია და ახლო აღმოსავლეთი, სადაც ბოლო დროს სულ უფრო ხშირად აგრძელებენ კარიერას მაღალი დონის ფეხბურთელები. თუმცა, არა გვგონია, ბექჰემსა და მის პირმშვენიერ მეუღლეს საუდის არაბეთში ან ყატარში ცხოვრება ხიბლავდეთ.

ბოლო წინადადებით ინგლისელს ისრაელიდან მიმართეს: "მაქაბის" ხელმძღვანელობა მზად არის "რეალის" ნახევარმცველის სანაცვლოდ 7,5 მილიონი ევრო გადაიხადოს.

ამასობაში კი 31 წლის ფეხბურთელის თქმით, მას საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. გადაჭრით ვერც იმას ვიტყვით, რომ ბექჰემის გაყიდვა "რეალმა" კატეგორიულად გადაწყვიტა. მით უმეტეს, რომ ამჟამად "ბექჰემის" ბრენდის ექსპლუატაციას სამეფო გუნდისთვის ყოველ სეზონში 25 მილიონი ევრო მოგება მოაქვს. ეს კი გუნდის წლიური ბიუჯეტის თითქმის 10 პროცენტია.

ერთი სიტყვით, ბრძოლა ბექჰემისთვის გრძელდება. გამარჯვებულს ალბათ თავად ინგლისელი ფეხბურთელი დაასახელებს.

# პროვოკაციას არ აჰყვნენ

რაგბის საგაისო მსოფლიო თასის გადამწყვეტ, ორმატჩა შესარჩევში საქართველოს მეტოქე იქნება პორტუგალია, ვინც წლეულს რუსეთს მესამედ უმასპინძლა და, ბოლოს და ბოლოს, მოუგო. კავკასიელთა და ლუზიტანთა ნოემბრის რკენის გამარჯვებული პირდაპირ მიიღებს საფრანგეთის ბოლო, მესამე ევროპულ საგზურს, დამარცხებული კი ბრძოლას გააგრძელებს რეპეშაჟში, სადაც გაისად ჯერ მაროკო - ნამიბიის წყვილში ხელმოცარული ელის, მერე კი - ურუგვაი.

### ნამიბია 25:7 მაროკო

აფრიკის რაგბის კონფედერაციის (კარ) შეფი მაღრიბელი აბდელ-აზიზ ბუგჟა რომაა, ბომონდური გაგებით, ფინალში ორჯერ (1999, 2003 წწ.) ნამყოფი ნამიბიის კვალად მაროკოს დაწინაურების რიგია, რაკი, სხვა არა იყოს რა, "ატლასის მთების ლომებმა" თამაში ფრანგთაგან ისწავლეს, ლამის მთელი ნაკრებიც იქვე მოღვაწეობს და მსოფლიო თასის მასპინძელი გალეთი ჩრდილოაფრიკელთა მოხალისე მფარველია.

ამის საპირისპიროდ, ნამიბიას პატრონი არ ჰყავს, ბოლო მსოფლიო თასზე 0:142 წააგო ავსტრალიასთან და მუდმივი ქაოსის გამო ირბ გრანტსაც კი აღარ აძლევს. "ბილტონხბურე" მიმდინარე ციკლში სტუმრად ორჯერვე გამოხშირული წავიდა და დამარცხდა (ტუნისში 7:24, კენიაში 26:30), მაგრამ მაროკოს დასახ-

კაპიტნად და ინგლისის პირველ დივიზიონში მოთამაშე მეორეხაზელი ჰეინო სენეკალიც ჩავიდა ვინდჰუქში.

თამაში 29 გრადუს სიცხეში ჩატარდა. ბილეთი 30 რანდი (4 დოლარი) ღირდა. ჩიტაზმა არ გამოუშვა შუამარბი ჰენდრიკ მეიერი, ნიკო ესტერჰეიზენი კი შინ საუნივერსიტეტო სესიების გადამკიდე ვერ ჩაბრძანდა. ირლანდიელმა რეფმა 13 ქულით დაწინაურებულ მასპინძლებს ერთი წუთის ინტერვალით გაუძევა ჰავბეკი პიტერ როსუ, ვეება ლენსინხი და საჯარიმო ლელოც ჩათვალა, მაგრამ ბოლო 20 წუთში ბილტონხბურე მთლად გახელდა და 18 ქულით მაინც გაიმარჯვა.

ერთი კია, ნამიბიის მწვრთნელს იოჰან ფენტერს თურმე მიამიტურად ჰგონია, რომ მსოფლიო თასზე გასასვლელად მის შეგირდებს სტუმრად, კასაბლანკაშიც, სულ მცირე, ერთი ქულით მოგება სჭირდებათ.

**ნამიბია - 3 ლელო:** ბოკი, ბერგერი, თომპსონი

**2 გარდასახვა, 2 საჯარიმო:** ვესელსი

**მაროკო - ლელო: გარდასახვა:** გარსია

**რეფერი:** მაკდაუელი (ირლანდია).



*ნამიბიას გამარჯვების კარგი შანსი აქვს.*

### მსოფლიო თასის შესარჩევები

**ევროპა მეხუთე რაუნდი**

**პულთა გამარჯვებულები:** იტალია და რუმინეთი, პირდაპირ გავიდნენ მსოფლიო თასზე

**მეორე ადგილზე გასულები:** საქართველო და პორტუგალია, მეექვსე რაუნდში აგრძელებენ ბრძოლას

**მეექვსე რაუნდი**

გამარჯვებული გადის მსოფლიო თასზე, წაგებული კი გაისად ევროპა - აფრიკა - ამერიკის რეპეშაჟში გააგრძელებს ბრძოლას

**11/11** საქართველო - პორტუგალია. **მსაჯი:** დამასკო (იტალია)

**25/11** პორტუგალია - საქართველო. **მსაჯი:** ჰეისი (უელსი)

**აფრიკა**

**მესამე რაუნდი**

გამარჯვებული (აფრიკა 1) გადის მსოფლიო თასზე, ხოლო წაგებული (აფრიკა 2) რეპეშაჟში აგრძელებს ბრძოლას

**28/10** ნამიბია - მაროკო 25:7

**11/11** მაროკო - ნამიბია (კასაბლანკა), **მსაჯი:** პუატე საფრანგეთი

**მსოფლიო თასის ფინალი**

**ა:** ინგლისი, სამხრეთ აფრიკა / სამოა (ზღვისრეთი 1), შტატები (ამერიკა 3), ტონგა (ზღვისრეთი 3) - აზია 2

**ბ:** ავსტრალია, უელსი / ფიჯი (ზღვისრეთი 2), კანადა (ამერიკა 2), აზია 1 (იაპონია - კორეა - ჰონკონგი)

**გ:** ახალი ზელანდია, შოტლანდია / იტალია (ევროპა 1), რუმინეთი (ევროპა 2), ევროპა 4 - აფრიკა 2 - ურუგვაი (ამერიკა 4)

**დ:** საფრანგეთი, ირლანდია / არგენტინა (ამერიკა 1), ევროპა 3 (საქართველო - პორტუგალია), აფრიკა 1 (მაროკო - ნამიბია)

პლეი-ოფი: ბ1 - ა2, გ1 - დ2 / ა1 - ბ2, დ1 - გ2

### კოლომბო წყნარი ადგილიაო

აზიაში გადამწყვეტი შესარ-

ლანკაზე უნდა გამართულიყო. საფრანგეთის ერთი საგზურისთვის ზედა დივიზიონის სამ გუნდს უნდა ებრძოლა, მაგრამ ჯერ იაპონიამ და მერე ჰონკონგმაც ვიშვიში რომ მორთეს, კუნძულზე ჩასვლა სახიფათოაო, ცალკე ირბ-მა და ცალკე შპს "მსოფლიო თასმა", ბრიტანული დაზვერვის რეკომენდაციით, შეჯიბრი ახლავე, დაწყებამდე ერთი თვით ადრე

წიათ. ლანკური რაგბის მთავარი მოხელე დილროი ფერნანდო ამტკიცებს, ჩვენი დედაქალაქი კოლომბო ისეთივე წყნარი ადგილია, როგორც ნებისმიერი სხვაო. არადა, რაც ქვეყნის ჩრდილოეთში დაბანაკებულმა სეპარატისტულმა მოძრაობამ "თამილ ილამის გამათავისუფლებელმა ვეფხვებმა" 2002 წელს დადებული ზავი ივლისში დაარღვიეს, შუაგულ კო-

### ტოკიოში ცხოვრებაზე ყაბულსაა

აზიის ფავორიტი ახლაც უცვლელი ალამდარი, ხუთ მსოფლიო თასზე ნათამაშევი იაპონიაა. სექტემბერში "ალუბლებმა" მოიხსნეს ურჩი ფრანგი მოძღვარი ჟანპიერ ელისალდი და მის ნაცვლად ნაკრები მოხელესა და ძველ ბურჯს ოსამუ ოტას ჩააბარეს, წი-

მსოფლიო თასზე იტალიას უსარდლა, წელს კი იაპონიის ბობოლა კლუბის "გრინ როკითსის" კონსულტანტი იყო.

ქერვინი (ჩვენებურად ქირვანი) 42 წლისაა. აძურმა ის 2005 წლის აპრილში დაითხოვა. ჯონი იაპონიის ნეკ-ში 1997-99 წლებში თამაშობდა. აზიელთა მტკიცებით, იტალიური ოჯახის თავი ქერვინი იაპონურ ადათს ნაზია-

ზელანდიელთა გასაკვირად, ჯონმა 2011 წლის მსოფლიო თასის მასპინძლის შერჩევისას სამშობლოს ნაცვლად საჯაროდ სწორედ იაპონიას დაუჭირა მხარი. ახლა კი, ორწლიანი კონტრაქტის დადების შემდეგ, დამქირავებელს ჰპირდება, საფრანგეთში ორ თამაშს მოიგებენ "ალუბლებიო", ვისი აქამდელი სამსოფლიოთასო ბალანსი 16 მატჩში მოპოვებული ერთადერთი გამარჯვებაა.

*მასალა მომზადებულია*

## მოკლედ

### "ერთი მსახიობის თეატრი"

დღეს ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის "ერთი მსახიობის თეატრში" სპექტაკლით "პლანეტების დაბადება" სეზონი იხსნება. სპექტაკლის რეჟისორები ინგა გარუჩავა და პეტრე ხუტანოვსკი არიან. მონაწილეობენ მსახიობები სოფიკო ჭიაურელი და ონისე ონიანი. როგორც თეატრმცოდნე მანანა გეგეჭკორმა განაცხადა, სპექტაკლი ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის ხსოვნას ეძღვნება და მათი ცხოვრება არის აღწერილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გივი ზალდასტანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

დღეს სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიმართება წიგნის "უტეხი სულის" პრეზენტაცია, რომელიც ცნობილი ქართველი ემიგრანტის, აშშ-ში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, გივი ზალდასტანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება. წიგნის ავტორები და გამომცემლები არიან ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი აკაკი გელაშვილი და ამერიკული აკადემიის ინგლისური ენის მასწავლებელი ლევან გელაშვილი. ნაშრომი სხვადასხვა საარქივო დოკუმენტებზე, მეგობრებისა და ახლობლების მოგონებებზე დაყრდნობით მომზადდა.

გივი ზალდასტანიშვილი 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის სოლომონ ზალდასტანიშვილის შვილია, რომელმაც საქართველო აჯანყების შემდეგ დატოვა და ემიგრაციაში ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად აქტიური წინააღმდეგობრივი მოძრაობა გააგრძელა. გივი ზალდასტანიშვილმა საქართველო 5 წლის ასაკში, 1925 წელს დედასთან და უმცროს ძმასთან ერთად დატოვა. ოჯახი 1946 წლამდე პარიზში, ხოლო შემდეგ ამერიკაში ცხოვრობდა.

გივი ზალდასტანიშვილი ჩაბმული იყო აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ზრუნავდა ქართული ემიგრაციის პრესის დაარსებასა და ფუნქციონირებაზე. საქართველოს საკითხს აყენებდა აშშ-ს მმართველობის უმაღლესი დონეების წინაშე. ჰარვარდის უნივერსიტეტის შემდეგ მან ბიზნესს მიჰყო ხელი. იგი ძმასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა აშშ-ს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1987 წელს გივი ზალდასტანიშვილი პირველად ჩამოვიდა საქართველოში. მისი ხელშეწყობით მრავალი ახალგაზრდა გაიგზავნა აშშ-ში სასწავლებლად, საქართველოში ჩამოჰყავდა ცნობილი ჰარვარდელი პროფესორები ლექციების კურსის წასაკითხად. მოგვიანებით, მან თბილისში ამერიკული აკადემია დააარსა. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ქართული ემიგრაციული მთავრობის არქივის დაბრუნებაში. 1 ნოემბერს გივი ზალდასტანიშვილს 87 წელი უსრულდება. "უტეხი სული" სწორედ ამ თარიღს ეძღვნება. **ინტერპრესნიუსი**

### დიდი დარბაზი

კონსერვატორიის დიდი დარბაზი კლასიკური მუსიკის მოყვარულებს ნოემბერში მრავალფეროვან პროგრამას სთავაზობს.

3 ნოემბერს კანადელი მუსიკოსი რიჩარდ რაიმონდი ბეთჰოვენის, ლისტის, შოპენისა და იულიუს რიუბკეს საფორტეპიანო ნაწარმოებებს შეასრულებს.

7 ნოემბერს საფორტეპიანო მუსიკის კონცერტზე მსმენელი ბრამსის, შუბერტის, ვაგნერის, ბურნის, რაველისა და ლისტის ნაწარმოებებს ბრიტანელი მუსიკოსის, ენტონი პიბელსის შესრულებით მოისმენს.

9 ნოემბერს კონცერტი-გამოფენა "ბგერა და ფერი" მოეწყობა, რომელიც კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიისა და თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთობლივი ნამუშევარია. კონცერტ-გამოფენაზე მისული ხელოვნების მოყვარულები შოპენის, დებიუსის, რაველის, პროკოფიევის, რახმანინოვის, სკრიაბინის, შჩედრინის, პიაცოლას, კარდიოს, ბულეზის მუსიკალურ ნაწარმოებებს მოისმენენ და ამ ნაწარმოებების შთაბეჭდილებით შექმნილ ფერწერულ ტილოებს დაათვალიერებენ.

კონსერვატორიის დიდი დარბაზი 14 ნოემბერს კამერული ანსამბლების ფესტივალს უმასპინძლებს. მევიოლინეები მარინე იაშვილი და მანანა დუგლაძე, პიანისტი სტანისლავ იგოლინსკი და კამერული ორკესტრი ბახის, ვივალდის და მენდელსონის ნაწარმოებებს შეასრულებენ. **მედიანიუსი**


## "მარადიული ასორტიმენტი: ჭეშმარიტების გამხმარი პური და სიცრუის ფუნთუშა"

5 ნოემბერს 20 საათზე

კულტურულ-საგანმანათლებლო საერთაშორისო კავშირი "რუსული კლუბი" და რუსული კულტურის ცენტრი საქართველოში თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის სცენაზე წარმოადგენს ცნობილი რუსი მწერალ-სატირიკოსისა და ტელესცენარისტის ვიქტორ შენდეროვიჩის შემოქმედებით საღამოს.

ბილეთების შეკვეთა თეატრის სალაროებში. მისამართი: რუსთაველის 2

ტელ: 93 11 06, 93 43 36



## ბრიტანული ენის დარბაზი გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

■ ინგლისური ენის კურსს სკოლის ასაკის ბავშვებისა და უფროსებისათვის.

■ მოსამზადებელ კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიპიკატებისათვის (**PET, FCE, CAE, IELTS**)

■ სპეცკურსს აბიტურიენტებისათვის სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უახლესი სასწავლო ლიტერეტურა

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს..

**Good luck with your English.**

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7
(ცეკავშირის შენობა) IV სართ. ოთახი 405
ტ. 55-21-29
ელ.ფოსტა: **british-Languaje hall@yahoo.com**


**2006 წლის 21 ოქტომბერს გაზეთ "24 საათი"ს 234 (1386)-ე ნომერში გამოქვეყნებულ სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს მიერ "ობიექტების რეალიზაციაზე კომერციული კონკურსის გამოცხადების შესახებ" გაცხადებაში გაიპარა შეცდომა, კერძოდ: ასფალტო-ბეტონის ქარხანა: უნდა იკითხებოდეს "მიწის ნაკვეთი 1.05 ჰა."**

## *ლოკომოტივისთვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება*

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 21 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში ***ლოკომოტივისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ*** შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

- შესყიდვის ობიექტში, მე-7 ლოტში, საკისურების განსაკუთრებულ თავისებურებაში დაემატოს სიტყვა „ბაბიტჩამოსხმული", ხოლო რაოდენობა ნაცვლად 180 წყვილისა განისაზღვროს 150 წყვილით;

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოქვეყნებული ლოკომოტივისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

# პირველი მუსიკის სახელმძღვანელო მეშვიდეკლასელებს

ნინო ბერელიძე

*ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში ეტაპობრივად დაიწყო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. საქართველოს ყველა საჯარო სკოლის პირველი, მეშვიდე და მეათეკლასელები ეროვნული გეგმის მიხდვით შედგენილი სახელმძღვანელოებით სწავლობენ. ამ სახელმძღვანელოებიდან ჩვენ მხოლოდ ერთზე, მეშვიდე კლასის მუსიკის სახელმძღვანელოზე ვისაუბრებთ, რომელიც გამომცემლობა "დიოგენემ" გამოსცა. სახელმძღვანელოს ახლავს "მასწავლებლის წიგნი". სახელმძღვანელოს ავტორები არიან საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი სასწავლო დარგში, პედაგოგი ქეთევან ცაგარელი და მუსიკისმცოდნე რუსუდან გიორგიძე-ჭიჭინაძე.*




სახელმძღვანელოში შეჯერებულია ფოლკლორული მღერის ტრადიციები და მუსიკალურ-პროფესიული მემკვიდრეობის თავისებურებანი. მუსიკის სახელმძღვანელომ გასულ სასწავლო წელს წარმატებით გაიარა პილოტირების პროცესი. სახელმძღვანელოს შინაარსი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო მიზნებს და სასწავლო გეგმას, შეესაბამება მოსწავლის ასაკს, ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს და შესაძლებლობებს, ეყრდნობა მოსწავლის გამოცდილებას, მისთვის ნაცნობ ცხოვრებისეულ სიტუაციებს, ცოდნას. სახელმძღვანელო ითავსებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს: ცოდნის გადაცემის, ცოდნის ინტეგრირების, სოციალურ და კულტურულ აღზრდას. სახელმძღვანელოში საგანმანათლებლო სტანდარტების ყველა მიმართულებაა ფოკუსირებული.

სახელმძღვანელოსა და სამომავლო გეგმის შესახებ გვესაუბრა სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი რუსუდან გიორგიძე-ჭიჭინაძე:

**"საზოგადოებას ყოველთვის აღელვებდა და განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა დღეს ახალგაზრდობაში მუსიკალური გემოვნების გაღარიბების ტენდენციის დამკვიდრებამ. მრავალი მიზეზიდან მუსიკოსი პედაგოგები გამოვყოფთ უმთავრესს - მოსწავლე-ახალგაზრდობის აკუსტიკურ გარემოს. ეს არის თანამედროვე გასართობი მუსიკა "ბგერათა ნიაღვარი", რომელსაც ერთფეროვანი ინტონაციური წყობა და ბგერა-რიტმული შთაბეჭდილებების სიჭარბე ახასიათებს. ცხადია, ასეთი მუსიკა არ მოისმინება. ახალგაზრდობის ინტონაციური მარაგის გაჯანსაღების უტყუარ, მძლავრ საშუალებად დღეს მსოფლიოს ყველა კონტინენტის მუსიკოსი-პედაგოგი ფოლკლორული მღერის ტრადიციების აღდგენას მიიჩნევს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, საქართველოში, სადაც მრავალხმიანობა გენეტიკური კოდითაა გამტკიცებული, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მუსიკალური ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის ნიმუშებს ეჭვით უყურებს, რადგან არ შეუძლია მხატვრული შინაარსის ადეკვატური აღქმა, მისი საზრისის წვდომა. ცხადია, მათ არც ხალხური მუზიცირების ოჯახური ტრადიციები აქვთ და არც მათ მუსიკალურ განთლებაზე იზრუნა ქვეყანამ. დღეს სკოლა მიმაჩნია ადამიანის მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბების პროცესის ბაზისად. ამ მიზნით შეიქმნა მეშვიდე კლასის სახელმძღვანელოც. ქალბატონ ქეთევან ცაგარელს დიდი თემატური მასალა ჰქონდა დაგროვილი. მას პრაქტიკოსი მასწავლებლის დახმარება სჭირდებოდა სახელმძღვანელოს შესაქმნელად. სწორედ ამ მიზნით შედგა ჩვენი თანამშრომლობა. სახელმძღვანელო გასულ წელს გადიოდა პილოტირებას და ამ პროცესში ჩვენც აქტიურად ვიყავით ჩაბმული. თითქმის ყველა რაიონში შევხვდით პედაგოგებს და დეტალურად გავაცანით სახელმძღვანელო, მისი სწავლების მეთოდები. ბევრი ადამიანი გვიკავშირდება და თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს. ამჟამად მერვე კლასის სახელმძღვანელოზე ვმუშაობთ".**

ეროვნულ სასწავლო მიზნებს სახელმძღვანელო რამდენიმე ასპექტით ეხმაურება, მათ შორის, გუნდური სასიმღერო, მუსიკალურ-რიტმული მოძრაობა, ელემენტარულ საკრავებზე მუზიცირება იმპროვიზაციის, მუსიკის ემოციურ-მხატვრული აღქმა-შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავებით. თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული შედეგი, ამ მიზანს ემსახურება მოსწავლის სახელმძღვანელოს ადეკვატურად აგებული "მასწავლებლის წიგნი", რომელსაც აუდიოკასეტებიც ახლავს თან.

"მასწავლებლის წიგნი" გზამკვლევია მასწავლებლისთვის საგაკვეთილო ბლოკის სტრუქტურაში, სიმბოლური აღნიშვნებით გამოყოფილ რუბრიკებში, იძლევა გაკვეთილების სახების აღწერას, ინოვაციური სწავლების მოდელების დახასიათებას და ა.შ.

შეფასების მაკონტროლებელი მასალა წარმოდგენილია შემაჯამებელი გაკვთილებით, გაკვეთილ-კონცერტებით. წლის განმავლობაში შეძენილი ცოდნა, უნარ-ჩვევები დგინდება შემდეგი მახასიათებლებით: კრიტიკული აზროვნება, პრობლემათა გადაჭრის უნარი, შემოქმედებითი აზროვნება, მოქალაქეობრივი ცნობიერება, კომუნიკაციის უნარი და ა.შ.

ავტორებს მიზნად აქვთ დასახული სწავლების ზედა საფეხურებზე მოსწავლეები სამხმიანი მღერის ჩვევებს დაეუფლონ, რომ სკოლამ მოსწავლეებს ხალხური სიმღერა ცხოვრების ერთგულ თანამგზავრად გაუხადოს. მესამე კლასიდან სასწავლო პროცესში შემოდის ქართული სასულიერო მუსიკა, თავდაპირველად მცირე კვერექსებით, შემდეგ კი - საგალობლებით წარმოდგენილი. ასეა შერჩეული ოთხწლიანი სწავლებისთვის 60 თემა, შესაბამისად, 60 ქართული სიმღერა.

# "ჭკუისა მჭირს"

### პრემიერა ვაკის სარდაფში

ეკა ჩიკვაიძე

ვაკის თეატრალურ სარდაფში მორიგი სეზონი გაიხსნა. 29 ოქტომბერს სეზონი აქვსენტი ცაგარელის ნაწარმოების მიხედვით დადგმულმა სპექტაკლმა გახსნა. "ჭკუისა მჭირს" - ასე ჰქვია სპექტაკლს, რომლის რეჟისორიც ოთარ ეგაძე გახლავთ. ვაკის სარდაფმა უამრავ მაყურებელს უმასპინძლა, რომელთა შორის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები სჭარბობდნენ.

სპექტაკლი "ჭკუისა მჭირს" პირველად კინომსახიობთა თეატრში 1987 წელს დაიდგა, თუმცა საქართველოში არეულობისა და ომის დაწყების გამო ძალიან ცოტა ხანს იარსება. ამ სპექტაკლის დადგმა მიხეილ თუმანიშვილის დიდი სურვილი გახლდათ, სწორედ ამიტომ განახლებული დადგმა მიხეილ თუმანიშვილის ხსოვნას ეძღვნება.

სპექტაკლზე მუშაობა თვენახევრის განმავლობაში გრძელდებოდა. მუშაობაში მონაწილეობდა შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც ადრინდელ სპექტაკლის შექმნაშიც მონაწილეობდა: მხატვარი - შოთა გლურჯიძე, კომპოზიტორი - ნინო ჯანჯღავა და სხვა. სპექტაკლში მონაწილეობენ გოგა პიპინაშვილი, ტატო ჩახუნაშვილი და ნინო მითაიშვილი - ტასიკოს როლში.

ვოდევილი "ჭკუისა მჭირს", მხიარული, სიცოცხლით სავსე, ხალისითა და იუმორით უხვად გაჯერებული სპექტაკლი გახლავთ.

"ჩვენ გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ შეიძლება სხვანაირი სინთეზისთვის მიგვეჩვია გარემო, რომ შესაძლებელია დღევანდელ პირობებში იმ იუმორის გამოყენება, რომელიც უფრო მაღალი ხარისხის არის, ვიდრე ეს ჩვენ გვგონია და ვიდრე საზოგადოებას ჰგონია", - აღნიშნა სპექტაკლის რეჟისორმა ოთარ ეგაძემ. "ჯერჯერობით ბუნებრივია, რომ მთლად გათამაშებული სპექტაკლი არ არის, მაგრამ იმედი მაქვს, რომ საბოლოოდ მაინც გათამაშდება".

# ფრანცისკო დე გოია

ესპანელი მხატვრის ფრანცისკო დე გოიას მოპარული ნამუშევრის არალეგალურად მიკუთვნების გამო ქალაქ მონტენეგროში აიყვანეს სამი კაცი. პროკურორმა ს. რადოვიკმა განაცხადა, რომ მათი დაპატიმრება დროებით შეუძლებელია სამხილის ნაკლებობის გამო, ხოლო დაპატიმრების შემთხვევაში მათ 5-10 წლამდე მიუსჯიან.

ნამუშევარი წარმოადგენს გრაფ უგოლინის პორტრეტს ორი ბიჭით. დანტე ალიგიერის "ღვთა-

ფი იმდენად დამშეულია, რომ მისი ავადმყოფი შვილის და შვილიშვილის ხორცს შეექცევა.

გოიას ნახატი თავდაპირველად მიჩნეული იქნა უცნობი მხატვრის ნამუშევრად და 1999 წლის გამოფენაზე შეფასდა მხოლოდ 250 დოლარად. მოგვიანებით ნამუშევარი შეისწავლა სპეციალურმა ექსპერტიზამ, რომელმაც გამოააშკარავა მისი გოიასადმი კუთვნილება და შეფასდა 500 ათასად. ნახატი მოიპარეს 2001 წელს ტურინში, იტალიაში ტორინოს გალერეიდან.







**ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".**

## ს ი ა ხ ლ ე !

## ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

**მის. ი. ჭავჭავაძის 78**

**დავით ტატიშვილის აღდგენითი**

**მედიცინის ცენტრი**
ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39

## Cven mivdevT dros!

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი**

## გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

**ულტრათანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის**

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.

■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.

■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.

■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.

■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.

■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.

■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.

■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.

■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.

■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.

■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.

■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.

■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.

■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში

■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.

■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.

■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

**თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### Ferrari-ს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

კომპანია Ferrari-ის ხელმძღვანელობაში მოულოდნელი ცვლილება მოხდა. რამდენიმე დღის წინ კომპანიის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტის შეცვლის საკითხი განიხილეს. შედეგმა არ დააყოვნა და კომპანია Ferrari-ს ლუკუ დე მონტეზემელოს ნაცვლად ჟან ტოდტი უხელმძღვანელებს. შეგახსენებთ, რომ მანამდე კომპანიის ახალი პრეზიდენტი Ferrari-ის "ფორმულის" ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ამ პოსტს ის არც ახალი თანამდებობის მიღების შემდეგ დატოვებს.

იტალიური მარკის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რამდენიმე დღეში ყოფილი და ახალი პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდებიან და კომპანიის მომავალი საქმიანობის დეტალებს ერთობლივად განიხილავენ.

კომპანია Ferrari-ში ერთ ცვლილებას მეორეც მოჰყვა. კომპანიის გენერალური დირექტორის პოსტს რენატო პაჯლიარო დატოვებს. მას ამადეო ფელისა შეცვლის.

### Hyundai-ის მორიგი გარიგება ჩაიშალა

კორეულმა საავტომობილო კომპანია Hyundai-მ უზბეკეთის ხელისუფლებასთან კომპანია Uz-Daewoo-ს შესყიდვასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები შეწყვიტა. კომპანია Hyundai-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გარიგების ჩაშლის მიზეზი მხარეებს შორის ფინანსური საკითხების შეუთანხმებლობა გახდა.

Uz-Daewoo-ს ქარხანა ქვეყნის ხელისუფლებამ კორეული კომპანია Daewoo-სგან გასულ წელს იყიდა. 2006 წლის გაზაფხულზე უზბეკეთის მთავრობამ Hyundai-ისთან აქციების გაყიდვის შესახებ მოლაპარაკებები წამოიწყო. გარიგების შემთხვევაში, აღნიშნული ქარხანა Daewoo-ს ავტომობილების წარმოებას შეწყვეტდა და Hyundai-ის ავტომობილებს გამოუშვებდა.

ექსპერტების აზრით, ფინანსური საკითხების გარდა, გარიგების ჩაშლაზე სხვა ფაქტორებმაც იქონიეს გავლენა, რის გამოც Hyundai-მ უზბეკური ქარხნის ყიდვა გადაიფიქრა.

კომპანია Hyundai ფინანსურ კრიზისშია. 2006 წლის პირველ ნახევარში კომპანიის მოგება 40 პროცენტით შემცირდა. Uz-Daewoo-ს შესყიდვა და შემდგომ მისი რეორგანიზაცია კორეულ კომპანიას საკმაოდ ძვირი დაუჯდებოდა.



### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3366 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9913 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4735 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7390 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8120 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1311 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2968 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3036 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2120 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4140 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3344 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1989 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1481 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2999 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1889 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2518 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,4060 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5541 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1447 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3847 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3234 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2658 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5691 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6287 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0650 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1138 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4587 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5126 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4115 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4490 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8453 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0148 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1361 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4449 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2401 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3918 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0781 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2208 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2237 |




# რუსული კანონმდებლობის ახალი გასართობი

რევაზ საყევარიშვილი

*ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში გაცხადებული დაპირების შესაბამისად, რუსეთში მალე გაჩნდება კანონი სხვა სახელმწიფოთა მიმართ სანქციების გამოყენების შესახებ. ეს კანონი, როგორც მის პრეამბულაში წერია, უფლებას მისცემს რუსეთის პრეზიდენტს, საკუთარი შეხედულებისამებრ შეზღუდოს კავშირები იმ ქვეყანასთან, რომელსაც რუსეთისთვის საფრთხის შემცველად მიიჩნევს. მართალია, თვით რუსი ექსპერტებიც აღიარებენ, რომ კანონში გაწერილი უფლებამოსილებების უმეტესობა რუსეთის პრეზიდენტს დღესაც აქვს, მაგრამ საგანგებო კანონის ამოქმედება მის სამომავლო მოქმედებებს უფრო თანმიმდევრულ და მყარ იურიდიულ საფუძვლებს შეუქმნის.*

**საქართველოს პოზიციები მყარია. მის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს არათუ არავინ უერთდება, პირიქით - ყველა ერთსულოვნად გმობს. ასე რომ, რუსული სანქციების თემა ხელისუფლების გონივრული ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესისთვის საიმპორტო რესურსებზე კონკურენტული გარემოს შექმნის პირობებში ძალიან მალე მნიშვნელოვანწილად განეიტრალდება, საქართველოს სახელმწიფო კი კიდევ უფრო მეტად მოსწყდება რუსული გავლენის ორბიტას.**



B4

# სამომხმარებლო სესხებზე მოთხოვნა იზრდება

ნინო ნატროშვილი

*საქართველოში საბანკო საქტორი საკმაოდ სწრაფად ვითარდება. საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნა, მისი სიძვირის მიუხედავად, მაინც იზრდება. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოსახლეობის მხრიდან სამომხმარებლო სესხებზე მოთხოვნა თითქმის გაორმაგდა. საბანკო საქმის ექსპერტები ამ ტენდენციას იმით ხსნიან, რომ ელექტრონული ტექნიკის და ავეჯის მაღაზიებმა, ბანკებთან ერთად, მოსახლეობისათვის ინვენტარის განვადებით შეძენის მექანიზმი აამოქმედეს. საგულისხმოა, რომ ბოლო დროს იზრდება მოთხოვნილება საოჯახო ტექნიკაზე და თანაც მოსახლეობისთვის უფრო ხელსაყრელია, შეძენილი ნივთების საფასური ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ.*

მოქალაქეები სულ უფრო ხშირად ყიდულობენ საოჯახო ნივთებს საბანკო კრედიტით. ისინი ბანკებს უმეტესად მაშინ აკითხავენ, როცა ტელევიზორის, მაცივრის, სარეცხი მანქანის ან ავეჯის შეძენა სურთ. მოქალაქეებზე გაცემული სამომხმარებლო კრედიტების მოცულობა, საპროცენტო განაკვეთები და სესხის დაფარვის მოთხოვნები საქართველოში დღეისათვის არსებულ კომერციულ ბანკებს თითქმის მსგავსი აქვთ. გასაცემი თანხის ოდენობა 200-დან 3 000 დოლარამდე მერყეობს, წლიური საპროცენტო განაკვეთი 15-24 პროცენტია და ბანკი კლიენტს მას სესხის მოცულობისა და გადახდის გრაფიკის მიხედვით უდგენს. კლიენტების მოზიდვისა და სერვისის გამარტივების მიზნით, კომერციული ბანკები დღეს ხელშეკრულებას უკვე პირდაპირ საოჯახო ტექნიკის მაღაზიებთან აფორმებენ, რომლებიც კლიენტს არჩეულ ნივთს განვადებით აძლევენ. საოჯახო ნივთების განვადებით შეძენა სულ უფრო პოპულარული ხდება საშუალო შემოსავლების მქონე მოქალაქეთა შორის. საოჯახო ტექნიკის დიდ მაღაზიებში ბანკებს უკვე ჰყავთ გაყიდვების მენეჯერი, რომელიც კლიენტს განაცხადს 15-30 წუთში უვსებს.

გაგრძელება B2 გვერდზე

B2

# უჩინარი მისტერ მედია

## თავმდაბალი გენიოსი ბარი დილერი

გოჩა ქიმუცაძე

*მას მეტსახელად "მისტერ მედიას", "მარშალ დილერს" და "უჩინარ ადამიანს" უწოდებენ. თითქოს ეს უკანასკნელი ისეთი დიდი კორპორაციის, როგორიც USA Networks-ია, თავკაცს, მედიატექნოლოგიის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილით განთქმულ ბარი დილერს არ უნდა შეეფერებოდეს. მაგრამ ყველა, ვინც მას პირადად იცნობს, ერთხმად აღნიშნავს დილერის თავმდაბლობას და ეფექტის მოხდენის სურვილის არარსებობას. იგი ყოველთვის მოქცეულია ჩრდილში, სადაც სიტუაციის მართვის სადავეები ხელთ მყარად უპყრია. დილერი გამუდმებით ცივ, გაწონასწორებულ სიმშვიდეს ინარჩუნებს და მხოლოდ მაშინ რეაგირებს, როცა საჭიროდ ჩათვლის.*



B3

# სამომხმარებლო სესხებზე მოთხოვნა იზრდება

პირველი გვერდიდან

ნივთის მყიდველს მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენა სჭირდება, ანუ მას ბანკში სამომხმარებლო კრედიტის ასაღებად მისვლა და შემდეგ მაღაზიიდან ინვოისის წაღება აღარ უწევს და ბანკსა და მაღაზიას შორის მიმოსვლაში რამდენიმე დღეს აღარ კარგავს.

ბანკის მომსახურების საფასური, რა თქმა უნდა, განვადებით გამოტანილი ნივთის საბოლოო ფასში შედის, რაც მის ღირებულებას დაახლოებით 12-22 პროცენტით აძვირებს. ბანკიდან კრედიტის გამოტანას და ამ თანხით საოჯახო ნივთის შეძენას კლიენტს განვადება ურჩევნია, თუმცა ამ შემთხვევაშიც მას შენაძენი საკმაოდ ძვირი უჯდება. თუმცა კომერციული ბანკების პირობებს შორის განსხვავება მაინც არსებობს, რადგან გაცემული თანხის დაკარგვისგან ზოგიერთი ბანკი თავს მეტად იზღვევს, ზოგი კი უფრო მეტად რისკავს და მსესხებელს შედარებით ლიბერალურ მოთხოვნებს უყენებს. ბოლო დროს ბანკებმა, კლიენტების მიზიდვის მიზნით, მოთხოვნები შედარებით ლიბერალური გახადეს და მცირე სესხებს გირაოს გარეშე გასცემენ. რაც შეეხება 600 დოლარიდან ზევით მოცულობის კრედიტის გაცემას, ამ შემთხვევაში ბანკები გირაოში ძვირფასი ნივთების ჩადებას ითხოვენ. 3 000 დოლარის ზევით კრედიტის გამოსატანად კი უკვე უძრავი ქონების, კომერციული ფართის და ბინების დაგირავება აუცილებელი პირობაა. მომენტალური განვადების მომსახურების პროცედურისას ბანკები აქამდე კლიენტისგან ხელფასის ოდენობის შესახებ ცნობის მიტანას ითხოვდნენ, ახლა ეს პროცედურა გაუქმებულია. როგორც "24 საათს" კომერციული ბანკების დილერებმა განუცხადეს, ასეთი ცნობის მოპოვება კრედიტის გამომტანის მსურველისათვის პრობლემას არ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკებმა ასეთი ტიპის სესხის გაცემისას ლიბერალური პოზიცია აირჩიეს, მათ გაცემული კრედიტის დაზღვევის მექანიზმი მაინც აამოქმედეს, კრედიტის დაზღვევის საფასური გაცემული კრედიტის საპროცენტო განაკვეთში შეიტანეს. არსებული მექანიზმების ფონზე, დაუბრუნებელი კრედიტების რაოდენობა, ოფიციალური მონაცემებით, მთლიანად გაცემული კრედიტების 2-3 პროცენტს შეადგენს.

## თიბისი ბანკის ახალი საკრედიტო ხაზი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა თი ბი სი ბანკს 15 მლნ. დოლარის საკრედიტო ხაზი გამოუყო. თანხა საქართველოში იპოთეკური სესხების გაცემას მოხმარდება.

დღეისათვის თი ბი სი ბანკი იპოთეკური სესხების ბაზარზე ყველაზე დიდ წილს ფლობს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილმა თანხამ კი ბანკს საშუალება მისცა, უფრო მეტი სესხი გასცეს. შესაბამისად, ბანკი მოსახლეობას ბინების შეძენაში, აშენებაში და გარემონტებაში დაეხმარება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბანკების მიერ გაცემული კრედიტები 30 პროცენტით გაიზარდა

ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა, 2006 წლის ივლისის მდგომარეობით, წლის დასაწყისთან შედარებით, 30 პროცენტით გაიზარდა. გასული წელთან შედარებით, მატება 84 პროცენტით ფიქსირდება. კრედიტების ზრდა მთელი წლის განმავლობაში სტაბილური გამოკვეთილი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეს განსაკუთრებით შთამბეჭდავია 2004 წლის ზრდის ფონზე, როდესაც წლის პირველ ნახევარში დაკრედიტების შემცირებაც კი აღინიშნა. 2006 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად იმატა კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხების მოცულობამ, ეკონომიკის დაკრედიტებამ. აღსანიშნავია, რომ დაკრედიტების ზრდა მხოლოდ საბანკო აქტივების ზრდის ხარჯზე არ მომხდარა. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბანკის აქტივების სტრუქტურამ. თუ წინა წლებში სესხების წილი მთლიან აქტივებში სტაციონალური იყო, 2005-2006 წლებში ეს წილი საგრძნობლად გაიზარდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საბანკო სისტემა რეგიონებში დეპოზიტებს ზრდის

იმერეთის რეგიონში მოქმედ კომერციულ ბანკებში დეპოზიტების მოცულობა დაახლოებით 51 პროცენტით გაიზარდა და 39,6 მლნ ლარი შეადგინა. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს.

როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, საბანკო საქმიანობის მდგრადი განვითარების მაჩვენებელია რეგიონში მოქმედ კომერციულ ბანკებში მოზიდული სახსრების ზრდა.

ამასთან, საანალიზო პერიოდში 62 პროცენტიდან 61.4 პროცენტამდე შემცირდა დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი, რაც ეროვნული ვალუტისადმი, როგორც დაგროვების საშუალებისადმი, ნდობის ამაღლების სტაბილურ ტენდენციაზე მიუთითებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სწრაფი გზავნილების მოცულობა 126 მლნ ლარია

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2006 წლის სამი კვარტალის განმავლობაში, სწრაფი ფულადი გზავნილების მეშვეობით, რეგიონში სულ 126 მლნ ლარის მოცულობის უცხოური ვალუტა ჩაირიცხა, ხოლო გადარიცხულმა თანხამ 46,6 მლნ ლარი შეადგინა. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს. როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, აღნიშნული მაჩვენებელი საბანკო საქმიანობის მდგრადი განვითარების მაჩვენებელია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საფონდო ბირჟაზე 1,093,722,46 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

დღეს, 31 ოქტომბერს, საფონდო ბირჟაზე გამართულ რიგით 83(668)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი 13 კომპანიის აქციებიდან, რომელთაგან გარიგება დაიდო 4 კომპანიის აქციებზე - ახმეტის ღვინის ქარხანა, რეა-ქართუ, საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია, საქართველოს ბანკი. გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 41, ჯამური მოცულობა - 1.034.941 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ჯამურმა ღირებულებამ 1.093.722.46 ლარი შეადგინა. განაცხადები ყიდვა-გაყიდვაზე იყო, აგრეთვე, შემდეგი ემიტენტების - ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი გაერთიანებული ქართული ბანკის, ამალთეას, თელასის, სატვირთო სახმელეთო ტრანსპორტის, საქართველოს სახალხო ბანკის, სატრანსპორტო მშენებლობის სააქციო საზოგადოება "ტრანსმშენის", საქტრანსპროექტისა და ჩარხმშენებლის ფასიან ქაღალდებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს გაზმომმარაგებელ "გაზექსპორტს" სახელი შეეცვალა

რუსულ კომპანია "გაზექსპორტს" სახელი შეეცვალა და "გაზპრომ ექსპორტი" ეწოდა, - აღნიშნული გადაწყვეტილება "გაზექსპორტის" ერთადერთმა მფლობელმა, კომპანია "გაზპრომმა" მიიღო."გაზპრომის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ღია სააქციო საზოგადოება "გაზპრომ ექსპორტი" იურიდიული პირების ერთიან სახელმწიფო რეესტრში მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს დარეგისტრირდა, ხოლო კომპანიას ახალი სახელი 1 ნოემბრიდან ეწოდება. "გაზპრომექსპორტის" აქციათა 100% "გაზპრომის" საკუთრებაა. კომპანია ახორციელებს რუსული გაზის ექსპორტს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, რომლისთვისაც "გაზექსპორტი" ერთადერთი გაზმომმარაგებელი კომპანიაა. 2006 წლის ბოლომდე გაფორმებული კონტრაქტით, საქართველო "გაზექსპორტს" 1000 კუბ/მეტრ გაზში 110 აშშ დოლარს უხდის. **GBC**

## საქართველოში საიმპორტო ნავთობის ფასები შემცირდა

საქართველოში საიმპორტო ნავთობპროდუქტებზე ფასები შემცირდა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან აცნობეს. კავშირის ცნობით, 2006 წლის 31 ოქტომბერს საერთაშორისო ფასები ერთ ტონა ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც საქართველოში იმპორტი ხორციელდება, შეადგენს: ბენზინი (Premium Gasoline 50 PPM) 517.50 (-12.00); ნაფთა (NAFTA) 482.75 (-8.50); ნავთი (Jet Fuel (max)) 549.25 (- 2.50); დიზელი (Gasoil.0.2%) 522.25 (-13.00); მაზუთი (Maze) 254.00 (-1.50); ნავთობი (Brand) 56.83 (-1.44) ბარელზე; ნავთობი (Urals) 54.78 (-1.71) ბარელზე. კავშირის ინფორმაციით, მსოფლიოში ნავთობზე ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა - 30 ოქტომბერს მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 58.68 (-2.40) აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო Light Sweet Crude ტიპის ნავთობის ფასმა - ბარელზე 58.36 (-2.39) აშშ დოლარი. რუსული REBCO ტიპის ნავთობის ფასმა 54.90 (-2.25) აშშ დოლარი შედგინა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელი კანონში ცვლილებებს ეწინააღმდეგება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელი სოსო ვარსემაშვილი სახელმწიფო სამედიცინო კლინიკების მოთხოვნას, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონში იმ ცვლილებებს ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვით, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კლინიკებთან მიმართებაში ლოტში ერთზე მეტი გამარჯვებული გამოვლენას გაუმართლებლად მიიჩნევს.

როგორც სოსო ვარსემაშვილმა განმარტა, ასეთი მოთხოვნა სამინისტროსაგან უგულებელყოფილი იქნება და არც კანონის კორექტირება მოხდება. "კანონი ყველაზე ერთიანად უნდა ვრცელდებოდეს და ამ ეტაპზე "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონში ცვლილების შეტანას არ ვგეგმავთ".

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სამედიცინო კლინიკების უმეტესობა შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინაშე ინიციატივით წარსდგება.

სამედიცინო დაწესებულებების უმეტესობა დღეს პაციენტებს ერთსა და იმავე ტიპის მომსახურებას სთავაზობს. ჯანდაცვის ობიექტების ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ ისინი კერძო ტიპის ობიექტებთან არაკონკურენტუნარიან მდგომარეობაში არიან. ეს კი შემოსავლებზე უარყოფითად აისახება.

2006 წლიდან, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მიხედვით, 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოები ნებისმიერი ტიპის შესყიდვებს ახორციელებენ. არსებული ფორმულირებით კანონის ამოქმედებამ სოციალური ინფრასტრუქტურის რიგ საწარმოთა მუშაობა შეაფერხა. კონკრეტულად კი, ტენდერი, რომელიც იდეაში თავისთავად თანხის ეკონომიურ ხარჯვასა და გამჭვირვალობას გულისხმობს, სამედიცინო დაწესებულების შემთხვევაში, ფუნქციონირების შემაფერხებელ გარემოებად იქცა.

კლინიკების ხელმძღვანელები მზად არიან, მონაწილეობა მიიიღონ იმ სამუშაო შეხვედრებში, რომლებშიც განიხილება მოსალოდნელი ცვლილებები კანონში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ".

ცვლილებამ კლინიკების კონკურენტუნარიან და სრულფასოვან ფუნქციონირებას უნდა შეუწყოს ხელი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# "პრივატიზაციის შესახებ" კანონში ძალიან ბევრი ხარვეზია

პრივატიზაციის პროცესში საზოგადოება თითქმის არ მონაწილეობს. ამის შესახებ იურისტმა რუსუდან მჭედლიშვილმა დღეს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივისა" და ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ორგანიზებით, დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტმა რუსუდან მჭედლიშვილმა განაცხადა, "პრივატიზაციის შესახებ" კანონში ძალიან ბევრი ხარვეზია, რის გამოც საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმირებულობის დონე ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესში დაბალია. "პრივატიზაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მესაკუთრისთვის სახელმწიფო ობიექტის პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემას გულისხმობს, გაუმართლებელია, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი პირი - პრეზიდენტი იღებს. ეს საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს არ შეესაბამება," - განაცხადა რუსუდან მჭედლიშვილმა.

მისივე თქმით, ობიექტის განსახელმწიფოებრიობის საკითხს მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული რგოლი, კერძოდ, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ან პრეზიდენტი არ უნდა წყვეტდეს. მჭედლიშვილი თვლის, რომ საუკეთესო იქნებოდა სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, მათ შორის, იორდანიის, სადაც ამ მიზნით სპეციალური საპრივატიზაციო საბჭოა შექმნილი. საბჭოში ფინანსთა, დაგეგმვის და იუსტიციის მინისტრები, ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი და კომისიის თავმჯდომარე შედიან. იურისტის განცხადებით, პრივატიზაციის კანონში არ არის ასახული გარემოს დაცვის საკითხებიც. "აღნიშნული პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია და ხშირად მოუწესრიგებელია. ამის მაგალითია "ჭიათურმანგანუმი", რომლის პრივატიზაციასაც მთავრობა გეგმავს. ადგილობრივი მოსახლეობა ჩივის, რომ წიაღისეულის ნარეცხი წყალი პირდაპირ მდინარეებში ჩაედინება, თუმცა, პრივატიზაციის პირობებში ეს საკითხი საერთოდ არ ფიგურირებს," - განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

მჭედლიშვილის თქმით, პრივატიზაციის შესახებ კანონში გარემოს დაცვის საკითხების არარსებობა ორჰუსის კონვენციას არღვევს, რომელსაც საქართველო რამდენიმე წლის წინ მიუერთდა. შეხვედრაზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მაღალჩინოსნებიც იყვნენ მიწვეული, თუმცა სხდომას არც ერთი მათგანი არ დასწრებია. **ინტერპრესნიუსი**

## სურსათის მწარმოებელი საწარმოების რეგისტრაცია დაიწყო

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, სურსათის მწარმოებელი საწარმოების რეგისტრაცია დაიწყო. "სურსათის მწარმოებელი საწარმოების რეგისტრაციის" შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მაღალი რისკის საწარმოები 2007 წლის 1 იანვრამდე უნდა დარეგისტრირდნენ, ხოლო დაბალი რისკის საწარმოების ვადა შეზღუდული არ არის. როგორც ეროვნულ სამსახურში აცხადებენ, რეგისტრაციის პრინციპი გამარტივდა: მეწარმეებმა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის საქალაქო და რაიონულ სამსახურებში უნდა წარმოადგინონ დეკლარაცია, რომლის საფუძველზეც მოხდება ამა თუ იმ საწარმოს დარეგისტრირება. მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა სურსათის მწარმოებელი საწარმოს სარეგისტრაციო ბარათი. იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე სავალდებულო რეგისტრაციას არ გაივლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, მის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სასჯელი ამოქმედება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სავაჭრო ქსელი "პოპული" საქართველოს და ლონდონის საფონდო ბირჟებზე აქციებს განათავსებს

კომპანია "პოპული" 2007 წლისთვის საქართველოს საფონდო ბაზარზე აქციებს განათავსებს. როგორც სააგენტო GBC-ს სავაჭრო ქსელი "პოპულის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ლიკა მიქაუტაძემ განუცხადა, აქციების რაოდენობა ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. "საქართველოს საფონდო ბირჟაზე აქციების განთავსების შემდეგ 2009 წლიდან კომპანია "პოპული" აქციების განთავსებას ლონდონის ბირჟაზეც გეგმავს," - განაცხადა მიქაუტაძემ. სავაჭრო ქსელი "პოპული" პირველი სასურსათო და საყოფაცხოვრებო მაღაზიათა ქსელია თბილისში. სუპერმარკეტები ყოველდღიურად 60 000-მდე ოჯახს ემსახურება. სავაჭრო ქსელი "პოპულის" აქციების მფლობელები არიან - "საქართველოს ბანკი" და ამერიკული საინვესტიციო კომპანია "ფაიარბერდ აურორა ფონდი". **GBC**


გალტ & თაგგარტ სიქიურითის GALT & TAGGART SECURITIES

30 ოქტომბერი 2006

საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 941,742 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 51,933,926 |

GTBC ინდექსი (GEL) და სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




გაცვლითი კურსი GEL/US$




სადეპოზიტო სერტიფიკატების საშ.შეწონილი % და ემისიის მოცულობა (GEL'000)




სადეპოზიტო სერთიფიკატების დაფარვის კალენდარი

| ემისიის დღე | დაფარვის დღე | ვადიანობა | საშ.% | მოცულობა (GEL'000) |
|---|---|---|---|---|
| 19-სექ-06 | 19-დეკ-06 | 91 დღე | 11.74% | 412 |
| 21-სექ-06 | 21-დეკ-06 | 91 დღე | 11.99% | 400 |
| 26-სექ-06 | 26-დეკ-06 | 91 დღე | 12.00% | 525 |
| 28-სექ-06 | 28-დეკ-06 | 91 დღე | 11.73% | 1,000 |
| 9-ოქტ-06 | 6-ნოე-06 | 28 დღე | 12.00% | 1,000 |
| 20-ოქტ-06 | 17-ნოე-06 | 28 დღე | 11.99% | 1,000 |
| 23-ოქტ-07 | 20-ნოე-07 | 28 დღე | 11.99% | 1,000 |
| 27-ოქტ-08 | 28-ნოე-08 | 28 დღე | 11.99% | 1,000 |
| სულ | | | | 6,337 |

| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 12,132 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 403,375 |

| 27-ოქტომბერი-2006 | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.739 | 0.34% | 2.98% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 609.6 | 1.24% | 72.72% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 536.8 | 0.89% | 67.56% |

საფონდო და ობლიგაციების ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 0.89%-ით გაიზარდა 536.8-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 941.7 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები საქართველოს ბანკის ობლიგაციასა და თერთმეტ აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო ორი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 0.79%-ით) და გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ფლობა, ფასი გაიზარდა 4.45%-ით). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპის აქციები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 93.86% მოდიოდა.

სახელმწიფო ბიუჯეტი

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა სახელმწიფო ბიუჯეტი 2007 წლისთვის.** საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა პარლამენტში წარადგინა დოკუმენტი, რომელშიც განხილული იყო 2007-2010 წლებისთვის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პრიორიტეტულობის მიხედვით.

დოკუმენტის მიხედვით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სტაბილური ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობის დაძლევა, გამჭვირვალე და ეფექტური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურის განვითარება და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატო) მოთხოვნების დაკმაყოფილება მთავრობისთვის წარმოადგენენ მომავალი წლის პრიორიტეტულ საკითხებს.

მომავალ წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა 7.5%-ით, ანუ 16 მილიარდ ლარამდე (9.1 მილიარდი აშშ დოლარი) არის ნავარაუდევი. 2007 წლის ბიუჯეტის მოსალოდნელი შემოსავლები და გრანტები 3,444.3 მლნ ლარს (1,968.2 მლნ აშშ დოლარს) შეადგენს. ნავარაუდევია საგადასახადო შემოსავლების 14.1%-იანი ზრდა 2,884 მლნ ლარამდე. პროგნოზით საინვესტიციო შემოსავლებმა 100 მლნ ლარი უნდა შეადგინონ. ბიუჯეტის მოსალოდნელი ხარჯების ოდენობა 3,870.5 მლნ ლარით (2,211.7 მლნ აშშ დოლარი) განისაზღვრა, რაც 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 42.6 მლნ ლარით მეტია. 426.3 მლნ ლარის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსდება როგორც ქვეყნის შიდა (299.4 მლნ ლარი), ასევე საგარეო რესურსებით (126.8 მლნ ლარი) არის ნავარაუდევი.

**საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, ფასებმა სამრეწველო პროდუქციაზე 2005 წლის დეკემბერთან შედარებით 12.2%-ით მოიმატა.** წელს ფასები მინერალურ რესურსებზე 63.2%-ით გაიზარდა. გადამამუშავებელ ინდუსტრიაში ფასების ზრდამ 8.4% შეადგინა, ხოლო ელექტროენერგიისა და გაზის წარმოება-დისტრიბუციაში 6.2%. აღსანიშნავია ისიც, რომ 2006 წლის სექტემბერში სამრეწველო პროდუქციის ფასების ინდექსმა გასულ თვესთან შედარებით 99.6% შეადგინა. ივლისთან შედარებით ფასები მინერალურ რესურსებზე 11.9%-ით, ხოლო ელექტროენერგიისა და გაზის წარმოება-დისტრიბუციაზე 0.1%-ით შემცირდა.

ფულადი ბაზარი

**გასულ კვირას საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) ორი მილიონი ლარის ნომინალური ღირებულების 28-დღიანი სადეპოზიტო სერთიფიკატები გაყიდა.** ფასიანი ქაღალდები ორმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა. აუქციონზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 11.99% დაფიქსირდა.

სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.34%-ით გაიზარდა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 12.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 0.7 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჯამში 9.3 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა.

გალტ & თაგგარტ სიქიურითის GALT & TAGGART SECURITIES

30 ოქტომბერი 2006

საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

სესია No. 82, 26 ოქტომბერი, 2006 — სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEBON | 1 | 101.62 | 101.62 | 101.62 | 1.1 | 75 | 7,622 | | - |
| GEB | 21 | 19.57 | 19.72 | 19.71 | 136.2 | 16,236 | 319,970 | 332,585,658 | - |
| UTC | 42 | 0.65 | 0.74 | 0.73 | 101.9 | 333,800 | 242,769 | 75,053,069 | ფლობა |
| PTTS | 1 | 1.74 | 1.74 | 1.74 | -2.2 | 1,877 | 3,266 | 1,019,205 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 2 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 0.0 | 181 | 659 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| AMB | 1 | 1.00 | 1.00 | 1.00 | na | 2,202 | 2,202 | 584,511 | რეკ. გარეშე |
| AVSH | 2 | 1.82 | 1.82 | 1.82 | na | 266 | 484 | 783,226 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 540,380 | | |

სესია No. 81, 24 ოქტომბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 22 | 19.50 | 19.58 | 19.57 | 134.5 | 14,517 | 284,095 | 330,273,575 | - |
| UTC | 53 | 0.65 | 0.65 | 0.65 | 80.6 | 57,156 | 37,159 | 67,103,845 | ფლობა |
| AMB | 1 | 1.00 | 1.00 | 1.00 | na | 4,655 | 4,655 | 584,511 | რეკ. გარეშე |
| AROK | 1 | 0.25 | 0.25 | 0.25 | na | 122,218 | 30,555 | 266,245 | რეკ. გარეშე |
| AVSH | 1 | 1.74 | 1.74 | 1.74 | na | 201 | 350 | 748,799 | რეკ. გარეშე |
| ENIS | 1 | 6.43 | 6.43 | 6.43 | 9.9 | 149 | 958 | 11,661,879 | რეკ. გარეშე |
| IMER | 1 | 0.30 | 0.30 | 0.30 | na | 1,110 | 333 | 197811 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 3 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 0.0 | 440 | 1,602 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| SLAD | 1 | 0.85 | 0.85 | 0.85 | 750.0 | 5,794 | 4,925 | 1,116,730 | რეკ. გარეშე |
| TRM | 1 | 1.00 | 1.00 | 1.00 | 400.0 | 138 | 138 | 23,316 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 364,770 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

23 ოქტომბერი, 2006 – 27 ოქტომბერი, 2006

| ოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდა ცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 1.12 | 1.11 | 1.24 | 1.22 | 8.9 | 2,475,900 | 273.4 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.70 | 2.50 | 2.75 | 2.60 | -3.7 | 3,546,971 | 395.1 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.49 | 1.49 | 1.60 | 1.60 | 7.4 | 2,159,400 | 150.5 | ყიდვა |
| Frontera | GBP | 45.00 | 42.92 | 58.00 | 54.00 | 20.0 | 1,696,734 | 4,063.1 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდა ცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზა-ცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ.იც. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 19.71 | 0.79 | 136.15 | 26-ოქტ-06 | 604,065 | 332,585,658 | 17.4 | 67.7 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.1 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ფლობა | 0.73 | 4.45 | 101.94 | 26-ოქტ-06 | 279,928 | 75,053,069 | 9.4 | 8.2 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | გაყიდვა | 2.00 | 0.00 | 72.41 | 17-ოქტ-06 | 0 | 42,000,000 | 10.0 | 4.9 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | გაყიდვა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 28-სექ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 10.9 |
| ყაზბეგი | KAZB | გაყიდვა | 5.00 | 0.00 | 100.00 | 21-სექ-06 | 0 | 14,000,000 | 42.7 | 7.0 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | გაყიდვა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 28-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.0 |
| რუსთავცემენტი | RUCE | გაყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 883,993 | 638,438,555 | | 100.0 |

ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შედეგები

23 ოქტომბერი, 2006 – 27 ოქტომბერი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | გადაფარვის თარიღი | საპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | ფასი გაყ | ფასი საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებ-თან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 102 | 102 | 102 | - | 11.00 | 8 | 625 | 0.72 | B-/ B3/ B+ |
| პროკრედიტ ბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.2 | - | 15.10 | -1 | 996 | 0.01 | B / - / - |

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა ყიდვა: 10%-20% ზრდა ფლობა: 10% კლება ან 10% ზრდა, გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0179, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 23,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
გოგა მელიქიძე
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

## საფონდო ანალიზი: ევროპის ბაზარი
30 ოქტომბერს

არასახარბიელო კორპორატიული ინფორმაციების გამო, 30 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ევროპაში წამყვანი ინდექსების შემცირებით დასრულდა.

**შემცირება:**

**სათბობ -ენერგეტიკული სექტორი:**
სანავთობო ფიუჩერსზე Light Sweet ფასის 59 დოლარ./ბარელ. ნიშნულზე დაბლა დაცემამ, სანავთობო კომპანიების კოტირებებზე უარყოფითად იმოქმედა. ბრიტანული კომპანიის BP აქციები გაიაფდა (-1,7%). ნორვეგიული Statoil -ის ფასიანი ქაღალდების კურსი დაეცა (-2,2%).

**სამთომომპოვებელი სექტორი:**
თაფლის, ალუმინის და თუნუქის მსოფლიო ფასების შემცირების გამო, გაიაფდა სამთომომპოვებელი კომპანიების ფასიანი ქაღალდები. კომპანიის Xstrata კოტირება შემცირდა (-1,9%), კომპანიების Rio Tinto-ს და Anglo American -ის აქციების კურსი შესაბამისად 1,4% -ით და 1,3%-ით დაეცა.

**საბანკო სექტორი:**
არასახარბიელო კორპორატიულმა ანგარიშებმა ამ სექტორის კომპანიათა კოტირებების შემცირება გამოიწვია. ჰოლანდიური ბანკის ABN Amro აქციები 0,2%-ით გაიაფდა. შვეიცარიული ბანკის UBS კოტირება 0,8%-ით შემცირდა.

**ტექნოლოგიური სექტორი:**
ელექტროტექნიკული მოწყობილობების მწარმოებელი ფრანგული კომპანიის Schneider Electric S.A. აქციების ფასი 7,2% -ით დაეცა. რისი მიზეზიც , ამ კომპანიის მიერ გაკეთებული განცხადება გახდა, იმის შესახებ, რომ იგი ამერიკულ კომპანიას American Power Conversion (APC) Corp. 6,1 მლრდ დოლარად, ნაღდი ფულით შეისყიდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომპანია Schneider Electric-ი კომპანია APC-ის თითო აქციაში 31 დოლარს გადაიხდის, რაც 30% -ით მეტია 2006 წლის 27 ოქტომბერს ბირჟაზე დაფიქსირებულ ფასზე. ფასთა ასეთი სხვაობის გამო ინვესტორებმა Schneider Electric-ის კოტირებები შეამცირეს.

**სადაზღვევო სექტორი:**
გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ფრანგული სადაზღვევო გიგანტი Axa SA ბრიტანული კომპანიის Standard Life Plc. შესასყიდად 7 მლრდ ფუნტ სტერლინგს(13,3 მლრდ დოლარი) გადაიხდის. აღსანიშნავია, რომ კომპანიის Standard Life -ის რეალური საბაზრო ღირებულება რამდენადმე მცირეა და 6 მლრდ ფუნტს შეადგენს. ამიტომაც გუშინდელ სავაჭრო სესიაზე კომპანიის Axa აქციების ფასი შემცირდა 1,1%-ით, Standard Life-ის კოტირება კი პირიქით, -გაიზარდა 1,6%-ით.

**გაზრდა:**

**საბანკო სექტორი:**
იტალიური საბანკო ჯგუფის Capitalia კოტირება გუშინ გაუმჯობესდა. გავრცელებული, არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ესპანური ბანკი Santander Central Hispano SA აღნიშნული იტალიური ჯგუფის წილს შეისყიდის; ამ ფონზე Capitalia-ს აქციების ფასი 4%-ით აიწია.

**30 ოქტომბრის შედეგი:**
ბრიტანული ინდექსი FTSE 100 დაეცა 34,10 პუნქტით(-0,55%) 6126,80 ნიშნულამდე;
გერმანული Dax შემცირდა 4,35 პუნქტით (-0,07%) 6258,19 პუნქტამდე;
ფრანგული CAC 40 დაეცა 33,80 პუნქტით (-0,63%) 5362,23 პუნქტამდე ;
ამსტერდამული AEX-Index შემცირდა 2,04 პუნქტით (-0,42%) 487,95 -მდე;
შვეიცარიული SMI დაეცა 43,02 პუნქტით (-0,49%) 8652,36 -მდე;
საერთოევროპული ინდექსი FTSEurofirst 300 დაეცა 0,3% -ით 1444,99 ნიშნულამდე.

## ტოკიოს საფონდო ბირჟაზე

31 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები იაპონიაში მთავარი ინდექსის Nikkei გაზრდით დასრულდა.

**ტექნოლოგიური სექტორი:**
კეთილსაიმედო კორპორატიული ანგარიშის გამოქვეყნების შედეგად, სამრეწველო რობოტ-ტექნიკის უმსხვილესი მწარმოებლის Fanuc აქციები 6,2%-ით გაძვირდა. კომპანიის Tokyo Electron.-ის ფასიანი ქაღალდების ღირებულება 1,4 %-ით გაიზარდა. კომპანიის Toshiba Ceramics Co. კოტირება 7,8%- ით აიწია.

**საავტომობილო ინდუსტრია:**
იაპონიაში სიდიდით მეხუთე ავტომწარმოებელი კომპანიის Mitsubishi Motors Corp.-ის აქციები 1,9%-ით გაძვირდა, რაზეც პოზიტიური გავლენა ამ კომპანიის მიერ გამოქვეყნებულმა კორპორატიულმა ანგარიშმა მოახდინა.

**31 ოქტომბრის ვაჭრობის შედეგი:**
ინდექსი Nikkei გაიზარდა 47,54 პუნქტით (+0,3%) 16399,39 პუნქტამდე.
ამერიკული დოლარის კურსი იენთან 0,05 იენით შემცირდა და დაფიქსირდა 117,36 იენ./დოლარ. დონეზე.

## ოპეკის სანავთობო "კალათის" ფასი შემცირდა

30 ოქტომბერს ოპეკის სანავთობო "კალათის" ფასი 54,87 (- 0,66) დოლარ./ბარელ. დონეზე დადგინდა. ამასთან, "კალათის" მიმდინარე ფასი წინა კვირის საშუალო მაჩვენებელზე (54 დოლრ./ბარელ.) მაღალია.

2005 წლის ივნისიდან ამ ტერმინით(ოპეკის სანავთობო "კალათი") განისაზღვრება შემდეგი 11 სორტის ნავთობის ფიზიკური ფასების საშუალო არითმეტიკული:

Saharan Blend (ალჟირი), Minas (ინდონეზია), Iran Heavy (ირანი), Basra Light (ერაყი), Kuwait Export (კუვეიტი), Es Sider (ლიბანი), Bonny Light (ნიგერია), Qatar Marine (კატარი), Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (ა.გ.ემირატები) ♡ BCF 17 (ვენესუელა).

2006 წლის მარტიდან ოპეკის ქვეყნების მიერ სანავთობო "კალათის " ქვედა ზღვარი 50 და 60 დოლარ./ბარ. დონეზე დაადგინეს.

ოპეკის ქვეყნების სანავთობო "კალათის "ისტორიული მაქსიმუმი - 72,67 დოლარ./ბარელ. 2006 წლის 8 აგვისტოს დაფიქსირდა.

## ნავთობი მნიშვნელოვნად გაიაფდა

31 ოქტომბერს ნავთობის მსოფლიო ფასები მთავარ სანავთობო ბირჟებზე შემცირდა.

სანავთობო ფიუჩერსების ოფიციალურმა ფასებმა შეადგინა:

- ლონდონში InterContinental Exchange Futures-ზე ფიუჩერსის IPE e-Brent Crude Futures Electronic -ის ფასი 58,68 (-2,40) დოლარ./ბარელ.;

- ნიუ იორკში New York Mercantile Exchange -ზე ფიუჩერსის Light, Sweet Crude Oil ფასი - 58,36 (-2,39) დოლარ./ბარელ.

# უჩინარი მისტერ მედია



პირველი გვერდიდან

თუმცა, 1,3 მილიარდის ოდენობის კაპიტალის მფლობელი, 64 წლის ბარი ისეთი ცივსისხლიანი ბიზნეს-მანქანა სულაც არ არის, როგორადაც უმრავლესობას წარმოუდგენია. როგორც მასთან ძალიან დაახლოებული პირები აღნიშნავენ, საკმაოდ ტემპერამენტულიც არის. უბრალოდ, ამგვარი იმიჯი აქვს შექმნილი და როლს მშვენივრად თამაშობს. ამიტომაც იყო, რომ ბარი დილერის ბიოგრაფიით ფართო მასები მხოლოდ მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც igi USA Networks-ის, Universal TV-ის და Sci-Fi Channel-ის მეპატრონე გახდა.

## კურიერობიდან მერდოკამდე

ბარი დილერი დაიბადა 1942 წელს სან ფრანცისკოში და იზრდებოდა ლოს ანჯელესის განთქმულ უბან ბევერლი ჰილსში. ასე რომ, კინობიზნესში გზის გაკვლევა თითქოს წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული. მან თავდაპირველად მუშაობა შოუ-პროგრამებისათვის ახალგაზრდა ტალანტების მომძიებელ სააგენტო Wolloam Morris-ში კურიერად დაიწყო, 24 წლის კი ABC-ის ტელექსელის ერთ-ერთი განყოფილების მთავარი მენეჯერის ასისტენტი გახდა.

ამის შემდეგ დილერი ნიუ იორკში გადავიდა და სამი წლის განმავლობაში ABC Entertainment-ის ადგილობრივ სტუდია Prime Time Television-ს ხელმძღვანელობდა. ამ ხნის განმავლობაში მან თავისი პირველი სერიოზული იდეა განახორციელა - მისი ინიციატივით შეიქმნა გრძელი სერიალები: "ფესვები", "მდიდარი", "საბრალონი", რომლებმაც უზარმაზარი აუდიტორიის ყურადღება მიიპყრო.

1974 წელს დილერი Paramount Pictures-ში დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ მიიწვიეს. სწორედ ამ თანამდებობაზე მუშაობისას გამოვლინდა მისი, როგორც დიდი ბიზნესმენის, ტალანტი: ბარის ხელმძღვანელობით სულ მალე კორპორაციის შემოსავალი გაოთხმაგდა, ხოლო 80-იანი წლების დასაწყისში, Paramount-ის ხელმძღვანელობის გარდა, დილერი ახლადშექმნილი სატელეკომუნიკაციო კონგლომერატის Entertiment and Communications Group-ის, რომელშიც კორპორაციები Simon & Schuster-ი, Madison Square Garden Corp-ი და SEGA Enterprises-ი შედიოდა, პრეზიდენტი გახდა.

ასე რომ, გასაკვირი სულაც არ იყო, რომ ეგზომ წარმატებული მენეჯერით მსოფლიო მედიაინდუსტრიის ერთ-ერთი მეტრი რუპერტ მერდოკი დაინტერესდა. 1984 წელს მერდოკმა დილერს მისი კუთვნილი სტუდია 20th Century Fox-ის ხელმძღვანელობა შესთავაზა. მათი ურთიერთობა მშვენივრად წარიმართა, სტუდიის კინოფილმებმა კინოდარბაზები დაიპყრო და "ოსკარებმაც" არ დააყოვნა. გარდა ამისა, დილერის ბრწყინვალე ინტუიციის წყალობით რვა წლის განმავლობაში Fox Incorporated-ი სერიოზულად გაფართოვდა და სეპურშემოსავლიან კორპორაცია Fox Television Stations-ად იქცა. სწორედ დილერის, რომელმაც სხვებზე ადრე სათანადოდ დააფასა მაღალი ტექნოლოგიები, მცდელობით გაიხსნა თანამგზავრული ტელესისტემა Fox Broadcasting Co და საინფორმაციო კომპანია Fox Network-ი.

მაგრამ დროთა განმავლობაში ორმა დათვმა ერთ ბუნაგში თავი ვიწროდ იგრძნო და როცა ბარიმ ტუპერტს Fox Inc-ში დიდი ფინანსური წილით მონაწილეობა და საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას თავისუფლება მოსთხოვა, სკანდალი მომწიფდა. ინკოგნიტო დამსწრეები ირწმუნებიან, რომ განრისხებული მერდოკი ლამის თმას იგლეჯდა და ღრიალებდა: "აქედან გაეთრიე, ჩემს კომპანიაში მხოლოდ ერთი უფროსი უნდა იყოს".

## იმპერიის მშენებლობა

დილერმა Fox-ი 1992 წელს დატოვა. ამ დროისათვის მისი პირადი კაპიტალი 150 მილიონ დოლარს შეადგენდა. მალე იგი საკაბელო იმპერია Comcast-ის უმსხვილეს აქციონერებს, მამა-შვილ რობერტსებს შეხვდა, რომლებსაც ეგზომ განთქმული ბიზნესმენის მიწვევით საინფორმაციოსავაჭრო არხ QVC Inc-ის განვითარება სურდათ. დილერმა მათი წინადადება მიიღო, QVC-ი ძალიან სწრაფად ეკონომიკურად ეფექტურად აქცია და რობერტსებს მისი მთლიანად შესყიდვისაკენ მოუწოდა. ბარის აზრით, ამგვარად Paramount-ის ხელში ჩასაგდებად კარგი ტრამპლინი შეიქმნებოდა. მაგრამ რობერტსების მანიაკალურმა სიფრთხილემ და საკუთარი სახსრების სიმწირემ ამის საშუალება არ მისცა. ამის შემდეგ, იმავე მიზეზით დილერმა ვერ მოახერხა კორპორაცია CBS-ის დასაკუთრება.

ბოლოს და ბოლოს, 1995 წელს "უჩინარმა კაცმა" იმ დროისათვის ნაკლებად ცნობილი სატელეტრანსლაციო კომპანია Silver King Communikations-ი შეიძინა. ცოტა ხანში მან ხელში ჩაიგდო Home Shopping Network Inc-იც. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი დილერის საკუთარ "საკომუნიკაციო სახელმწიფოს". ამის შემდეგ ბარი USA Networks-ის, ქსელის, რომლის ტრანსლაციებსაც ამერიკელთა 70 პროცენტამდე უცქერს, თავკაცი გახდა.

90-იანი წლების ბოლოს დილერის ყურადღების ცენტრში პერსპექტიული ინტერნეტ-ბიზნესი მოექცა. 1999 წელს USA Networks-ს კომპანია-მეგაპორტალი Lycos-ი შეუერთდა და შეიქმნა ახალი კორპორაცია USA-Lycos Interactive Networks-ი. ამგვარად, სამნახევარ წელში პატარა, 250 მილიონ დოლარად ღირებული კომპანია დილერმა უმსხვილეს, 33,7 მილიარდი დოლარის საბაზრო კაპიტალიზაციის მქონე კონგლომერატად აქცია.

სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა ტერმინი "დილერის იმპერია" და იგი ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა. ყველას აინტერესებდა, რა სიახლით გააოცებდა ყოფილი კურიერი, რომელმაც ლამის მთელი ჰოლივუდის გადატრიალება მოასწრო, ბრძენი ბიზნესმენი, რომელიც 50 წლის ასაკში მოულოდნელად კალამს წაეტანა და 1992 წელს ბესტსელერი "PowerBook" დაწერა, რომელსაც "ინტერაქტიული სახარება" უწოდეს; რა გეგმები უნდა ჰქონდეს საქმიან ადამიანს, რომელმაც გაფურჩქვნის პერიოდში MCA/Universal-ის თავკაცობასა და დისნეის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტობაზე უარი თქვა, რა აზრები უტრიალებს ჭკვიან თავში ამერიკული ბოჰემის არატიპიურ, მაგრამ სრულფასოვან წარმომადგენელს, რომელთან მეგობრობითაც განთქმული პიროვნებები ამაყობენ.

ამ დროისათვის, თავისი იმპერიის გაფართოებისათვის დილერი, სატელეკომუნიკაციო სფეროს განვითარების გარდა, გასართობი და ტურისტული ინდუსტრიის მშენებლობაზე ზრუნავს. ამასწინათ მან კომპანია Expedia Online Travel Service-ის აქციების 75 პროცენტი შეიძინა. მისი მისწრაფება იოლი გასაგებია, ტურიზმი ხომ თანდათანობით ინტერნეტ-ბიზნესის განუყოფელი ნაწილი ხდება. არ უნდა დავივიწყოთ USA Networks-ის მიერ კონტროლირებადი სავაჭრო ქსელი Home Shopping-ი და შოუ-ბიზნესი, რომელიც კვლავინდებურად დილერის ინტერესის სფეროში რჩება.

ეგზომ შთამბეჭდავი მდგომარეობის გამო ბარი დილერი მთლად "უჩინრად" დარჩენას ველარ ახერხებს, თუმცა საზოგადოებაში ხშირად გამოჩენას ყველანაირად ერიდება და ერთობ თავდაჭერილად იქცევა. თავისთავად ცხადია, დილერმა მშვენივრად იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისი აზრი საქმიან წრეებში და ამიტომ, როცა საჭიროდ ჩათვლის, ინიციატივას საკუთარ ხელში იღებს და, როგორც ყოველთვის, სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებს.

# "რენესანს-კაპიტალი" საქართველოს სხვადასხვა სექტორში ინვესტიციების დაბანდებით არის დაინტერესებული

რუსული კაპიტალით დაფუძნებული საერთაშორისო ფინანსური ჰოლდინგი "რენესანს კაპიტალი" საქართველოს 2 ნოემბერს ეწვევა.

როგორც სააგენტო GBC-ს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოდან აცნობეს, საერთაშორისო ფინანსური ჰოლდინგი "რენესანს კაპიტალის" წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან საქართველოს საინვესტიციო გარემოთი და სურთ ინვესტირება საბანკო, უძრავი ქონებისა და კომუნიკაციების სფეროში. ვიზიტის ფარგლებში, აგრეთვე, გაიმართება შეხვედრები კერძო სექტორის ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან.

"საქართველოს ბანკი", "თიბისი ბანკი", "ყაზბეგი", "საქართველოს ტელეკომი", "საქცემენტი", "ბაზელ ლლს" და "რენესანს კაპიტალი" ისაუბრებენ საქართველოს საინვესტიციო გარემოს ირგვლივ და განიხილავენ კონკრეტულ საინვესტიციო წინადადებებს. საერთაშორისო ფინანსური ჰოლდინგ - "რენესანს კაპიტალს" საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო უმასპინძლებს. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო წარადგენს შესაძლო პროექტების მონაცემთა ბაზას, მონაწილეებს გააცნობს საქართველოს კანონმდებლობას და ინფორმაციულად უზრუნველყოფს პარტნიორ კომპანიებს. Renaissance Investment Management -ი 2003 წელს შეიქმნა. 2006 წლის მაისის მდგომარეობით RIM-ი მართავს 2,4 მილიარდ დოლარს 27 საინვესტიციო სტრატეგიასა და ფონდში, არის არასახელმწიფო საპენსიო ფონდების აქტივების მართვის ბაზრის ლიდერი, აქტიურად ავითარებს wealth management-ის პლატფორმას, ქმნის ახალ პროდუქტებს რუსული ბაზრისთვის, როგორიცაა, მაგალითად, Pre-IPO ფონდი.

კლიენტების ანგარიშების რაოდენობა 500-ს აღემატება, თანამშრომელთა რაოდენობა - 50 კაცია. მათ შორის, თხუთმეტი თანამშრომელი აქტივებს მართავს, თერთმეტი კი პროფესიონალი ფინანსური მენეჯერია. **GBC**

## ფინანსური სამყარო

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე და ა.შ.შ.-ის საფონდო ბაზარზე 30 ოქტომბრის სავაჭრო სესიის შედეგები 30 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ა.შ.შ.-ში მთავარი ინდექსების არაერთგვაროვანი ცვლილებით დასრულდა.

ინდექსი Dow შემცირდა 3,76 პუნქტით (-0,03%) 12086,50-მდე. ფართო ბაზრის ინდექსი Standard & Poor's 500 გაიზარდა 0,59 პუნქტით (+0,04%) 1377,93-მდე . ინდექსი Nasdaq Composite, რომელშიც მაღალტექნოლოგიური კომპანიები დომინირებენ, გაიზარდა 13,15 პუნქტით (+0,56%) 2363,77-მდე.

ნიუ -იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE) უმსხვილესი კომპანიების კოტირებების მაქსიმალური ცვლილებები 30 ოქტომბრის შედეგების მიხედვით:

## ზრდა აშშ-ს ბირჟაზე

გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა ნავთობის გაიაფებამ, დოლარის კურსის გამყარებამ და დამაიმედებელმა კორპორაციულმა ინფორმაციებმა განაპირობა. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საყოფაცხოვრებო ქიმიის უმსხვილესი მწარმოებლის Procter & Gamble-ს მოგების 33 პროცენტით, 2,7 მილიარდ დოლარამდე გაზრდა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,08 პროცენტით, 12.096,58 პუნქტამდე გაიზარდა. 0,26 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.369,82 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,06 პროცენტით, 1.378,82 პუნქტამდე მოიმატა.










## ნავთობის ფასი კვლავ 60 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება გაგრძელდა და ნავთობის ღირებულება 60 დოლარი.ბარელის ფსიქოლოგიურ ნიშნულს ჩამოსცდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 58,57 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 58,33 დოლარი.ბარელამდე გაიაფდა. ბუნებრივი აირის ფასმა კი მცირედით მოიმატა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 7,416 დოლარი შეადგინა. ამის მიზეზი ამ ტიპის საწვავის მარაგი შემცირების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გახლდათ. ექსპერტთა აზრით, "შავი ოქროს" გაიაფება აშშ-ს ტერიტორიაზე მცირე დათბობამ, რამაც საწვავი მაზუთის მოხმარების შემცირება გამოიწვია, ქვეყანაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის ზრდამ და საუდის არაბეთში ნავთობსაბადოებზე ტერორისტული აქტების განხორციელების საფრთხის შემცირებამ განაპირობა. ამასთან, ტრეიდერების უმრავლესობა ოპეკის მიერ ძშავი ოქროს" მოპოვების მოცულობის შემცირების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას სკეპტიკურად უყურებენ.

კვლავ მოიკლო "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასმა, რომლის ღირებულება ამჯერად 55 დოლარი.ბარელის ნიშნულს კვლავ ჩამოსცდა და 54,87 დოლარი.ბარელი შეადგინა. შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კართელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17. 1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი.ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური ძფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი.ბარელით განისაზღვრა. "ოპეკისკალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი.ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გუშინწინდელი მნიშვნელოვანი გაძვირების შემდეგ, გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 600,9 დოლარი შეადგინა, ვერცხლი 12,02 დოლარი.უნციამდე, პლატინა 1079,63 დოლარი.უნციამდე, პალადიუმი კი 321,16 დოლარი.უნციამდე გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ოქროსა და ძვირფასი ლითონების გაიაფება ნავთობის ფასის კლებამ და ჩრდილოეთ კორეის კრიზისის მოლაპარაკების გზით მოგვარების იმედმა განაპირობა. გარდა ამისა, გავლენა დოლარის კურსის გამყარებამაც მოახდინა.

## ოპეკი ნავთობის მოპოვების მოცულობას კვლავ შეამცირებს

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ - ოპეკმა შეიძლება უკვე მიმდინარე წლის დეკემბერში ნავთობის მოპოვების მოცულობა კვლავ შეამციროს. ამის შესახებ გუშინ ალჟირის ენერგეტიკის მინისტრმა ჩაკიბ ჰელილმა განაცხადა. მისი თქმით, ოპეკი ყველაფერს გააკეთებს, ნავთობის ფასი 60 დოლარიბარელის ნიშნულზე მაღლა შეინარჩუნოს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს ოპეკის წევრმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება 1 დეკემბრიდან ნავთობის მოპოვების დღე-ღამური მოცულობის 1,2 მილიონი ბარელით, 26,3 მილიონ ბარელამდე შემცირების შესახებ. 1,2 მილიონი ბარელი ოპეკის მიერ მოპოვებული ნავთობის 4,4 პროცენტი და "შავი ოქროს" მსოფლიო მოხმარების 1 პროცენტია. აღნიშნული გადაწყვეტილებაც მიზნად ნავთობის გაიაფების შეჩერებას ისახავდა. უკანასკნელად ოპეკმა ნავთობის მოპოვების მოცულობა 2004 წლის მარტში შეამცირა. 2005 წლის ივლისიდან კი "შავი ოქროს" მოპოვება ოფიციალურად დღე-ღამეში 28 მილიონი ბარელი გახლდათ, თუმცა, ფარტობრივი მოცულობა ნიგერიისა და ვენესუელის ერთობლივი გადაწყვეტილებით რამდენიმე თვის წინ ნახევარი მილიონი ბარელით შემცირდა.

## ინდური Tata და იტალიური Fiat თანამშრომლობის სფეროს აფართოვებენ

გაზეთ Economic News-ის ინფორმაციით, ინდური Tata Motors და იტალიური Fiat Spa მხოლოდ მსუბუქი ავტომობილების წარმოებაში თანამშრომლობით შემოფარგვლას არ აპირებენ და სატვირთო ავტომობილების ერთობლივი წარმოების საკითხს განიხილავენ. როგორც იუწყებიან, ინდური კონცერნის Tata Group-ის, რომლის ერთ-ერთი განყოფილებაცაა Tata Motors, ხელმძღვანელობის ინტერესის საგანს სატვირთო ავტომობილის მოდელ Iveco-ს გამოშვებაში მონაწილეობა წარმოადგენს და ამასთან დაკავშირებით იტალიურ მხარესთან აქტიურ მოლაპარაკებებს მართავს.




# რუსული კანონმდებლობის ახალი გასართობი

პირველი გვერდიდან

წინა კვირის ბოლოს, პარასკევს დუმის დეპუტატთა ჯგუფმა სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი "სპეციალური ეკონომიკური ღონისძიებების შესახებ საერთაშორისო საგანგებო სიტუაციის ვითარებაში". დოკუმენტი შემუშავებულია რუსეთის მმართველი პარტიის საპარლამენტო ფრაქცია "ედინაია რასიას" პრეზიდიუმის მიერ და მის ერთსულოვან მხარდაჭერაში, რასაკვირველია, წინასწარვე ეჭვი არავის ეპარება.

კანონის სახელწოდება სიტყვასიტყვით არის გადმოწერილი ამერიკული კანონიდან "ეკონომიკური უფლებამოსილებების შესახებ საგანგებო საერთაშორისო სიტუაციის პირობებში", რომელიც ოკეანის გაღმა სამი ათეული წლის წინ - 1977 წელს მიიღეს. რუსმა კანონმდებლებმა, როგორც თავადვე აცხადებენ, ყურადღებით შეისწავლეს ამერიკული კანონი და მისი ბევრი პუნქტიც უცვლელად გადმოიწერეს, თუმცა იქვე აზუსტებენ, რომ მათი კანონპროექტი ამერიკული ანალოგის სრულ ასლს არ წარმოადგენს. რაც შეეხება კანონპროექტის შემუშავების ვადების დამთხვევას საქართველოსთან ურთიერთობებში წარმოშობილ კრიზისთან, რუსი პარლამენტარები, ცხადია, აცხადებენ, რომ ეს უბრალო დამთხვევაა და მეტი არაფერი.

ასეა თუ ისე, რუსეთის პრეზიდენტის და, მთლიანად, მმართველი პოლიტიკური ელიტის ნება უკვე კანონის სახეს იძენს და მასში საგანგებო საერთაშორისო სიტუაცია განსაზღვრებულია, როგორც "გარემოებათა ერთობლიობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებების დაცვას, ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკას". მისი წარმოშობის შემთხვევაში პრეზიდენტს ეძლევა უფლება, სხვა სახელმწიფოს მიმართ შემოიღოს სანქციები ოთხ წლამდე ვადით. თუ საფრთხე შენარჩუნდება, მისი ვადა კიდევ ორი წლით შეიძლება გაგრძელდეს. რაც შეეხება სანქციების გაუქმებას, საჭიროების შემთხვევაში (კვლავაც თავისი შეხედულებისამებრ) პრეზიდენტს ამის გაკეთება ნებისმიერ მომენტში შეუძლია.

კანონპროექტის მიხედვით, ეკონომიკური ზემოქმედების კონკრეტული ღონისძიებების ნუსხას პრეზიდენტის დავალებით რუსეთის მთავრობა ადგენს. რაც შეეხება ამ ღონისძიებების ჩამონათვალს, ის საკმაოდ გრძელია და მოიცავს როგორც უცხო ქვეყნის მიმართ დახმარების პროგრამების შეჩერებას ეკონომიკურ, ტექნიკურ და სამხედრო სფეროებში, ასევე ამ ქვეყანასთან ფინანსური და სავაჭრო ოპერაციების შეზღუდვას ან აკრძალვას, ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების მოქმედების შეჩერებას, საიმპორტო და საექსპორტო მოსაკრებლების შეცვლას და კიდევ ბევრი სხვა ტიპის ბარიერის ამოქმედებას. იმ ქვეყნის წარმომადგენლებისთვის, ვის წინააღმდეგაც სანქციები ამოქმედდება, შეიძლება დაიხუროს რუსული პორტები და საავიაციო სივრცე, შეიზღუდოს ტურისტული კავშირები და აიკრძალოს ერთობლივ სამეცნიერო-ტექნიკურ პროექტებში მონაწილეობაც კი.

ამერიკული კანონისგან განსხვავებით, რომლის დამრღვევებიც 50 ათას დოლარამდე ჯარიმით ან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯებიან, რუსულ კანონპროექტში ჯერ დეტალურად არ არის გაწერილი სანქციების ეს მხარე, თუმცა დუმის დეპუტატები მზად არიან, ეს თავი საგანგებოდ განიხილონ და საკმაოდ მკაცრი სასჯელებიც დააწესონ.

კანონპროექტის ავტორების ჩანაფიქრით, ახალი კანონი უკიდურესად შემჭიდროებულ ვადებში უნდა იქნას განხილული და დამტკიცებული და ძალაშიც დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს. თუმცა მის უქონლობას არც აქამდე შეუშლია ხელი რუსეთისთვის, პოლიტიკურად დაპირისპირებული მეზობლებისთვის ყულფი მოერგო.

მეზობლებზე ეკონომიკურ ზემოქმედებას რუსეთი ამ კანონის შემოღებამდეც საკმაოდ აქტიურად და ხანგრძლივად მიმართავდა და დღემდე მიმართავს. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად "გამოცდილი" ესტონეთის სახელმწიფო გახლავთ: მთელი 10 წლის განმავლობაში, 1994-დან 2004 წლამდე ესტონური პროდუქციის იმპორტი რუსეთში ორმაგი საიმპორტო მოსაკრებლით იბეგრებოდა, რაც მათ რუსულ ბაზარზე, პრაქტიკულად, კონკურენტუუნაროს ხდიდა.

თუმცა, ბოლო დრომდე სანქციების თემა მაინც მხოლოდ თეორიულ ან ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა და მისი აქტუალობა ძალიან დაბალი იყო. 2005 წლის ბოლოდან ვითარება კარდინალურად შეიცვალა. სანქციების ამოქმედების თვალსაზრისით განსაკუთრებით ხვავრიელი სწორედ წლევანდელი წელი აღმოჩნდა, როდესაც რუსეთის მხრიდან სანქციები ერთდროულად სამ პოლიტიკურად ურჩ სახელმწიფოს დაუწესდა: უკრაინიდან რუსეთში ხორცისა და რძის პროდუქტების შეტანა აიკრძალა, მოლდოვიდან - ღვინის, საქართველოდან კი - ღვინის, მინერალური წყლებისა და აგრარული პროდუქციის. საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედებული სანქციები იმთავითვე ყველაზე მასშტაბური იყო, სექტემბრის ბოლოს რუსი ოფიცრების დაპატიმრების შემდეგ კი არსებულ შეზღუდვებს ყველანაირი სატრანსპორტო კომუნიკაციის მოშლა და სასაქონლო ნაკადების შეწყვეტაც დაემატა, რითაც სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდა და დამძიმდა. ეს ყველაფერი ახალი, სანქციების შესახებ გამკაცრებული კანონის შემოღებამდე მოხდა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უქონლობას ხელი არავისთვის შეუშლია უმაღლესი ხელისუფლების უმაღლესი ნების აღსრულებაში.

ასე რომ, უკვე ამოქმედებულ სანქციებზე კანონის მორგება საქართველოს ახალს, პრაქტიკულად, არაფერს უქადის. ახალი საკანონმდებლო ბაზა მხოლოდ იმას შეეცდება, რომ პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლას ლეგალური საფუძველი მისცეს, "ყველაფერში დამნაშავის" ტიტული რუსეთის მთავარ სანიტარულ ექიმს ან მსგავს მეორეხარისხოვან ფიგურებს ჩამოაცილოს და ამოქმედებულ სანქციებს სოლიდური პოლიტიკური სარჩული გამოუძებნოს.

მოკლევადიან პერსპექტივაში უდიდესი მეზობლის, უმსხვილესი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორისა და ქართული სამუშაო ძალის ყველაზე სოლიდური გარე დამსაქმებლის მხრიდან დაწესებული სანქციები საკმაოდ მტკივნეულად გადასატანია. თუმცა, რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს მათი მოქმედება გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს უკვე სულ სხვა საუბრის საგანია.

იმავე ესტონეთის მაგალითმა დაადასტურა, რომ რუსული ბაზრის ფაქტობრივი ჩაკეტვისა და გასაღების მსხვილი სივრცის დაკარგვის მიუხედავად, რაც საწყის ეტაპზე მართლაც საკმაოდ რთულად "მოსანელებელი" პრობლემა იყო, საბოლოო ანგარიშით, ეს შეზღუდვა ესტონური ბაზრისთვის უფრო მეტად სარგებლის მომტანი აღმოჩნდა. იქაური საქმიანი სამყარო იძულებული გახდა, უფრო პრეტენზიული დასავლური ბაზრების მოთხოვნებზე გადაწყობილიყო და გაცილებით მეტად კონკურენტუნარიანი პროდუქტები შეექმნა, ვიდრე რუსულ ბაზარზე ორიენტირებისას. იმავდროულად, ასეთ პირობებში ბაზარზე მოქმედ კომპანიათა ბუნებრივი გადარჩევაც მოხდა და იქიდან სუსტები და მოუქნელები ან განიდევნენ, ან უფრო ძლიერებს შეერწყნენ და ამ ფორმით განაგრძეს არსებობს.

ესეც არ იყოს, ეკონომიკური შეზღუდვების არსებული გამოცდილება მიუთითებს, რომ სხვებისგან განყენებულად, ერთი სახელმწიფოს მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები ძალიან იშვიათად არის ეფექტური და რაც დრო გადის, ეს ეფექტი სულ უფრო მეტად მცირდება. ეს აბსოლუტურად ლოგიკურია: გლობალიზაციის პირობებში სანქციების მსხვერპლს იოლად შეუძლია, საქონლის ექსპორტ-იმპორტის ალტერნატიული წყაროები და ბაზრები გამონახოს. სანქციები მხოლოდ იმ შემთხვევაშია ეფექტური, თუ ამა თუ იმ გარიყული სახელმწიფოს წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ორგანიზებულად და ერთსულოვნად მოქმედებს. მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო: აშშ-ს ფინანსური სანქციები ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ მხოლოდ მას შემდეგ გახდა შედეგის მომტანი, როდესაც მათ გაეროს მთელი უშიშროების საბჭო შეუერთდა, ჩინეთის ეროვნულმა ბანკმა კი თავის მაკაოს ფილიალში ჩრდილოკორეელების საბანკო ანგარიშები გაყინა.

ამ მხრივ საქართველოს პოზიციები საკმაოდ მყარია. მის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს არათუ არავინ უერთდება, პირიქით - ყველა ერთსულოვნად გმობს. ასე რომ, რუსული სანქციების თემა ხელისუფლების გონივრული ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესისთვის საიმპორტო რესურსებზე კონკურენტული გარემოს შექმნის პირობებში ძალიან მალე მნიშვნელოვანწილად განეიტრალდება, საქართველოს სახელმწიფო კი კიდევ უფრო მეტად მოსწყდება რუსული გავლენის ორბიტას.



## აზერბაიჯანული ნავთობის ფასები შემცირებას განაგრძობს

აზერბაიჯანულ ნავთობის ფასები კვლავ მცირდება. AZERI LT FOB Ceyhan-ის ნავთობის ფასმა 31 ოქტომბერს ბარელზე 57,46 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 27 ოქტომბერს დაფიქსირებულ ფასთან შედარებით 1,49 აშშ დოლარით ნაკლებია. ნავთობს ჯეიჰანის პორტი ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით იღებს.

სააგენტო "ტრენდი" იტყობინება, რომ AZERI LT CIF Augusta-ს ნავთობის ფასმა 31 ოქტომბერს ბარელზე 58,37 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 27 ოქტომბერს დაფიქსირებულ ფასზე 1,63 აშშ დოლარით ნაკლებია. ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 34,6 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველელობა - 0,14%.

31 ოქტომბერს URAL (EX-NOVO)-ს ნავთობის ფასი ბარელზე 53,27 აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც 27 ოქტომბერს დაფიქსირებულ ფასზე 1,80 აშშ დოლარით ნაკლებია. URAL-ის ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 30,4-31,85 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველელობა - 1,8%.

DTD-ს ტიპის ნავთობის ფასმა 31 ოქტომბერს ბარელზე 56,83 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 27 ოქტომბერს დაფიქსირებულ ფასზე 1,44 აშშ დოლარით ნაკლებია. სიმკვრივე - 38,3 გრადუსი, გოგირდის შემცველელობა 0,36%.

"აზერი-ჩიგარ-გიუნეშლის" საბადოზე მოპოვებული Azeri Light-ის მარკის ნავთობის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე "დასავლეთში" 1999 წელს საქართველოდან სუფსის პორტიდან დაიწყო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ოპეკმა დეკემბერში, შესაძლოა, ნავთობის მოპოვება კიდევ შეამციროს

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (ოპეკი) 2006 წლის დეკემბერში შესაძლოა კიდევ ერთხელ შეამციროს ნავთობის მოპოვების კვოტები, - განაცხადა ალჟირის ენერგეტიკის მინისტრმა ჩაკიბ ხელილმა. მისი თქმით, ნავთობის ბაზარი ამჟამად მეტნაკლებად სტაბილური ხდება და წინადადება წამოაყენა, რომ ნავთობის ფასი 60 დოლარის ფარგლებში შენარჩუნდეს.

მინისტრმა ასევე დაამატა, რომ თუ ნავთობის მოპოვების ბოლოდროინდელი შემცირება საკმარისი არ აღმოჩნდება, ოპეკმა შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება ნავთობის მოპოვების კვოტების შემდგომი კლების შესახებ.

როგორც ცნობილია, 2006 წლის 1 ნოემბრიდან ოპეკი ნავთობის მოპოვებას ამცირებს 1,2 მლნ ბარელით, მათ შორის, ალჟირი - 59 ათასი ბარელით. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 1/11 | 2/11 | 3/11 |
|---|---|---|---|
| კიევი | 8 | 5 | 2 |
| რიგა | 5 | -4 | -8 |
| ვილნიუსი | -1 | -7 | -10 |
| მოსკოვი | 3 | 5 | 6 |
| მინსკი | 0 | -2 | -5 |
| პარიზი | 11 | 11 | 9 |
| რომი | 18 | 16 | 13 |
| ლონდონი | 10 | 12 | 12 |
| მადრიდი | 21 | 19 | 15 |
| ბონი | 6 | 11 | 9 |
| ვარშავა | 3 | -7 | -5 |
| ათენი | 18 | 20 | 18 |
| ბერნი | 7 | 10 | 7 |
| ამსტერდამი | 7 | 7 | 11 |
| ოსლო | -9 | -3 | -1 |
| ანკარა | 18 | 18 | 13 |
| ვარნა | 15 | 11 | 0 |
| დელი | 32 | 32 | 31 |
| ტოკიო | 22 | 19 | 20 |
| კოპენჰაგენი | 2 | -2 | -3 |
| ბაქო | 20 | 17 | 18 |
| ერევანი | 20 | 19 | 19 |
| ასტანა | 4 | 7 | 7 |
| ჰელსინკი | -4 | -17 | -14 |
| დუბლინი | 11 | 11 | 11 |
| ლისაბონი | 22 | 18 | 20 |
| პრაღა | -1 | -3 | -3 |
| სოფია | 18 | 6 | 2 |
| ბუდაპეშტი | 8 | -7 | -3 |
| ბუხარესტი | 15 | 10 | 3 |

# ევროკავშირის ახალი წევრები ევროს შემოღებას არ ჩქარობენ

ამბროსი გრიშიკაშვილი
კრაკოვიდან

*ევროკავშირის ახალი წევრები ევროს შემოღებას, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ ჩქარობენ. საუბარი იმაზე კი არაა, აკმაყოფილებენ თუ არა მაასტრიხტის მოთხოვნებს, რომელიც ინფლაციას, საგარეო ვალს, ბიუჯეტის დეფიციტს და ა. შ. ეხება, უბრალოდ, ჯერ მათ ევროზონაში შესვლის სურვილიც არა აქვთ.*



ევროკავშირის ახალი წევრებიდან სავალუტო ზონაში შესვლის კანდიდატთაგან ჯერჯერობით მხოლოდ სლოვენიაა წინ წასული. გათვალისწინებული იყო, რომ მასთან ერთად უნდა შესულიყვნენ ბალტიის ქვეყნებიც (ლიტვა, ლატვია და ესტონეთი), მაგრამ ინფლაციასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა მიზნის მიღწევაში ამ ქვეყნებს ხელი შეუშალა. სავარაუდოდ, ისინი ევროზონაში 2010 წლამდე ვერ შევლენ (აქვე გვინდა მკითხველს გავაცნოთ, თუ რას ითვალისწინებს ზევით ნახსენები მაასტრიხტის მოთხოვნები: ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3 პროცენტს, საგარეო ვალი მშპ-ს 60 პროცენტს, ინფლაციის დონე 1,5 პროცენტულ პუნქტზე მეტით არ უნდა აღემატებოდეს იმ დონეს, რომელიც აქვს იმ სამ ქვეყანას, სადაც ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ანუ პრაქტიკაში ეს 2 პროცენტზე ნაკლებია და ბოლოს, გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი 2 პროცენტზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე დაბალი ინფლაციის მქონე ქვეყანაში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებელს).

როგორც ჩანს, არც ევროკავშირის ძველი ქვეყნების მხრიდან არის რაიმე მცდელობა, ახალ წევრებს საერთო ვალუტის შემოღების დაჩქარებისაკენ უბიძგონ. "ჩვენ არ შეგვიძლია ამ პროცესის დაჩქარება. აუცილებელია, რომ მათ ახალი ვალუტა მაშინ შემოიღონ, როდესაც ყველა აუცილებელ მოთხოვნას შეასრულებენ. მათი შეუსრულებლობა თავად მათ არ მოუტანს სარგებლობას," - განაცხადა ევროკავშირის სამეურნეო და მონეტარულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელმა კომისარმა ჟაკ ალმუნიამ.

"ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყნისათვის შესაძლოა უფრო სასარგებლოც იყოს ევროზონაში შესვლის თარიღის გადაწევა, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ, თავის სურვილისამებრ გამოიყენონ სამეურნეო პოლიტიკის ისეთი მექანიზმი, როგორსაც სავალუტო კურსი წარმოადგენს. ამ ქვეყნების პოლიტიკურმა ლიდერებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, მათ ქვეყანას სჭირდება თუ არა საკუთარი მონეტარული პოლიტიკა კიდევ გარკვეულ ხანს, თუ უკვე მზად არიან მასზე უარის სათქმელად," - განაცხადა ამასთან დაკავშირებით ევროპის ცენტრალური ბანკის საბჭოს წევრმა იურგენ სტარკმა. ამასთან, იგი ამ ქვეყნებს ურჩევს, რომ ეს დრო ეკონომიკური რეფორმების ბოლომდე მიყვანისათვის გამოიყენონ. მანვე დასძინა, რომ ევროკავშირის ხელმძღვანელობა შეფიქრიანებულია ზოგიერთი ახალი წევრი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით და ფისკალური პოლიტიკის შედეგებით. ევროკავშირის ეკონომიკური ექსპერტები შიშს გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი ქვეყნების ევროზონაში მიღებამ შესაძლოა პრობლემატური გახადოს ამ ზონის ყველა ქვეყნისათვის საერთო ფულადი პოლიტიკის გატარება.

პოლონეთის ხელისუფლება ქვეყნის ევროზონაში შესვლას ერთგვარი ნიჰილიზმითაც კი ეკიდება. მაგალითად, ამასწინათ ესპანეთში ყოფნისას ამ ქვეყნის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ განაცხადა, რომ ეს საკითხი რეფერენდუმზე ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და დასძინა, ევრო ჯერ კიდევ ექსპერიმენტის დონეზეაო. თუმცა ევროკავშირის ლიდერები კაჩინსკის ამ განცხადებაზე კომენტარებს არ აკეთებენ, მაგრამ აშკარაა, რომ ამგვარი შეხედულებები წინააღმდეგობაში მოდის კავშირის ოფიციალურ პოლიტიკასთან.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთში თანდათან მატულობს იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც ევროზე გადასვლა სურთ. კერძოდ, როგორც ევროკომისიის 2006 წლის აპრილში ჩატარებული გამოკვლევებიდან ჩანს, პოლონელთა 50 პროცენტი თანახმაა, ევროს შემოღებას დაუჭიროს მხარი, მაშინ, როდესაც ერთი წლის წინ ეს ციფრი მხოლოდ 34 პროცენტს შეადგენდა. და ეს იმ ფონზე, როდესაც თითქმის ყველა ახალ წევრ ქვეყანაში ევროს შემოღების მოსურნეთა რიცხვმა იკლო.

ამავე გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ პოლონელებს ახლა ნაკლებად აშინებთ ის გარემოება, რომ ევროზე გადასვლის შემთხვევაში შესაძლოა ფასები გაიზარდოს, როგორც ამას კავშირის ძველ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი. ეს კი ყველაზე სერიოზული არგუმენტია ევროს წინააღმდეგ განწყობილი პოლიტიკოსების მოსაზრებათა წინააღმდეგ. სამაგიეროდ, უფრო მეტ პოლონელს მიაჩნია, რომ ევრო დადებით გავლენას მოახდენს ფასების სტაბილურობაზე. როგორც პოლონეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილე პეტრე სოროჩინსკი აცხადებს, სავარაუდოა, რომ ქვეყანამ უკვე 2009 წელს შეასრულოს მაასტრიხტის მოთხოვნები და ამის შემდეგ 1-2 წლის განმავლობაში ევროზონაშიც შევიდეს.

მკითხველს გვსურს გავაცნოთ, თუ როგორი შეხედულებისაა ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების მოსახლეობა ევროს შემოღებაზე (გამოკვლევა ევროკავშირის კომისიის მიერაა ჩატარებული). გამოკითხვის მონაწილეებმა ერთ კითხვას გასცეს პასუხი: იქნები თუ არა კმაყოფილი, თუ შენი ქვეყნის ეროვნულ ვალუტას ევრო შეცვლის?

შესწავლამ შემდეგი სურათი აჩვენა: კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა სლოვენიის მოსახლეობის - 64-მა პროცენტმა, უნგრეთის მოსახლეობის - 56-მა პროცენტმა, სლოვაკეთის მოსახლეობის - 54-მა პროცენტმა, პოლონეთის მოსახლეობის - 50-მა პროცენტმა, მალტის მოსახლეობის - 42-მა პროცენტმა, კვიპროსის მოსახლეობის - 39-მა პროცენტმა, ჩეხეთის მოსახლეობის - 39-მა პროცენტმა, ლიტვის მოსახლეობის - 33-მა პროცენტმა, ესტონეთის მოსახლეობის - 31-მა პროცენტმა და ლატვიის მოსახლეობის - 28 პროცენტმა.

სამაგიეროდ, კითხვაზე უარყოფითად უპასუხა სლოვენიის მოსახლეობის - 30-მა პროცენტმა, უნგრეთის მოსახლეობის - 36-მა პროცენტმა, სლოვაკეთის მოსახლეობის - 36-მა პროცენტმა, პოლონეთის მოსახლეობის - 39-მა პროცენტმა, მალტის მოსახლეობის - 41-მა პროცენტმა, კვიპროსის მოსახლეობის - 52-მა პროცენტმა, ჩეხეთის მოსახლეობის - 52-მა პროცენტმა, ლიტვის მოსახლეობის - 56-მა პროცენტმა, ესტონეთის მოსახლეობის - 60-მა პროცენტმა და ლატვიის მოსახლეობის - 64-მა პროცენტმა.

# მოდელი პენსიაზე



მსოფლიოს ყველაზე ლამაზი მოდელი ჟიზელ ბუნდხენი პენსიაზე გავიდა. იგი შესულია გინესის რეკორდების წიგნში, როგორც მსოფლიოში ყველაზე მდიდარი მოდელი. პოდიუმზე თითო გამოსვლისას მოდელი 7,5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, მისი წლიური შემოსავალი კი, 150 მილიონ დოლარს შეადგენს.

"ძალიან ბედნიერი ვარ, რომ პოდიუმზე აღარ გამოვალ, მე უკვე ბოლომდე შევასრულე ჩემი სამოდელო მოვალეობა.ახლა ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი იწყება, - როგორც იქნა, ვიცხოვრებ ჩემი თავისთვის!" - განაცხადა მოდელმა.

გერმანული წარმოშობის ბრაზილიელი და ლეონარდო დი კაპრიოს დიდი ხნის მეგობარი გამოტყდა, რომ გიტარაზე დაკვრის შესწავლას აპირებს.

"ახლა ძალიან ბევრ დროს ვატარებ სახლში, ვგიჟდები კერძების მომზადებაზე, უკვე შემიძლია მაკარონის, თევზის და ქათმის მომზადება", - გვიამბობს 26 წლის ჟიზელი.

სამოდელო სილამაზის სტანდარტებით ჟიზელ ბუნდხენს მსოფლიოში ყველაზე იდეალური ფიგურა აქვს. მისი პარამეტრებია 90-60-89 სიმაღლე - 180 სანტიმეტრი.

ჟიზელ ბუნდხენი ბრაზილიაში ქალაქ ჰორიზონტინაში, გერმანიიდან გადმოსახლებულ ოჯახში დაიბადა. მას ხუთი და ჰყავს. სამოდელო ბიზნესში ბედი თითოეულმა დამ სცადა, მაგრამ წარმატებას მხოლოდ ჟიზელმა მიაღწია.

სამოდელო კარიერა ჟიზელმა 13 წლის ასაკში დაიწყო, როდესაც მაკდონალდსში შესულმა ერთ-ერთი სამოდელო სააგენტოს აგენტმა შემთხვევით შეამჩნია. მოდელობის დაწყებამდე გოგონას ოცნება იყო ეთამაშა ფრენბურთი ბრაზილიის პროფესიონალთა ჯგუფში.

ჟიზელ ბუნდხენი მუშაობდა ისეთ ცნობილ სამოდელო სახლებში, როგორებიცაა "ვალენტინო", "ზარა", "ბულგარი", "ტომი ჰილფიგერი", "ვერსაჩე", "კრისტიან დიორი", "ვიქტორია სიკრეტი", "დოლჩე და გაბანა", "ლუის ვიტონი" და ა.შ. იგი გვევლინება ისეთი ცნიბილი ჟურნალების გარეკანზე, როგორებიცაა Vogue, Harper's Bazaar, Arena, Rolling Stone და სხვა. ჟიზელს ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული ლუკ ბესონის ფილმში "ტაქსი" და 2006 წლის კომედიაში "ეშმაკი ატარებს პრადას". შეკითხვაზე - აპირებს თუ არა, რომ ცოლად გაჰყვეს მსახიობ ლეონარდო დი კაპრიოს, რომელთანაც მას უკვე დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს, მოდელმა უპასუხა, რომ არც კი უფიქრია ქორწინებაზე არც დი კაპრიოსთან და არც სხვა ვინმესთან.

# მადონას შვილს ართმევენ



მალაველი ბავშვის მამა, რომელიც მომღერალმა მადონამ იშვილა, ახლა აცხადებს, რომ არ დათანხმდებოდა გაშვილებაზე იმ შემთხვევაში, თუ ეცოდინებოდა, რომ მას სამუდამოდ მოუწევდა შვილთან გამოთხოვება.

იოჰან ბანდა აცხადებს, რომ მას არ უთხრეს იმის შესახებ, რომ შვილის, 13 თვის დევიდის მადონაზე გაშვილებით იგი მამობის უფლებას დაკარგავდა. მართალია იოჰან ბანდა თავად დათანხმდა ბავშვის გაშვილებაზე, რადგან სურდა, რომ მის შვილს კარგი ცხოვრება ჰქონოდა, მაგრამ მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რა იყო ნათქვამი იმ სასამართლო დოკუმენტებში, რომელსაც მან ხელი მოაწერა. "მე მივიჩნევ, რომ სწორია დევიდის ბავშვთა სახლში დაბრუნება, სადაც მე ნებისმიერ დროს შემიძლია მისი ნახვა, ვიდრე დაშორება მასთან სამუდამოდ", - აცხადებს ბავშვის მამა. იგი ფიქრობდა, რომ მომღერალი მხოლოდ აღზრდიდა და უპატრონებდა მის შვილს.

ყველაფრის მიუხედავად, იოჰან ბანდამ მადლობა გადაუხადა მადონას, რომ დაეხმარა მის შვილს ავადმყოფობისგან განთავისუფლებაში. "ჩვენ ვლოცულობთ, რომ ღმერთმა დალოცოს მადონა მისი სიკეთისათვის", - განაცხადა ბანდამ.

იოჰან ბანდას ცოლი ბავშვის დაბადებიდან ერთ თვის შემდეგ გარდაიცვალა, რის შემდეგაც მამამ ჩვილი ბავშვთა სახლში მიაბარა, სადაც დევიდი იმყოფებოდა მან, სანამ მადონამ არ წამოიყვანა. მომღერალი აცხადებს, რომ იგი კანონის ფარგლებში მოქმედებდა, როგორც ნებისმიერი სხვა, ვისაც ბავშვის აყვანის სურვილი გააჩნია.

მალაველმა სამართალდამცავებმა შეიტანეს სარჩელი ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომელმაც გაშვილების საკითხი დააკმაყოფილა.

სამართალდამცავები აცხადებენ, რომ კანონით, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ნახევარი წელი მაინც უნდა ცხოვრობდნენ იმ ქალაქში და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ ბავშვი იშვილონ. საბოლოო განცხადებით, სასამართლომ მადონას მისცა უფლება, დროებით იშვილოს დევიდ ბანდა. მადონა აფინანსებს ექვს ბავშვთა სახლს მალავაში და აპირებს გახსნას ახალი ბავშვთა სახლი ქალაქთან ახლოს, სადაც 4 ათასი ბავშვი იქნება მოთავსებული.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "თბილისის წყალი" აცხადებს ღია ტენდერს **ექსკავატორ-დამტვირთველების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლებია:

**ექსკავატორ-დამტვირთველი, ორი ერთეული:**

- ■ გამოშვების წელი - 2006
- ■ გამწევი თვლები - 4X4;
- ■ საწვავი - დიზელი;
- ■ მართვის სისტემა - ჰიდრავლიკური;
- ■ ექსკავატორის ციცხვის მოცულობა - არანაკლებ 0,3 კუბ.მ;
- ■ დამტვირთველის ციცხვის მოცულობა - არანაკლებ 1.0 კუბ.მ
- ■ დამტვირთველის აწევის სიმაღლე - არანაკლებ 4.0 მ;
- ■ ექსკავატორის ისრის მობრუნების მინიმალური კუთხე - 180 გრად;
- ■ ციცხვის ჩაწვდომის სიღრმე - არანკლებ 6.0 მეტრი;
- ■ ციცხვის პარალელური გადაადგილების საშუალება- მინ. 1 მ;
- ■ მიწოდებული საქონლის სრულფასოვანი ფუნქციონირების მინიმალური საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა შეადგენს 12 (თორმეტი) თვეს საქონლის მიღება-ჩაბარების თარიღიდან ან 2000მ/საათს, იმისდამიხედვით, თუ რომელი პირობა უფრო ადრე დადგება.

**2**. მიწოდების სასურველი ვადაა 30 დღე. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთდროულად.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის **22 ნოემბრის 17:00** საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილისის წყალი"-ს შესყიდვების სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 220101502.

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **23 ნოემბრის 10 სთ-დან - 1500 სთ-მდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს " თბილისის წყალი "-ს შესყიდვების სამსახური.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1** იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2** ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:
ზურაბ ღონღაძე,
ტელ/ფაქსი; 93 28 25, ელ.ფოსტა: **zgongadze@Tbilisiwater.com**, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს " თბილისის წყალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 1 ნოემბრიდან აცხადებს ტენდერს სამუხრუჭე სისტემის ბერკეტული გადაცემის ლილვაკების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად სხვადასხვა დასახელების საქონლის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ლილვაკი | 30 X 81 ბერკეტული გადაცემის, სამუხრუჭე სისტემის. ნახაზი თან ერთვის | ცალი | 2000 |
| | ლილვაკი | 40 X 83 ბერკეტული გადაცემის, სამუხრუჭე სისტემის. ნახაზი თან ერთვის | ცალი | 2000 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;
4. მოწოდების სავალდებულო ვადა - IV კვარტალი;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **24 ნოემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**
1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში; დამატებითი ღირებულების გარეშე.
3. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დროს, გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით სახელშეკრულებო თანხის 5%-ის ოდენობით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 33 51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 1 ნოემბრიდან აცხადებს ტენდერს სამგზავრო ვაგონების კაპიტალური შეკეთების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15) აცხადებს ტენდერს სამგზავრო ვაგონების კაპიტალური შეკეთების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205 საიდენტიფიკაციო კოდი 202886101 და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და შესაბამისი ტექნიკური დავალება.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | პროდუქციის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ПВ-900 ტიპის სამგზავრო ვაგონების კაპიტალური შეკეთება | ერთეული | 4 |

3. მიწოდების ადგილი - მხრათა შეთანხმებით;
4. მიწოდების სასურველი ვადა: 2006 წლის 1 თებერვალი;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **22 ნოემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით;
დ) შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
ე) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ფიზიკური პირებისათვის :**
ა) ცნობა სასამართლოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს

ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით 1% -იანი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს
სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;
გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
დ) შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დროს, გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით სახელშეკრულებო თანხის 5%-ის ოდენობით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51;

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დად-

**დამტკიცებულია შ.პ.ს. "პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფის" დირექტორის დავით ეგიაშვილის მიერ 2006 წლის "-25-----" ოქტომბერს**

# მუდმივმოქმედი არბიტრაჟის - შ.პ.ს. "პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფის" დებულება

I. ამ დებულებაში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინის განმარტება:

1.1. "პალატა" - მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი - შ.პ.ს. "პროფესსიონალ კონსულტანტთა ჯგუფი";

1.2. '"დავა" - სამოქალაქო დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა ან რომელიც დაექვემდებარა არბიტრაჟს;

1.3. "მხარე" - მხარე იმ დავისა, რომლის განხილვაც ეთხოვა ან დაექვემდებარა არბიტრაჟს; ამასთან, მითითება "მოსარჩელე" ან "მოპასუხე" მხარეებზე მხოლოდ პირობითია და აღნიშნავს არბიტრაჟისადმი მიმართვის რიგითობას;

1.4. "არბიტრაჟი" - მხარეთა ან პალატის მიერ დავის გადასაწყვეტად ამ დებულების მიხედვით დანიშნული ან არჩეული არბიტრაჟი (ერთი ან სამი არბიტრი);

1.5. "საარბიტრაჟო შეთანხმება" - დავამდელი ან დავის შემდგომი (საარბიტრაჟო განხილვის დაწყების თარიღამდე) წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის, ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვის გზით მოწესრიგების შესახებ. ამასთან, თუ მხარეებს შორის არსებობს რამოდენიმე ასეთი შეთანხმება, მაშინ ძალაშია თითოეულის ის ნაწილი, რომელიც არ ეწინააღმდეგება და არ გაუქმებულა უფრო გვიან მიღწეული შეთანხმებით.

1.6 "პალატის თავმჯდომარე " - შ.პ.ს. "პროფესსიონალ კონსულტანტთა ჯგუფის" დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

1.7 "არბიტრაჟის თავმჯდომარე" - არბიტრაჟის თავმჯდომარე ან არბიტრაჟის ერთადერთი წევრი;

1.8 "საარბიტრაჟო განხილვის თარიღი" - საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების დადგენილებაში მითითებული თარიღი.

**II. ზოგადი დებულებები**

2.1 პალატა არის სამოქალაქო დავების კერძო საარბიტრაჟო განხილვის დამოუკიდებელი, მუდმივმოქმედი ინსტიტუტი, რომელიც მოქმედებს 1997 წლის 17 აპრილის "კერძო არბიტრაჟის" შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2.2 ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების საკითხს წყვეტს პალატა, საარბიტრაჟო პრეტენზიისა და საარბიტრაჟო პრეტენზიაზე პასუხის საფუძველზე.

2.3 არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღებული დავა გადაეცემა ამ დებულების შესაბამისად შექმნილ არბიტრაჟს.

2.4 პალატის კომპეტენციის საკითხს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით წყვეტს არბიტრაჟი, რომელიც იხილავს დავას. ამასთან საარბიტრაჟო შეთანხმება როგორც ხელშეკრულების ნაწილი, განიმარტება როგორც შეთანხმება, რომელიც დამოკიდებული არ არის ხელშეკრულების სხვა პირობებზე. ხელშეკრულების ბათილად ცნობა თავისთავად არ გამოიწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას.

2.4 დავაზე პალატის მიერ თავისი იურისდიქციის ცნობის შემთხვევაში ეს დებულება განიხილება, როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელი ნაწილი. ამასთან, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე ნაწილი ეწინააღმდეგება ამ დებულების რომელიმე წესს, მაშინ მოქმედებს ამ დებულების შესაბამისი წესი.

2.5 პალატა, არბიტრაჟი, და მხარეები ხელმძღვანელობენ ამ დებულებაში მოცემული წესებით. ამ დებულების რომელიმე წესის განმარტების, ან ამ დებულებით მოუწესრიგებელი პროცედურული საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება აქვს პალატის თავმჯდომარეს, არბიტრაჟის თავმჯდომარის ან რომელიმე მხარის მიმართვის საფუძველზე.

2.6 თუ ოდესმე აღმოჩნდება, რომ ამ დებულების რომელიმე ნაწილი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ან იურიდიული ძალის არმქონეა, ეს ფაქტი გავლენას ვერ მოახდენს მისი დანარჩენი ნაწილებისა და მთლიანად დებულების იურიდიულ ძალასა და გამოყენებადობაზე.

**III. ორგანიზაცია და საქმიანობა**

*1. არბიტრაჟი*

3.1.1 არბიტრაჟი როგორც წესი, შედგება სამი არბიტრისაგან, რომლებიც აირჩევიან ან ინიშნებიან ამ თავის მიხედვით. საარბიტრაჟო პალატის თავმჯდომარე არბიტრაჟის წევრს (წევრებს) ნიშნავს პალატის არბიტრთა სიიდან, ხოლო მხარეები ან მათ მიერ დანიშნულ არბიტრები არბიტრის დანიშვნისა და არჩევისას უნდა იხელმძღვანელონ პალატის მიერ წარმოდგენილი სიით.

3.1.2 მხარეთა შეთანხმებით, ან პალატის გადაწყვეტილებით არბიტრაჟი საქმეს განიხილავს ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით.

3.1.3 თუ საარბიტრაჟო შეთანხმებაში გაკეთებულია არჩევანი ერთი ან სამი არბიტრის სასარგებლოდ, მაშინ არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება საარბიტრაჟო შეთანხმების მიხედვით, ხოლო სხვა შემთხვევაში არბიტრაჟის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს საარბიტრაჟო პალატის თავმჯდომარე, მხარეთა სურვილისა და დავის სირთულის გათვალისწინებით.

3.1.4 ერთწევრიანი შემადგენლობის შემთხვევაში არბიტრს ნიშნავს პალატის თავმჯდომარე. სამი არბიტრისაგან შემგარი შემადგენლობის შემთხვევაში თითო არბიტრს ნიშნავენ მხარეები, ხოლო მესამე არბიტრს, რომელიც იქნება შემადგენლობის თავმჯდომარე, ნიშნავენ არბიტრაჟის უკვე არჩეული წევრები. თუ რომელიმე მხარის სურვილია, მის მიერ დასანიშნი არბიტრი შეიძლება დანიშნოს არბიტრაჟის თავმჯდომარემ, ან თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ამას ითვალისწინებს, მესამე არბიტრი შეიძლება აირჩიონ უკვე დანიშნულმა წევრებმა. საარბიტრაჟო პალატის თავმჯდომარე ნიშნავს არბიტრს იმ მხარის ნაცვლადაც, რომელიც არ დანიშნავს არბიტრს პალატის მიერ დადგენილ ვადაში.

3.1.5 თუ პალატა, დავის სირთულიდან გამომდინარე ამას საჭიროდ ჩათვლის და მხარეებიც თანხმობას განაცხადებენ, არბიტრაჟი შეიძლება დაკომპლექტდეს ხუთი არბიტრისაგან. ასეთ შემთხვევაში თითოეული მხარე დანიშნავს ორ-ორ არბიტრს, ხოლო მეხუთე არბიტრი აირჩევა უკვე არჩეული არბიტრების მიერ.

3.1.6 თუ საარბიტრაჟო განხილვის დროს რომელიმე მხარის ან არბიტრაჟის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე დადასტურდება, რომ არბიტრაჟის რომელიმე წევრი სათანადოდ არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მაშინ პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია, გაათავისუფლოს ასეთი არბიტრი შემადგენლობის წევრობიდან

ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც საკუთარი განცხადების საფუძველზე (საპატიო მიზეზის არსებობისას), არბიტრაჟის წევრის განთავისუფლების, ან არბიტრაჟის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ახალი არბიტრი უნდა აირჩეს ან/და დაინიშნოს იმავე წესით და ვადაში, როგორც მისი წინამორბედი.

*2. არბიტრის აცილება*

3.2.1 არბიტრაჟის წევრები დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ მხარეებისაგან და უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. არბიტრაჟის წევრობის ნებისმიერი კანდიდატი, ისევე როგორც თითოეული მხარე, ვალდებულია არბიტრაჟის დაკომპლექტებამდე სრულად გაუმხილოს პალატას ნებისმიერი გარემოება, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რომელიმე არბიტრის მიუკერძოებლობა ამა თუ იმ მხარისადმი ან გამოიწვიოს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა.

3.2.2 ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს არბიტრის აცილების შესახებ, თუ არსებობს გარემოებები, რომლებიც საფუძვლიან ეჭვს იწვევენ მათ მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში. აცილება შეიძლება გაცხადებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ არბიტრი არ

3.2.3 ხანდაზმულობის ვადა არბიტრის აცილების მოთხოვნისათვის არის ერთი კვირა მხარისათვის არბიტრაჟის შემადგენლობის დაკომპლექტების შეტყობინების ან თუ ახლად აღმოჩენილი გარემოების აღმოჩენის დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღმომჩენ მხარეს უნდა სცოდნოდა და განეცხადებინა ამ გარემოების შესახებ არბიტრაჟის დაკომპლექტების მომენტისათვის.

3.2.4 პალატამ უნდა განიხილოს არბიტრის მიუკერძოებლობის დამაეჭვებელი გარემოებები, ისევე როგორც არბიტრის აცილების მოთხოვნის ყოველი ცალკეული შემთხვევა და გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. პალატამ შეიძლება განიხილოს ხანდაზმულობის ვადის დარღვევით გაცხადებული აცილების მოთხოვნაც და ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში არბიტრაჟი უფლებამოსილია, რომ აცილებული არბიტრის გასამრჯელო ან მისი ნაწილი დააკისროს განმცხადებელ მხარეს.

3.2.5 იმავე საფუძვლებით, რაც მითითებულია 3.2.2 პუნქტში, შეიძლება აცილებულ იქნენ ექსპერტები, თარჯიმნები და სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობენ საქმის განხილვაში. ამ შემთხვევაში აცილების საკითს წყვეტს არბიტრაჟი.

*3. საარბიტრაჟო განხილვის ენა*

3.3.1 არბიტრაჟში საარბიტრაჟო განხილვა, როგორც წესი, წარმოებს იმ ენაზე, რომელსაც მხარეები მიუთითებენ საარბიტრაჟო შეთანხმებაში.

3.3.2 თუ მხარეები არ შეთანხმებულან საარბიტრაჟო განხილვის ენაზე მათ საარბიტრაჟო შეთანხმებაში, მაშინ საარბიტრაჟო განხილვა წარიმართება მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების ენაზე, ხოლო თუ საარბიტრაჟო შეტანხმება ერთზე მეტ ენაზეა, მაშინ იმ ენაზე, რომელსაც ენიჭება უპირატესობა.

3.3.3 თუ რაიმე მიზეზის გამო არ ხერხდება ენის გარკვევა ან არცერთი ენის გამოყენება, საარბიტრაჟო განხილვა წარიმართება ქართულ ენაზე.

*4. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი*

3.4.1 არბიტრაჟი უფლებამოსილია, პალატასთან შეთანხმებით, სხდომების, მოსმენების გამართვის, მტკიცებულებების, დათვალიერების ან სხვა მიზნით შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას საჭიროებისა და შეხედულებისამებრ.

3.4.2 მიუხედავად არბიტრაჟის ფაქტიური ადგილისა, საარბიტრაჟო განხილვის ადგილად მიიჩნევა საარბიტრაჟო შეთანხმებაში საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში მითითებული ადგილი.

3.4.3 თუ საარბიტრაჟო შეთანხმება არ ასახელებს საარბიტრაჟო განხილვის ადგილს, ან მასში მითითებული ადგილი საქართველოს ფარგლებს გარეთაა, მაშინ საარბირტაჟო განხილვის ადგილად მიიჩნევა არბიტრაჟის იურიდიული მისამართი.

3.4.4 საარბიტრაჟო განხილვის ადგილი წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ადგილს.

*5. გამოსაყენებელი სამართალი*

3.5.1 საარბიტრაჟო შეთანხმების იურიდიული ძალისა და არბიტრაჟის იურისდიქციის დადგენის დროს არბიტრაჟი გამოიყენებს მხარეთა მიერ მითითებულ სამართალს, ხოლო, თუ მითითებული არ არის, - საქართველოს სამართალს.

3.5.2 საარბიტრაჟო განხილვის პროცედურის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამართალი.

3.5.3 არბიტრაჟმა უნდა დაადგინოს სამართალი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს დავის მატერიალური სამართლის საკითხების გადაწყვეტა მხარეთა არჩევანის ან საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

*6. კონფიდენციალურობა*

3.6.1 პალატა, არბიტრაჟი, მხარეები, ისევე როგორც საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე ექსპერტები, მოწმეები და სხვა პირები ვალდებულნი არიან სრული საიდუმლოებით შეინახონ ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მათთვის ცნობილი გახდა საარბიტრაჟო განხილვაში მათი მონაწილეობის შედეგად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

3.6.2 თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამხელა შეიძლება მხოლოდ სასამართლოებისათვის, სხვა კომპეტენტური ორგანოებისა და პირებისათვის გადაწყვეტილების აღსრულების, მისი შედეგების დადასტურების აუცილებლობის, და/ ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

*7. კომუნიკაცია პალატასა და მხარეებს შორის*

3.7.1 პალატას, არბიტრაჟს და მხარეებს შორის კომუნიკაცია არის წერილობითი და სრულდება საარბიტრაჟო განხილვის ენაზე.

3.7.2 შეტყობინება გაგზავნილად ჩაითვლება, თუ ის ადრესატს პირადად ჩაბარდა, ან გაიგზავნა რეგისტრირებული ფოსტით, ტელექსის, ტელეფაქსის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით, რომელიც იძლევა გაგზავნის დადასტურების ჩანაწერს.

3.7.3 შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ადრესატის მიერ სპეციალურად მითითებულ საკომუნიკაციო მისამართზე. ასეთი მისამართის არარსებობის შემთხვევაში შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ადრესატის პალატისათვის ცნობილი საბოლოო საცხოვრებელი ან საქმიანობის ადგილის მისამართზე.

3.7.4 თუკი არსებობს გაგზავნის დადასტურება, შეტყობინება მიღებულად (მიწოდებულად) ჩაითვლება იმ დღეს, როცა ის პირადად ჩაბარდა ადრესატს ან ადრესატს უნდა მიეღო გამოყენებული საკომუნიკაციო საშუალების სახეობიდან გამოდინარე.

**IV. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები**

4.1 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯი შედგება: საარბიტრაჟო შესატანის, პალატის ადმინისტრაციული ხარჯის, არბიტრაჟის წევრებისა და მოწვეული ექსპერტების ხარჯისა და ჰონორარებისაგან (იხ. დანართი).

4.2 საარბიტრაჟო შესატანს მოდავე მხარე იხდის საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენასთან ერთად, რის გარეშეც არ დაიშვება პალატა საარბიტრაჟო პრეტენზიას არ მიიღებს. ამასთან, არბიტრაჟის მიერ დავის მიუღებლობის შემთხვევაში საარბიტრაჟო შესატანი დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4.3 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის გადახდას საარბიტრაჟო შემადგენლობა დააკისრებს ერთ-ერთ მხარეს მთლიანად ან მხარეებს გარკვეული პროპორციით. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების დაკისრების შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია.

4.4 თუ არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოო ხელმოუწერელი ვარიანტის მიღებისას აღმოჩნდება, რომ ამ დებულების 6.1 მუხლის მიხედვით გადახდილი საავანსო თანხა აღემატება საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის დაკისრებულ ოდენობას, განსხვავება დაუბრუნდება ერთ - ერთ ან ორივე მხარეს (გარკვეული პროპორციით), დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად. თუ საავანსო თანხა ნაკლებია დაკისრებულ თანხაზე, მაშინ მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა დაფარონ განსხვავება. არბიტრაჟის წევრები საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელს აწერენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი პალატისაგან მიიღებენ შეტყობინებას, რომ საარბიტრაჟო ხარჯები სრული ოდენობითაა დაფარული მხარეების მიერ.

4.5 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის გარდა, არბიტრაჟის გადაწყვეტილებით ერთ-ერთ მხარეს შეიძლება

მთლიანად ან მისი გარკვეული ნაწილის ანაზღაურება.

**V. საქმის მომზადება საარბიტრაჟო განხილვისათვის**

*1. საარბიტრაჟო პრეტენზია*

5.1.1 მოდავე მხარემ, რომელსაც სურს, რომ დავა განიხილოს არბიტრაჟმა, წერილობითი საარბიტრაჟო პრეტენზიით უნდა მიმართოს პალატას. საარბიტრაჟო პრეტენზია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მხარეთა სრული დასახელება და მათი იურიდიული მისამართები;

ბ) დავის საგნის მოკლე აღწერა;

გ) სარბიტრაჟო შეთანხმება მხარეთა შორის, თუ ასეთი არსებობს;

დ) ყველა იმ დოკუმენტის ასლი და ინფორმაცია, რაც მოდავე მხარეს მოეპოვება და კავშირშია დავის საგანთან;

ე) მოდავე მხარის მოთხოვნა;

ვ) პრეტენზიის ფასი;

ზ) არბიტრების და/ ან სათადარიგო არბიტრების სახელი, გვარი.

5.1.2 თუ პრეტენზია არ აკმაყოფილებს 5.1 პუნქტში დადგენილ მოთხოვნებს, მოსარჩელემ პალატის მიერ მითითებულ ვადაში უნდა გამოასწოროს არსებული ხარვეზი.

პალატის მიერ მითითებულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში პალატას გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ.

5.1.3 არბიტრაჟი, საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, საარბიტრაჟო პრეტენზიის და ამ დებულების ასლებს გაუგზავნის მოპასუხე მხარეს.

*2. პასუხი საარბიტრაჟო პრეტენზიაზე*

5.2.1 მოპასუხე მხარემ საარბიტრაჟო პრეტენზიის და ამ დებულების ასლების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში პალატას უნდა მიაწოდოს თავისი პასუხი საარბიტრაჟო პრეტენზიაზე. პალატის თამჯდომარე უფლებამოსილია მოპასუხე მხარის მოთხოვნის საფუძველზე გააგრძელოს აღნიშნული ვადა მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს ერთი კვირის ვადით.

5.2.2 საარბიტრაჟო პრეტენზიაზე პასუხი უნდა შეიცავდეს:

ა) კომენტარს მოდავე მხარის მიერ დავის საგნის აღწერაზე, იმ ნაწილების მითითებით, რომლებსაც მოპასუხე არ ეთანხმება ან უარყოფს;

ბ) დოკუმენტების ასლებს ან ინფორმაციას, რაც არ არის საარბიტრაჟო პრეტენზიაში და რაც კავშირშია დავასთან;

გ) კომენტარს მოდავე მხარის მოთხოვნაზე;

დ) ნებისმიერ იმ შეგებებულ პრეტენზიას (თუ ასეთი არსებობს), რაც მოპასუხე მხარეს გააჩნია ამ მოდავე მხარის მიმართ;

ე) არბიტრების და სათადარიგო არბიტრების სახელსა და გვარს.

*3. პრეტენზიის ფასის განსაზღვრა*

5.3.1 პრეტენზიის ფასი განისაზღვრება:

ა) თანხის ანაზღაურების შესახებ პრეტენზიაზე - მოთხოვნილი თანხით;

ბ) ქონების გამოთხოვის შესახებ პრეტენზიაზე - გამოსათხოვი ქონების ღირებულებით;

გ) გარკვეული მოქმედების ან უმოქმედობის შესახებ პრეტენზიაზე მოსარჩელის ქონებრივი ინტერესების შესაბამისად.

მოსარჩელე ვალდებულია პრეტენზიის ფასი მიუთითოს იმ შემთხვევაშიც, როცა პრეტენზია ან მის ნაწილი არ ატარებს ქონებრივ ხასიათს.

5.3.2 პრეტენზიაში, რომელიც შედგება რამოდენიმე მოთხოვნისაგან, თითოეული მოთხოვნის ღირებულება ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს. ასეთ შემთხვევაში სარჩელის ფასი განისაზღვრება ყველა მოთხოვნის საერთო ღირებულებით.

5.3.3 თუ მოსარჩელემ არ განსაზღვრა ან არასწორად განსაზღვრა პრეტენზიის ფასი, მაშინ პალატა თავისი ინიციატივით ან მოპასუხის მოთხოვნით განსაზღვრავს სარჩელის ფასს არსებული მონაცემების საფუძველზე.

**VI. საარბიტრაჟო განხილვა**

*1.საარბიტრაჟო განხილვის დაწყება*

6.1.1 პალატა ვალდებულია მოპასუხე მხარის პასუხისათვის განკუთვნილი ვადის ამოწურვიდან ერთი კვირის ვადაში ოფიციალურად მიიღოს დადგენილება დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების, ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ მიზეზების მითითებით. მოდავე მხარეებს მიეწოდებათ დადგენილების თითო ასლი.

6.1..2 დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის გადაწყვეტილებაში არბიტრაჟმა უნდა მიუთითოს საარბიტრაჟო ხარჯების საავანსო თანხის ოდენობა. საავანსო თანხა უნდა დაიფაროს ერთ-ერთი მხარის მიერ მთლიანად, ან მხარეთა მიერ მათ შორის შეთანხმებული პროპორციით, მხარეთა მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

6.1.3 არბიტრაჟის შემადგენლობის შექმნა ამ დებულების III თავის შესაბამისად დაიწყება მხარეთა მიერ საავანსო თანხის სრული ოდენობით დაფარვის შემდეგ. ამასთან, საავანსო თანხის გადაუხდელობა ან დაგვიანებით გადახდა საკმარისი საფუძველია საარბიტრაჟო განხილვისათვის დავის მიღების გასაუქმებლად.

*2. საარბიტრაჟო განხილვის ზოგადი წესები*

6.2.1 ყოველი არბიტრაჟის შემადგენლობა დამოუკიდებლად გადაწყვეტს თავისი მუშაობის წესს ამ დებულების შესაბამისად და მხარეთა ერთობლივ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.2.2 არბიტრაჟი, როგორც პროცედურულ, ასევე დავის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე, გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ამასთან, პროცედურულ საკითხებზე უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში შემადგენლობის თავმჯდომარეს აქვს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

6.2.3, საარბიტრაჟო სხდომები, როგორც წესი დახურულია, თუ ორივე მხარე არ მოითხოვს ღია განხილვის წარმართვას.

6.2.4 მხარეებს გონივრულ ვადაში უნდა ეცნობოთ მოსმენის გამართვის დრო და ადგილი, რათა მათ მოახერხონ ასეთ მოსმენაზე გამოცხადება.

6.2.5 თუ საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს და არბიტრაჟი ამას მისაღებად ჩათვლის, საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება წარიმართოს მხოლოდ წერილობითი მასალის საფუძველზე მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე.

6.2.6 არბიტრაჟმა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე ყოველი ღონე უნდა იხმაროს დავასთან დაკავშირებული ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, პალატის მეშვეობით მოხდება მოწმეთა გამოძახება, ექსპერტთა მოწვევა, მტკიცებულებათა გამოთხოვა და ა.შ.

6.2.7 მხარეები საქმეებს აწარმოებენ უშუალოდ ან წარმომადგენლების მეშვეობით. მხარის გამოუცხადებლობა, თუ ამას ამ დებულებით დადგენილი წესითა და ვადაში ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე, ხელს არ უშლის საქმის განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას, თუ გამოუცხადებელმა მხარემ წერილობით არ იშუამდგომლა საქმის გადადება საპატიო მიზეზის მითითებით. მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის განხილვა მისი დასწრების გარეშეც.

6.2.8 ნებისმიერ მხარეს შეუძლია საქმის განხილვის

საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.

6.2.9 მხარეებმა უნდა დაამტკიცონ ის გარემოებანი, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს. არბიტრაჟს შეუძლია მხარეებს მოსთხოვოს სხვა მტკიცებულებათა წარმოდგენაც.

არბიტრაჟი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ მოიწვიოს ექსპერტი ან სპეცილისტი, აგრეთვე კანონით დადგენილი წესით გამოიძახოს და მოუსმინოს მოწმეებს.

6.2.10 მესამე მხარეების საქმეში დაშვება შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით. მესამე პირის ჩასართავად მეორე მხარის თანხმობის გარდა აუცილებელია ამ პირის წერილობითი თანხმობაც.

მესამე პირის ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ საქმის მომზადების სტადიაზე. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში იგი შესაძლებელია საქმის განხილვის შემდეგ სტადიაზეც იქნეს ჩართული. მესამე პირის საქმეში დაშვების საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.

*3. უზრუნველყოფის ზომები*

6.3.1 არბიტრაჟი საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ, რაზეც სასამართლოს გამოაქვს დადგენილება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

**VII. საქმის წარმოების გადადება და შეჩერება**

7.1 აუცილებლობის შემთხვევაში არბიტრაჟის ან მხარეთა ინიციატივით შეიძლება გადაიდოს ან შეჩერდეს საქმის განხილვა.

7.2 საქმის გადადების ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არბიტრაჟი დადგენილების სახით.

**VIII. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება**

8.1 არბიტრაჟმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოო ხელმოუწერელი ვარიანტი უნდა მიაწოდოს პალატას საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, თუ მხარეთა მიერ წინასწარ არ არის დადგენილი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა.

8.2 თუ მხარეები არ შეთანხმებულან გადაწყვეტილების გამოტანის ვადაზე და გადაწყვეტილება არ იქნა გამოტანილი 8.1 პუნქტში მითითებულ ვადაში, არბიტრაჟი უნდა გადადგეს, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ იქნება დადგენილი.

ამ შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 10 დღის ვადაში დანიშნონ არბიტრაჟის ახალი წევრები ამ დებულების III თავის შესაბამისად.

8.3 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოო ხელმოუწერელი ვარიანტი ეგზავნება პალატის თავმჯდომარეს, რომელიც უფლებამოსილია შენიშვნები გააკეთოს მხოლოდ გადაწყვეტილების ფორმასთან დაკავშირებით. შემადგენლობა ვალდებულია გაითვალისწინოს ასეთი შენიშვნები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერამდე.

8.4 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით, საარბიტრაჟო განხილვის ენაზე და მასში უნდა აღინიშნოს:

**თბილისი**

ა) გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი;

ბ) პალატის სრული დასახელება და არბიტრაჟის შემადგენლობა;

გ) მხარეთა ვინაობა და მისამართები;

დ) საარბიტრაჟო შეთანხმება;

ე) დავის საგანი;

ვ) სამოტივაციო ნაწილი იმ დასაბუთებით, რის საფუძველზეც შემადგენლობამ გამოიტანა გადაწყვეტილება (თუ საარბიტრაჟო შეთანხმება მის არსებობას არ ითვალისწინებს);

ზ) არბიტრაჟის გადაწყვეტილება (საარბიტრაჟო ხარჯების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების ჩათვლით);

თ) გადაწყვეტილების აღსრულების ვადა;

ი) იმ არბიტრის ვინაობა (თუ ასეთი არსებობს), რომელმაც უარი განაცხადა გადაწყვეტილების ხელმოწერაზე.

8.5 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა მხარეთათვის შესასრულებლად.

8.6 ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე და პალატის თავმჯდომარის თანხმობით, გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის განმავლობაში დაიშვება არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება ან მასში დაშვებული მექანიკური, ტიპოგრაფიული, თუ გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომის გასწორება. ასეთი განმარტება წარმოადგენს გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

**IX. მხარეთა მორიგება**

9.1 თუ საარბიტრაჟო განხილვის რომელიმე ეტაპზე მხარეები მიაღწევენ სრულ და საბოლოო შეთანხმებას ყველა სადავო საკითზე, მაშინ საარბიტრაჟო განხილვა წყდება.

9.2 მხარეთა შეთანხმებას არბიტრაჟი აფორმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სახით მორიგების შესახებ განცხადების შეტანიდან სამი დღის ვადაში.

**X. საქმის წარმოების შეწყვეტა გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე**

10.1 თუ საქმეზე არ მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება, მაშინ საარბიტრაჟო განხილვა წყდება საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებით.

10.2 საქმის წარმოება წყდება:

ა) მოსარჩელის მიერ თავის მოთხოვნაზე უარის თქმისას, თუ მოპასუხე ასეთი შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის ვადაში არ წამოაყენებს თავის პრეტენზიებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და არბიტრაჟი არ დაადგენს მოპასუხის კანონიერ ინტერესს დავის ბოლომდე მოწერიგების თაობაზე;

ბ) თუ არსებობს მხარეთა შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის თაობაზე;

გ) თუ არბიტრაჟს მიაჩნია, რომ რაიმე მიზეზით შეუძლებელია ან არ არის საჭირო საქმის შემდგომი განხილვა, კერძოდ, თუ არ არსებობს ის წანამძღვრები, რომლებიც აუცილებელია საქმის არსებითად განხილვისათვის.

10.3 არბიტრაჟის ფორმირებამდე დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გამოაქვს პალატის" თავმჯდომარეს.

**დანართი N1**
**მუდმივმოქმედი არბიტრაჟის - შ.პ.ს. "პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფის" დებულებაზე**

**დებულება საარბიტრაჟო ხარჯისა და მოსაკრებლების შესახებ**

**თავი I ტერმინთა განმარტება**

1.1. "სარეგისტრაციო მოსაკრებელი" - მოსაკრებელი, რომელსაც არბიტრაჟში საქმის განხილვის დაწყებამდე წარმოშობილი ხარჯის დასაფარავად იხდიან არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის შემტანი პირები.

1.2. "საარბიტრაჟო მოსაკრებელი" - მოსაკრებელი, გათვალისწინებული არბიტრაჟის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის დასაფარავად, გადახდილი არბიტრაჟში განსახილველად შეტანილი ყოველი საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის (არბიტრების ჰონორარი, არბიტრაჟის აპარატის ხელფასი, საარბიტრაჟო განხილვის ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯი და სხვა).

1.3. "არბიტრაჟის დამატებითი ხარჯი" - განსაკუთრებული ხარჯი, რომელიც გაიწევა კონკრეტული საქმის განხილვისას (ხარჯები ექსპერტიზის ჩატარებისათვის, ექსპერტთა ჰონორარი, სამივლინებო ხარჯები და სხვა).

1.4. მხარეთა ხარჯი - ხარჯი, რომლებიც გაღებულია მხარეთა მიერ თავისი ინტერესების დასაცავად არბიტრაჟში საქმის განხილვის დროს, გარდა ამ დებულების 1.1., 1.2. და 1.3. მუხლებით გათვალისწინებული ხარჯისა.

**თავი II სარგისტრაციო მოსაკრებელი**

2.1. სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 1000 ლარს (დღგ-ს გარეშე).

2.2. საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისას სარეგისტრაციო მოსაკრებელი ჩაითვლება საარბიტრაჟო მოსაკრებელში.

2.3. სარეგისტრაციო მოსაკრებელი არ ექვემდებრება დაბრუნებას.

**თავი III საარბიტრაჟო მოსაკრებელი**

3.1. საარბიტრაჟო მოსაკრებელი (დღგ-ს გარეშე) განისაზღვრება ლარებში შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| სარჩელის ფასი | | საარბიტრაჟო მოსაკრებელი |
|---|---|---|
| 1 | 20000 ლარამდე | 2000 ლარი (არბიტრაჟის გადაწყვეტილებით თანხა შეიძლება შემცირდეს ზღვრულ ოდენობამდე – 1000 ლარამდე). |
| 2 | 20001 ლარიდან 50000 ლარამდე | 2000 ლარი + 20000 ლარს ზევით თანხის 9% |
| 3 | 50001 ლარიდან 100000 ლარამდე | 4700 ლარი + 50000 ლარს ზევით თანხის 8% |
| 4 | 100001 ლარიდან 200000 ლარამდე | 8700 ლარი + 100000 ლარს ზევით თანხის 7% |
| 5 | 200001 ლარიდან 500000 ლარამდე | 15700 ლარი + 200000 ლარს ზევით თანხის 6% |
| 6 | 500001 ლარიდან 1000000 ლარამდე | 33700 ლარი + 500000 ლარს ზევით თანხის 5% |
| 7 | 1000001 ლარიდან 2000000 ლარამდე | 58700 ლარი + 1000000 ლარს ზევით თანხის 4% |
| 8 | 2000001 ლარიდან 5000000 ლარამდე | 98700 ლარი + 2000000 ლარს ზევით თანხის 3% |
| 9 | 5000001 ლარიდან 10000000 ლარამდე | 188700 ლარი + 5000000 ლარს ზევით თანხის 2% |
| 10 | 10000001 ლარიდან 20000000 ლარამდე | 288700 ლარი + 10000000 ლარს ზევით თანხის 1% |
| 11 | 20000000 ლარს ზევით | 388700 ლარი + 20000000 ლარს ზევით თანხის 0.5% |

თავი IV საარბიტრაჟო მოსაკრებლის შემცირება

4.1. თუ მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქმის განხილვის დღის დანიშვნის შესახებ უწყების გაგზავნამდე გაითხოვა პრეტენზია, საარბიტრაჟო მოსაკრებელი (გარდა სარეგისტრაციო მოსაკრებლისა) მცირდება 75%-ით.

4.2. თუ მოსარჩელემ მოპასუხისათვის უწყების გაგზავნის შემდეგ, მაგრამ საქმის განხილვის დღემდე გაითხოვა პრეტენზია, იმის გამო, რომ მხარეებმა დავა დაარეგულირეს მოლაპარაკების შედეგად, საარბიტრაჟო მოსაკრებელი (გარდა სარეგისტრაციო მოსაკრებლისა) მცირდება 50%-ით.

4.3. თუ საქმის განხილვა შეწყდა გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, საარბიტრაჟო მოსკრებელი (გარდა სარეგისტრაციო მოსაკრებლისა), მცირდება 25%-ით.

4.4. გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოსაკრებლის შემცირების შესახებ უნდა აისახოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ან გადაწყვეტილებაში საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საქმის წარმოების შეწყვეტა ხდება არბიტრაჟის ფორმირებამდე, გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო მოსაკრებლის შემცი-

4.5. წინამდებარე თავის მოთხოვნები, დაკავშირებული საარბიტრაჟო მოსაკრებლის შემცირებასთან, არ ვრცელდება სარეგისტრაციო მოსაკრებელზე.

თავი V საარბიტრაჟო მოსაკრებელი შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზიისთვის

შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე ვრცელდება საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანისათვის დადგენილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის წესი და ოდენობა.

თავი VI საარბიტრაჟო მოსაკრებლის განაწილება მხარეთა შორის

6.1. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, საარბიტრაჟო მოსაკრებელი ეკისრება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება.

6.2. თუ პრეტენზია დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მაშინ საარბიტრაჟო მოსაკრებელი მოპასუხეს ეკისრება დაკმაყოფილებული პრეტენზიის პროპორციულად, ხოლო მოსარჩელეს პრეტენზიის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელ ნაწილშიც არ დაკმაყოფილდა პრეტენზია.

თავი VII საარბიტრაჟო ხარჯისა და მოსაკრებლების გადახდის წესი

საარბიტრაჟო ხარჯი და მოსაკრებლები გადახდილად ითვლება თანხის შ.პ.ს. "პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფის" საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის დღიდან.

თავი VIII მხარეთა ხარჯი

მხარე, რომლის სასარგებლოდაც გამოტანილია გადაწყვეტილება, უფლებამოსილია მოსთხოვოს არბიტრაჟს მეორე მხარისათვის, საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული, აგრეთვე იურიდიული წარმომადგენლის მეშვეობით არბიტრაჟში თავისი ინტერესების დავასთან დაკავშირებული გონივრულად გაწეული ხარჯების დაკისრება.

თავი IX საარბიტრაჟო ხარჯისა და მოსაკრებლების სხვაგვარი განაწილება

კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არბიტრაჟს შეუძლია დაადგინოს ამ დებულებით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული საარბიტრაჟო ხარჯისა და მხარეთა დანახარჯის განაწილების წესი, კერძოდ, დააკისროს ერთ მხარეს მეორე მხარის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ზედმეტი ხარჯის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია ერთი მხარის არაკეთილსინდისიერი და არამიზნობრივი მოქმედებებით, მათ შორის, მოქმედებებით, რომლებიც იწვევენ საარბიტრაჟო განხილვის გაუმართლებელ გაჭიანურებას.

**თავი X არბიტრების ჰონორარი**

10.1. არბიტრების ჰონორარი შეადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებლის 50%-ს. და არბიტრაჟს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ჰონორარის შესახებ.

10.2. არბიტრს ჰონორარი გადაეხდება საქმის განხილვის შეწყვეტიდან ორი კვირის ვადაში.

# საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" 2006 წლის 9 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში "ბ" კორპუსში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**ლოტი N 1 დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთი და კოტეჯი**

**ნაკვეთს** მთლიანობაში გააჩნია წახნაგოვანი ფორმა, რელიეფი უსწორმასწოროა ქანობით, ხოლო მისი საერთო ფართია 27 000 მ2, ძირითადი მისასვლელი გზა ასფალტირებულია, ბოლო 100 მეტრი მოხრეშულია. არის ელ. მომარაგება. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ შემოღობილია, მასზე დგას კოტეჯი, ალაგ-ალაგ არის რამოდენიმე ხე, ძირითადი ნაწილი მწვანე ნარგავების გარეშეა.

**კოტეჯი** აშენებულია 1997 წელს აგურით, მის შემადგენლობაში შედის სამი საძინებელი ოთახი, სამზარეულო-სასადილო, საერთო ოთახი, აივნები, ორი სველი წერტილი და ავტოფარეხი ერთ მანქანაზე. შენობის საერთო ფართი შეადგენს 131.05 მ2-ს, ოთახებში აგია წიფელის პარკეტი, გამოყენებულია ჩეხური მოსაპირკეთებელი მასალა, სანტექნიკა, ბუხარი მოპირკეთებულია გრანიტით.

**ლოტის საწყისი სააუქციონო ფასია 260 250 ლარი.**

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი "ბე-ს" მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და "ბე"-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა "მონაწილის ბილეთი".

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42) ელ. ფოსტა gnatroshvili@nbg.gov.ge .

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.**

# საერთაშორისო განათლების ცენტრი
## CENTER FOR INTERNATIONAL EDUCATION

### კემბრიჯის კოლეჯების სამეცნიერო პროექტი
1 აპრილი 2007 - 31 მარტი 2008
CAMBRIDGE COLLEGES HOSPITALITY SCHEME
1 APRIL 2007 - 31 MARCH 2008

**კემბრიჯის უნივერსიტეტი ღია საზოგადოების ინსტიტუტთან და ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად იწვევს ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებს კემრიჯის კოლეჯების სამეცნიერო პროექტში მონაწილეობის მისაღებად.**

**პროგრამა გთავაზობთ სტაჟირებას კემბრიჯის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კოლეჯში ერთი თვის ვადით ძირითადად ზაფხულის პერიოდში (ივლისი-სექტემბერი)**

*პროგრამის მონაწილეები როგორც წესი უნდა იყვნენ უნივერსიტეტის პედაგოგები ან კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები, რომელთაც აქვთ საკანდიდატო ან სადოქტორო ხარისხი და სურთ იმუშაონ კემრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში და კონსულტაციები მიიღონ და სამეცნიერო და აკადემიური კავშირები დაამყარონ იქაურ სპეციალისტებთან კემბრიჯის უნივერსიტეტში არსებულ ნებისმიერ დარგში.*

**უპირატესობა მიენიჭება მათ, ვისაც უკვე გააჩნია კონტაქტები შესაბამის ადგილობრივ დეპარტამენტთან ან კოლეგასთან.**

**დამატებითი ინფორმაცია კემბრიჯის უნივერსიტეტის დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ კემრიჯის უნივერსიტეტის ვებსაიტზე**

**( http://www.cam.ac.uk/ ) ან ქ. თბილისის საერთაშორისო განათლების ცენტრში ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე.**

**პროგრამაში მონაწილეობის მსურველები კარგად უნდა ფლობდენენ ინგლისურ ენას.**

*ის აპლიკანტები, რომლებიც ორ თვეზე მეტი ხნის ვადით ნამყოფნი არიან ან გეგმავენ გამგზავრებას უცხოეთში 2005 წლის 1 აპრილიდან კემბრიჯში გამგზავრების სავარაუდო თარიღამდე, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან.*

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 30 ნოემბერი.**
**საგანაცხადო ფორმებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**
*საერთაშორისო განათლების ცენტრი*
**თბილისი, ჭოველიძის 10, ოთახი 102., საკონტაქტო ტელეფონი 25 26 15**
**www.cie.ge**
*ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს 14:00 საათზე.*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს საერთაშორისო ტენდერს სატელიტით "საზოგადოებრივი მაუწყებელის" პროგრამების გავრცელებაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია:
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში: 200122900
მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი
მიმღების ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 302003000
გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი
დამატებითი ინფორმაცია: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585)

თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ, ქ. თბილისი კოსტავას -68 ოთახი -341, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია 22 ნოემბრის 17 საათამდე

2. შესყიდვის ობიექტი:

**1.სატელიტის პოზიცია ორბიტაზე - 42 Deg East**
**2.დიაპაზონი - Ku Ba-d**
**3.ტრანსპონდერის ტიპი - ციფრული Digital Video Broadcast (DVB; MPEG-2)**
**4.მოდულაციის ტიპი - QPSK**
**5.სიხშირეების დიაპაზონი - 4 MHz**
**6.დაფარვის ზონა - ძირითადად ევროპული ნაწილი**
**7.ველის დაძაბულობა საქართველოში - 50-52 db**

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, კოსტავას -68

4. მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ან უცხო (ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თან დართული ქართული თარგმნით) უნდა წარმოადგინონ 28 ნოემბრის 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე ქ. თბილისი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, კოსტავას -68.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული შესაბამისი რაიონის საგადასახადო ორგანოს მიერ (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

**ფიზიკური პირებისათვის:**
- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
- ინდივიდუალური მეწარმის მოწმობა, გაცემული საგადასახადოდან. (თუ ფიზიკური პირი ინდივიდუალური მეწარმეა).

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას საგადასახადოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

7. წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების მოთხოვნებს.

9. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

10. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ნათია ზამთარაძე ტელ: 33-23-64

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** სსიპ-"შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" (ქ. ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35) აცხადებს ტენდერს მწვანე კონცხზე (ხელვაჩაურის რ-ნი) მდებარე ყოფილი "ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის" სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოს მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 ნოემბრის 16 საათიდან 2006 წლის 20 ნოემბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35 ოთახი N11 (შესყიდვების განყოფილება).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან),

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

გ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5**. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 20 ნოემბრის 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში N000142101, საქართველოს ეროვნული ბანკი ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220501102, საიდენტიფიკაციო კოდი - 245444844 დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35 ოთახი N11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

**6.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - გურამ ნოდია ტ. 7-23-76, მისამართზე: ქ. ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35 ოთახი N11.

**სატენდერო კომისია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის დაფინანსების ფარგლებში, კომპიუტერული ტექნიკის და ელექტრო საქონლის შეძენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად და იწვევს განმეორებით ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - კომპიტერული ტექნიკა და ელექტრო საქონლი.
**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი.

| ლოტი № | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| I | უწყვეტი კვების წყარო | 2 ცალი |
| II | სკანერი | 4 ცალი |
| III | ასლგადამღები | 2 დიდი და 1 პატარა |
| IV | KVM swich | ორიანი 4 ცალი და რვიანი 1 ცალი |
| V | ციფრული დიქტოფონი | 1 ცალი |

cxrili ???

**შენიშვნა:**

- ტექნიკის დეტალური აღწერილობა იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში (საბაზისო მონაცემების ნუსხაში).

- **მიწოდების ადგილი** - ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. N52
- **მიწოდების ვადები**: ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის განმავლობაში.

■ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. Gგარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 21 ნოემბერს 14.00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 21 ნოემბერს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N211-ში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა სასამართლოდან);

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

დ) ბოლო სამი წლის საწარმოს ბალანსი, მოგების გადასახადის ყოველწლიურ დეკლარაციასთან ერთად (**საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული**).

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდუბე-ჩუღურეთი)
**საიდენტიფიკაციო ნომერი** - 202051224
**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი
**ბანკის კოდი** - 220101107
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003000
**ა/ა** N 200122900

**საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგანიზაციული კოდი 2211, ტენდერის დასახელება.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, მ. ფალიაშვილი, ნ. ბოჭორიშვილი. ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო
## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება. | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. |
| „ხელვაჩაურის რაიონში, სოფ. ჭარნალის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ჭოროხი ჭალის ტერასაზე, ქვიშა-ხრეშის მოპოვება.“ ტერიტორია დაყოფილია ორ ობიექტად: (რაოდენობა, საწყისი ფასი, „ბე“-ს ოდენობა. მოქმედების ვადა.) ობიექტი I. | |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის მოცულობა | 50 000 მ$^3$, |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8696 ლარი. „ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 %. 1740 ლარი, |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2006 წლის 31 დეკემბრამდე |
| ობიექტი II. | |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის მოცულობა. | 50 000 მ$^3$, |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8696 ლარი. „ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20 %. 1740 ლარი, |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2006 წლის 31 დეკემბრამდე |
| ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით | |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ.№6 ტელ. 7 35 96. აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 1 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 1 დეკემბერ 12 საათიდან აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს შენობაში. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს, ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300694008 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს შემოტანის ქვითარი | „ბე“-ს გადახდის ანგარიში: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე. ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ბ)ფიზიკური პირისათვის იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე) „ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 15 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ „ტყის კოდექსის“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს |

## განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროდანადგარებით პარკის ტერიტორიის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 დღე.

**3.**განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 22 ნოემბრის 12 საათიდან 2006 წლის 22 ნოემბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33ა, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
■ ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
■ ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
■ ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 1 ნოემბრის 12 საათიდან 2006 წლის 21 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33ა, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი მეტრეველი საკონტაქტო ტელეფონი 92-07-86, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 388210, 388220, ფაქსი: 331939, E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ტენდერს "გლობალური ფონდის" პროექტის "*აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში*" (პროექტი: N-GEO202-G01-H-00) და "*DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში*" (პროექტი: N-GEO-405-G03-T) პროგრამის ფარგლებში ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებისა და ინვენტარის (ლაბორატორიული სამედიცინო- დიაგნოსტიკური აღჭურვილობა და ინვენტარი, საგარანტიო-სერვისული მომსახურებით) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს;
2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი);
3. შესყიდვის ობიექტია:

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა (ცალი /კომპ.) |
|---|---|---|
| ლოტი I | ორთქლის სტერილიზატორი, ჰორიზონტალური ჩატვირთვით, გამჭოლი კარით | 1 ცალი |
| | ავტოკლავი | 3 ცალი |
| | ინკუბატორი, ლაბორატორიული, მულტიფუნქცონალური | 3 ცალი |
| | ინკუბატორი, ლაბორატორიული | 2 ცალი |
| | ინკუბატორი CO2, ლაბორატორიული | 2 ცალი |
| | ღუმელი, ლაბორატორიული | 3 ცალი |
| | ღუმელი, მიკროტალღოვანი | 1 ცალი |
| ლოტი II | ცენტრიფუგა, გაციების რეჟიმით (სისხლის ბანკი) | 1 ცალი |
| | ცენტრიფუგა, ლაბორატორიული (პჯრ დიაგნოსტიკა) | 3 ცალი |
| | ცენტრიფუგა, ლაბორატორიული (მიკობაქტერიული კვლევები) | 2 ცალი |
| | ცენტრიფუგა, გაციების რეჟიმით, ლაბორატორიული (მიკობაქტერიული კვლევები) | 2 ცალი |
| ლოტი III | ბაქტერიოციდული გამომსხივებელი | 158 ცალი |
| | დოზიმეტრი, ულტრაიისფერი გამოსხივების სპექტრის | 5 ცალი |
| | ბიოუსაფრთხოების სამუშაო კაბინა | 1 კომპ. |
| | ლამინარული კაბინა | 1 კომპ. |
| | მაცივარი, ორი განყოფილებით (-18C/0-8C) | 2 ცალი |
| | ყინულის გენერატორი (Flaked ice) | 1 ცალი |
| | მაცივარი, საყინულე (-20C) | 1 ცალი |
| | სკამი, ლაბორატორიული, მოძრავი | 21 ცალი |
| | სკამი-ტაბურეტი, ლაბორატორიული, მოძრავი | 5 ცალი |
| | სკამი-მისაყრდენი, ლაბორატორიული | 3 ცალი |
| ლოტი IV | ლამინარული კაბინა | 2 კომპ. |
| | სამუშაო კაბინა (ბაქტერიოციდული გამომსხივებლით) | 2 კომპ. |
| | თერმოციკლერი | 3 კომპ. |
| | ელექტროფორეზის აპარატი | 3 კომპ. |
| | ელექტროფორეზის კვების წყარო | 1 ცალი |
| | ელექტროფორეზული გელის დოკუმენტირებს სისტემა | 1 კომპ. |
| | პერისტალტიკური ტუმბო | 1 კომპ. |
| | იმუნოფერმენტული აპარატი, გამრეცხი | 2 კომპ. |
| | თერმოსტატი | 2 ცალი |
| | სანჯღრეველა, ლაბორატორიული | 4 ცალი |
| | საშრობი ბლოკი, სინჯარებისათვის, ლაბორატორიული | 3 ცალი |
| | სასწორი, ელექტრონული, ლაბორატორიული | 2 ცალი |
| | პიპეტი, ლაბორატორიული, ვარიაბელური, მრავალარხიანი | 6 ცალი |
| | პიპეტი, ლაბორატორიული, ვარიაბელური, ერთარხიანი | 12 ცალი |
| | შტატივი, პიპეტის | 2 ცალი |
| | შტატივი, ლაბორატორიული, კომბინირებული, მიკროსინჯარის | 11 ცალი |
| | შტატივი, ლაბორატორიული, მიკროსინჯარის | 17 ცალი |
| ლოტი V | იმუნოფერმენტული ანალიზატორი, გამრეცხი, ინკუბატორი | 6 კომპ. |
| | პიპეტი, ლაბორატორიული, ვარიაბელური, ერთარხიანი | 14 ცალი |
| | პიპეტი, ლაბორატორიული, ვარიაბელური, მრავალარხიანი | 5 ცალი |
| | შტატივი, ლაბორატორიული პიპეტის | 2 ცალი |
| | მიკროსკოპი, ლაბორატორიული | 1 ცალი |
| | წყლის გამოსახდელი აპარატი | 2 ცალი |
| | დოზიმეტრი, ლაბორატორიული, წამლის დაფასოება | 6 ცალი |
| | შტატივი, ლაბორატორიული, სინჯარის | 20 კომპ. |
| ლოტი VI | მიკობაქტერიის სწრაფი გამოვლენისა და მგრძნობელობის განსაზღვრის ავტომატური სისტემა სახარჯი მასალით: 4300 პაციენტზე (ნაკრები მხოლოდ ტუბერკულოზის კულტურის გამოსაყოფად (Only isolation)), 1900 პაციენტზე (ნაკრები ტუბერკულოზზე გამძლეობის ტესტის დასადგმელად (Isolation, SIRE and PZA)) | 2 კომპ. |
| ლოტი VII | ავტომატური იმუნოფლუორესცენტული ანალიზატორი, სისხლში აივ ანტიგენის და ანტისხეულების განსაზღვრა | 1 კომპ. |
| ლოტი VIII | ბაქტერიების დეტექციისა და ანტიბიოტიკების მიმართ მგრძნობელობის განსაზღვრის ავტომატური სისტემა | 1 კომპ. |

4. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს 10 კვირისა;
მიწოდების პირობა: "DDP-მიწოდების ადგილი", მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და მისამართის შესაბამისად: ქქ-ბი თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი;

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 24 ნოემბრის 17:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 24 ნოემბერს 17:00 სთ.-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას);
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. **იურიდიული პირისათვის**:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან);
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან);
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და რეაბილიტაციის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან);
დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილ ორგანოდან);

6.2. **ფიზიკური პირისათვის**:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან);
გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან);

6.3. **იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის**:
ა) იურიდიული და ფიზიკური პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);
გ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
გ) ინფორმაცია სერვისული/საგარანტიო მომსახურების პირობების შესახებ (გამოცდილებისა და კადრების კვალიფიკაციის მითითებით);
7. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე ტენდერში მონაწილე პირების სუბკონტრაქტორებისათვის (არსებობის შემთხვევაში);
8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის გარანტირების მექანიზმი.
9. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი);
10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), "საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი" (ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშწორების ანგარიში ლარებში: 3608981020527204003 (005606074) დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი;
სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 22 ნოემბრის 17:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული;
11. პრეტენდენტს უფლება აქვს თითოეულ ლოტზე წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;
12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა;
13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნატო დვალი (შესყიდვების სპეციალისტი), სანდრო კვაჭანტირაძე (შესყიდვებისა და ფინანსების სპეციალისტი), დავით აბდუშელიშვილი (შესყიდვების კოორდინატორი) სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: 388210, 388220; ფაქსი: 331939).